

2 **ჰილარი და ნახაინი, ანუ ერთ „ტრუბაში“ ორჯერ ვერ გაქვრები**

4 **რამაზ კლიმაშვილი: ჰაბაში სააკაშვილის წინააღმდეგ 380 ტონი ღვს!**

6 **სერგეი ბაგაშუის სენსაციური განცხადება**

7 **დავით იაკობიძე: 10 წელიწადში კორუფცია საქართველოში სამჯერ გაიზარდა**

8 **უსაპართლოვის რაფსოდია**

10 **ირაკლი სესიაშვილი: რაში სჭირდება ხელისუფლებას 300 000 რეზერვისტი?**

რევიზიონიზმის უპროფიტუნა,



5

ანუ რა გითხრათ, რით გაბასაროთ?!

გულბათ რცხილაძე: 18

სომხეთ-აზერბაიჯანის მტრობამ საქართველო გადაარჩინა, ვლადიმერ პუტინმა კი სააკაშვილი დაინდო



გივი ბერძენიშვილი:

13

მანქურთაბის ქვეყანა



საავტორო სვეტი

ფსონები და კუზები

მსოფლიო ჩემპიონატსაც კი მშვიდად არ გვაყურებინებენ. ჯერ ამ ვუეზულებმა ხომ (გამოტოვებული სიტყვა შეგიძლიათ გემოვნების მიხედვით ჩასვათ). ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ქართული ოპოზიცია ამ აფრიკულ საყვირებს შეიარაღებაზე არ მიიღებს. ეს გამარჯვების გარანტიას კი მისცემდა, რადგან ვუეზულებს ხმას საათ-ნახევრის განმავლობაში ხელისუფლება კი არა, იერიქონის კედლები ვერ გაუძლებენ, თუმცა ეს ნაბიჯი ამკობად არაპუმანური იქნებოდა.

ამასთანავე, ტაიმებს შორის საზოგადოებრივი მანქანების მომსახურებელი მონოტონურობით პოლიციის ახალ კლიპს აჩვენებს. ნებისმიერი ნორმალური ადამიანი, რომელიც ეკრანზე პოლიციელების ამ ფორმებსა და გამსჭვალულ სახეებს (გამოტოვებული სიტყვა ისევე გემოვნებისდა მიხედვით ჩაენეროთ) დაინახავს, მყისვე გაიხსენებს 7 ნომბერსაც, 6 მაისსაც, გახმაურებულ მკვლელობებსაც, სატელეფონო მოსმენებსაც, მოკლედ არანაირი შესაძლებლობა არ მიეცემა, მოდუნდეს და ფეხბურთით დატკბეს. ყოველივე ეს, ერთის მხრივ, ერთობ სადისტურად გამოიყურება, თუმცა, მეორე მხრივ, სამოქალაქო თვითშეგნება პაუზებსა და შევხულებებს არ ცნობს. ასე რომ, დიდი, ვუეზულებს ხმასავით ცეცხლოვანი მადლობა „საზოგადოებრივ მანქანებს“ იმისათვის, რომ ჩემპიონატის დროსაც არაფერს გვაინწყებს.

ტოტალიზატორებში ისეთი სიტუაციაა, დედა კი არა, მამაც კი ბავშვს ხელში არ აიყვანს. ხალხი თამაშობს და უზარმაზარ თანხებსაც აგებს, რადგან ამ ჩემპიონატში ლოგიკა უფრო ნაკლები იყო, ვიდრე — მიხილ სააკაშვილის ყოველწლიურ მიმართვაში პარლამენტისადმი. ტოტალიზატორი უაღრესად სერიოზული და მომგებიანი ბიზნესია; ასე რომ, დროა, ხელი ჩვენც მოვიკიდოთ. ოღონდ, საფეხბურთო მატჩების ნაცვლად, ყურადღება მოსალოდნელ პოლიტიკურ მოვლენებზე გავამახვილოთ. მაგალითი: ნავა თუ არა მიხილ სააკაშვილი 2013-ში? ვარიანტები: ა, ბ, გ. ოღონდ კოფიციენტების ჩამონერა პარიპარალოზე არ შეიძლება, თორემ ჩვენს მშობლიურ ქვეყანაში მალე გავკოტრდებით. ჩახედული ხალხის რჩევა და გეგმაც იქნება.

მე ავიღე ტელეფონის ყურმილი და პატიოსნად, ორიოდ საათის განმავლობაში ვუსმინდი ათიოდე პატივდებულ ადამიანს (აი, მათი ვინაობა კი ანონიმური დარჩება), თუ რა ჯანდაბა მინდა მათგან ამ სიტუაციაში. საბოლოო ჯამში გამიგეს, საკუთარი აზრი გამოთქვას და კოფიციენტებზე შემიღებია სახე მიიღეს: მამ, ასე, ნავა თუ არა სააკაშვილი 2013-ში? ა) ნავა 2013-მდე; კოფიციენტი 1.18; ბ) ნავა კონსტიტუციურ ვადაში 2013-ში; კოფ. 6.2; გ) არსადაც არ ნავა; კოფ. 1.23; საინტერესოა, რომ მხოლოდ იმისა, ყველაფერი ნებისა და რიგის მიხედვით მოხდება, ძალიან მცირეა და „ბ“ ვარიანტში (თეორიულად) 100 ლარზე 620-ის მოგება შეიძლება, თუმცა იმის ალბათობა, ამ შემთხვევაში მაინც, კაცი იგი რომ ყველაფერს ნორმალურად გააკეთებს, საკმაოდ მცირეა.

მივყვეთ თანმიმდევრობით: შემოდგომაზე ქართული ოპოზიცია ა) გაიმარჯვებს; კოფ. 7.2; ბ) გაფარჩაკდება; კოფ. 1.2; გ) გაიყიდება; კოფ. 1.07.

სიმართლე გითხრათ, მე მათზე ფსონის დადებას ვერჯერობით არ გავრისკავდი, ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ ფარელების ნაკრებზე უკეთეს თამაშს არ აჩვენებენ. შემდეგ... წლის ბოლოზე ვიპოვე მერაბიშვილს გადაყენებენ? ა) ნავა თუ არა; კოფ. 3.0; ბ) შანსი არაა; კოფ. 1.3; გ) იქით გადაყენებს; კოფ. 1.3. საინტერესო თამაში გველის, უაღრესად საინტერესო...

გივი ვასილიშვილს შემდეგი რეკოლუცია იქნება: ა) ისევე უკრაინაში; კოფ. 3.2; ბ) სომხეთში; კოფ. 2.4; გ) აზერბაიჯანში; კოფ. 1.5. ისე, მეც ასე მგონია, თუ, რა თქმა უნდა, კიდევ ერთი რეკოლუცია მის ცხოვრებაში საერთოდ იქნება.

იმანული კანტის კატეგორიული იმპერატივის ნუგზარ ნიკლაურისეული გაზრება... უკაცრავად, ეს სხვა ოპორტიანაა და მომავალ კვირაში იქნება. აჰა, ვიპოვე, დადება თუ არა XXI საუკუნეში, ჰილარი კლინტონის თქმის არ იყოს, საქართველოში ოქროს ხანა? ა) ოქროს არ ვიცი და ამათ ხელში ქვის ხანა ნამდვილად დადგება; კოფ. 1.28; ბ) დადგება ბრინჯაოს ხანა, ოღონდ ხანმოკლე, ვიდრე ბრინჯაოს არ მოიპარავენ და თურქეთში არ გაყიდინ; კოფ. 2.6; გ) ქემპარტიად, ქემპარტიად დადგება ოქროს ხანა; ამ უკანასკნელ ვარიანტზე კოფიციენტი იმდენად დიდია, რომ ყველა ციფრი აქ, უბრალოდ, არ დაეტყვა. არადა, ალბათ, ყველას გინდა, გვეჯეროდეს, რომ ეს ხანა ოდესმე აუცილებლად დადგება და „ოქრო“ მასში მატერიალური კეთილდღეობის საზომი კი არა, იმ ალორძინების არსის გამოხატველი სიტყვა გახდება, რომელსაც (პატივიკურად კი გამომივიდა, თუმცა ამ ჯერზე არა უშავს) ასე შევნიშნათ.

ღიმიტრი მონიასა

ჰილარი და ნახსენი, ანუ ერთ «ტრუბაში» ორჯერ ვერ გაძვრები

საქართველოში ჰილარი კლინტონის ვიზიტის დროს, ზოგიერთ დამკვირვებელს შეიძლება ერთგვარი Deja vu გასჩენოდა; იმის შეგრძნება, რომ ეს ყველაფერი უკვე ოდესღაც იყო. იყო ივლისის სიციხე, იყო ქალბატონი სახელმწიფო მდივანი, მგზნებარე განცხადებები, გაბადრული მიხილ სააკაშვილი და აღგზნებული სახელისუფლო პროპაგანდა — ყველაფერი ეს, მართლაც, იყო ორი წლის წინათ, 2008 წლის ივლისში, ოღონდ აშშ-ის საგარეო უწყებას მაშინ კონდოლიზა რაისი ხელმძღვანელობდა. იმ ვიზიტიდან ერთ თვეში საქართველომ დაკარგა ყველაფერი, რის დაკარგვაც შეეძლო, და სევდიანად დაფიქრდა დასავლელი მეგობრების გორიზონტი განცხადებების რეალურ ფასზე.

წინ იტმირთავს „გადატვირთვას“

ჰილარი კლინტონის ვიზიტი 5 პოსტ-სოციალისტურ დედაქალაქში ერთობ მოაგონებდა ძველ დროში შორეული კოლმეურნეობების შემოვლას ცენტრიდან მივლინებული ინსტრუქტორის მიერ, რომელმაც რეკომენდაციები პარტიის გენერალურ ხაზში მშრომელების ფართო მასებს უნდა გადაეცინო. „კლინტონის დღის წესრიგში მთავარი საკითხი იქნება ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის დამბობარი ურთიერთობების განმტკიცება რეგიონის ქვეყნებისთვის“ („AFP“).

სხვათაშორის, იმ დროს, როდესაც ინსტრუქტორები კოლმეურნეობებში დადიოდნენ, ერთი საერთო-სახალხო ტრადიცია არსებობდა: თვითონ შეუქმნა საკუთარი თავს პრობლემები და შემდეგ თავადვე გააფთრებოდა ებრძოლო მათ. ამიტომ იყო, რომ ისეთი პრობლემა რომელიც, ყოველივე მოსავალი არაა, ყოველივე მოსავალი რად გადაიქცეოდა ხოლმე ტიტანურ „ბრძოლად მოსავლიანთვის“.

მაგალითისთვის შეგიძლია განახოთ, თუ როგორ სახავს სახელმწიფო მდივანის თანამშრომელი გორდონი დიად და ნათელ მიხნებს: „შეერთებულ შტატებს სურთ, დაძლიონ მიდგომა, როდესაც ვერაპულო დიპლომატია და უსაფრთხოება განიხილება როგორც თამაში ნულოვანი ჯამით და ცენტრალური ევროპის ქვეყნებს სჭირდებათ არჩევანის გაკეთება — პრორუსული იყვნენ თუ პროამერიკულნი“.

საინტერესოა, ვინ ნერგავდა მუხლწაუზრელად ამ მიდგომას და ხსენებულ ქვეყნებს არჩევანის (ან მისი ილუზიის) წინაშე აყენებდა. ვინ შექმნა ეს პრობლემა საერთოდ? მართალია, მთლად ცენტრალურ ევროპას არ მივეყუთნებით, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველო კითხვის — პრორუსული თუ პროამერიკული — მარნუბეში მოექცა, ის, ფაქტობრივად, სისხლისგან დაიცალა.

ვიზიტს სადღევარძელოებით ვით ლამაზი განცხადებები ნამდვილად არ აკლდა; თამარ მეფეც ახსენეს, ოქროს ხანაც, სტრატეგიული პარტნიორობაც, თუმცა უნდა აღინიშნოს,

რომ ზოგადად, „გადატვირთვის“ პროცესში როლები ზუსახელმწიფოებს შორის პოსტ-საბჭოეთში შემდეგნაირად განაწილდა: ამერიკა თითქმის არაფერს აკეთებს და, რასაც უნდა, იმას ლაპარაკობს, რუსეთი მუტნილად დუმს და, რასაც უნდა, იმას აკეთებს.

დამქანცველი ტურენი მიუხედავად, სახელმწიფო მდივანი ძალიან კარგად გამოიყურებოდა. მიხილ სააკაშვილზე იმავეს, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, რადგან იგი გამოიყურებოდა ისე, როგორც ყოველთვის.

საგულისხმო იყო, რომ ოპოზიციური სპექტრიდან ჰილარი კლინტონი სერიოზული (თუმცა ხანმოკლე) საუბრისათვის მზადყოფნაში იმყოფებოდა და ირაკლი ალასანიას შეხვდა; შეხვედრა ქალ ლიდერებთან ლამის „სტადიონის ფორმატში“ სათვალავში ჩასაღდება, ამ მხრივ, ალბათ, არ არის. აქ კი „პირველად საქართველოს ისტორიაში“ მოხდა ის, რაც იდრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო — ქართველმა პოლიტიკოსმა აშშ-ის ადმინისტრაციის მაღალჩინოსან ნარმომა დგენელთან შეხვედრაზე უარი განაცხადა.

„ეს შეხვედრა (ქალ ლიდერებთან) არ არის ის ფორმატი, სადაც რეალურად ქვეყანაში მძიმე პროცესებისა და პრობლემების შესახებ შეიძლება ილაპარაკოს ადამიანმა. როგორც ჩანს, ქალბატონმა ნინომ ჩათვალა, რომ ეს ფორმატი მისთვის არ არის მისაღები“, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ნინო ბურჯანაძის თანაგუნდელმა მანანა სალუქვაძემ. ვაშინგტონის მიმართ ქართული ელიტის მრავალწლიანი უტყვი მორჩილების ფონზე ამან ერთობ ერეტოკულად გაიჭყვინტა, თუმცა იქ, სადაც ამბობ „ა“-ს, ალბათ, ანბანის დანარჩენი ასოებიც უნდა ჩამოთვალო: უესტი ერთია, ხოლო ამერიკული გავლენის განთავსება (თუნდაც ნაწილობრივ) პოლიტიკის გატარება — სულ სხვა რამ. ამერიკელებმა ოპოზიციური სპექტრის უდიდესი ნაწილი, ფაქტობრივად, „დააიგნორეს“ და ხელისუფლების ოპონენტებმა აქედან, ალბათ, შესაბამისი დასკვნები უნდა გამოიტანონ.

თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ მათმა უმრავლესობამ ამ ვითარებაში სხვა გზა



დაინახოს, გარდა იმისა, რომელიც აშშ-ის ელჩის მისაღებაში მიდის.

ვიზიტის მთავარი მესიჯი, ალბათ, შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც „ტური თქვით რუსეთთან მწვავე კონფრონტაციაზე და მასთან ურთიერთობები დაარეგულირეთ“, სხვა რიტორიკული ნიაღვრები („ალ-ფილი მთლიანი „მარადმწვანე“ მფოთება-მეფოთება“, „არაოდე შევეგუებით“ და ა.შ.) ძალიან ჰგავდა ტკბილ კაფსულას მწარე დამამშვიდებელი ნამლისთვის, რომლის გადაყლაპვაც სააკაშვილს მოუწევს. საგარეუდოდ, სახელმწიფო მდივანმა, აგრეთვე, მოუწოდოდა სააკაშვილს გარკვეული ნაბიჯები შეეღებოდა პოლიტიკურ ცხოვრებაშიც გადადგას, იმისათვის, რომ რეჟიმი გაკეთილშობილდეს და თუ არა (ძნელია), ადეკვატურად წარმოიჩინდეს მაინც.

„გადატვირთვა“ კი ჩვეულ კალაპოტში მიედინება, მისი ირბი შედეგებიც სახეზეა. უკრაინის რადამ ქვეყნის ნატოში არაგვიგერება საკანონმდებლო დონეზე დააფიქსირა. პოლონეთმა პრეზიდენტად პრაგმატული ბრონისლავ კომაროვსკი აირჩია, რაც, საგარეუდოდ, რუსეთთან მისი ურთიერთობების გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს. საინტერესო განცხადებები თბილისშიც გაკეთდა; მიხილ სააკაშვილმა გამოთქვა მზადყოფნა მოლაპარაკებებისთვის მოსკოვთან „ყოველგვარი წინაპირობების გარეშე“ და ამავე დროს (რატომღაც) ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის გაყიდვის შესაძლებლობაზე აქტიური მსჯელობა დაიწყო.

მილაპი და ლიანდაგი

ხელი ამ გაზსადენის გაყიდვისკენ საქართველოს ხელისუფლებას პირველად 2004 წელს წაუცდა. ამის გამო მან მიიღო ყვითელი ბარათი ძია სემისგან და ენერგონფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის საერთო ბიუჯეტით 49,5 მილიონი დოლარი. დაბეჩვევით მიიღო რეაბილიტაციის ნულოვანი, თებერვალში დასრულდა. საინტერესოა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გაზსადენი გაიყიდება მანამ, სანამ აშშ-სთან „ათასწლეულის

გამონვევის“ პროგრამის ფარგლებში დადებული შეთანხმება მოქმედებს, საქართველოს ამ თანხის ანაზღაურება მოუწევს.

შესაძლოა, ვინმეს მოეჩვენა, რომ ახალგაზრდა ქართული დემოკრატია ცდილობს, გაიმეოროს ეს ტრიუკი და ვაშინგტონს კიდევ რამდენიმე ათეული მილიონი „მარადმწვანე“ გამოსტყუოს, თუმცა განხილული საკითხი ასეთი წვრილმანი აფერისტობისთვის მეტისმეტად მასშტაბური ჩანს. ორჯერ ერთსა და იმავე მდინარეში ვერ შეტოპავ და მიღმიც ვერ გაძვრები, — როგორც ამბობდა პრაკტიკულ ქვეყნის „გაზრომის“ დაარსებამდე.

ჩრდილოეთ-სამხრეთის

გაზსადენი რუსეთისა და ირანის მილსადენების სისტემების შემაკავშირებელი რგოლია, რომელიც (პერსპექტივაში) მნიშვნელოვნად განამტკიცებს ამ ორი ქვეყნის პოზიციებს ევროპის ენერგომომარაგების საქმეში; იმ შემთხვევაში, თუ მას „გაზრომის“ (ალბათ, შილობილი კომპანიის მეშვეობით) შეიძენდა, რუსეთიც და ირანიც კმაყოფილი დარჩებოდნენ. საქართველოსთვის ეს განაცხადებები თბილისშიც გაკეთდა; მიხილ სააკაშვილმა გამოთქვა მზადყოფნა მოლაპარაკებებისთვის მოსკოვთან „ყოველგვარი წინაპირობების გარეშე“ და ამავე დროს (რატომღაც) ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის გაყიდვის შესაძლებლობაზე აქტიური მსჯელობა დაიწყო.

ჯერ იყო, კლუბ თორღიასა და პალიკო კულაშვილის განცხადებები გაზსადენის გაყიდვის შესაძლებლობაზე და მის ამოღებაზე სტრატეგიული ობიექტების ნუსხიდან, რაც პრივატიზებას შესაძლებელს გახდის. ეს ძალიან ჰგავდა ერთგვარ ტესტს, შესაძლო რეაქციის მოსინჯვას. შემდეგ ნიკა გილაურმა თქვა, რომ გაზსადენის საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს ხელში დარჩება (ამ შემთხვევაში, შეთანხმება „ათასწლეულის გამონვევის“ პროგრამის ფარგლებში დარღვეულად ვერ ჩაითვლება, თუმცა ეს ნაკლებად მნიშვნელოვანი, ტაქტიკური მომენტია) და აქ-

საქართველო

◀ ციფრების 10-15%-ის გაყვანა არ გამოიწვევს. ციფრებს „10-15“ ან „20-25“ ამ შემთხვევაში, ალბათ, ნაკლები მნიშვნელობა აქვს, თეორიული დატვირთვის სამშობლოში რომ იტყვიან: „Коготок увыз — всей птичке коней“.

ცხადია, ასეთ მცირე ინფორმაციაზე დაყრდნობით გლობალურ დასკვნას რუსეთთან დაახლოების შესახებ, ვერ გავაკეთებთ, თუმცა არის კიდევ ერთი ობიექტი, რომელმაც უახლოეს მომავალში შეიძლება ამ თვალსაზრისით ინდიკატორის როლი შეასრულოს.

ეს საქართველოს რკინიგზა; რუსეთის ინტერესი მისდამი ტრადიციულად დიდი იყო, ახლა კი მას კიდევ ერთი ფაქტორი გააძლიერებს. რუსეთის პრეზიდენტის რწმუნებულმა ჩრდილოეთ კავკასიაში, ალექსანდრე ხლოპონინმა რეგიონის განვითარების გეგმა „ჩრდილოეთ კავკასია — ზრდის ტერიტორია“ წარმოადგინა. მასში ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახელებულია ამიერკავკასიასთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა; პერსპექტივაში ირანთან ტვირთბრუნვის გაზრდა. სტრატეგიის საბოლოო მიზანი რუსეთის ყველაზე არასტაბილურ რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებაა. ამ ამოცანის გადამწყვეტს კი კრემლი სრული სერიოზულობით ეკიდება. სავარაუდოდ, მალე მსჯელობა „საქართველოს რკინიგზის“ მომავალზე კვლავ აქტუალური გახდება.

ჯერჯერობით კი ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში მიდის. სააგენტო „პირველის“ ინფორმაციით,

„კაოკაპანიასიის ფარგლებში „საქართველოს რკინიგზიდან“ დაახლოებით 500-მდე თანამშრომელს გაათავისუფლან“.

ამასთან, გამორიცხული არ არის, თანამდებობა თავად რკინიგზის შეფმა ირაკლი ეზუგბაიაძემ დატოვოს“. ამირებს თუ არა ხელისუფლება, ეს ორი სტრატეგიული ობიექტი (სხვა რალა დარჩა) რუსეთის კონტროლს დაუქვემდებ-

ბაროს? თუ ამირებს, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი: გეოპოლიტიკური მდგომარეობის ახლებური გააზრება, ჩიხში შესული ქვეყნისთვის გამოსავლის ძიება თუ სხვა, გაცილებით ბანალური ფაქტორები? კერძოდ, ხომ არ ახდენენ სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები ამ საკითხების მიზანს საკუთარი მომავლის, ყბადაღებული „უსაფრთხოების გარანტიების“ პრობლემაზე? ისე, თუ პოლიტიკოსმა ერთხელ მაინც დაინყო საუბარი უსაფრთხოების გარანტიებზე საკუთარი თავისთვის, მას სხვა თემაზე აღარ დაელაპარაკებია; ამ მომენტიდან იგი პოლიტიკური გეგმა, უსაფრთხოების სანაცვლოდ დაათმობინებენ ყველაფერს, რაზეც ხელი მოუწევდა. ჩვენ არ გვაქვს იმის დადასტურებული ცნობები, ჰქონდა თუ არა სააკაშვილს ან მის თანაგუნდელებს (საიდუმლო) მოლაპარაკებები მოსკოვთან ამ თემაზე, თუმცა ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი (მაგალითად, გუბაზიანი) ამას დაჟინებით ამტკიცებს. თუ ეს სიმართლეა, რუსეთი უპრობლემოდ მიიღებს იმ ობიექტებს, რომლებსაც ხელს დაადებს.

ბინ მაბარაკ ალ ნახაიან

საქართველოში მოქალაქეების საშუალო წლიური ხელფასი, წინა წლებთან შედარებით, ოთხჯერ გაიზარდა; სოციალური მდგომარეობა ქვეყანაში გაუმჯობესდა. მსგავსი განცხადებების გაკეთების შემდეგ, როგორც წესი, მიქმელის სიახლოვეს მალევე ჩნდებიან ყურადღებიანი ადამიანები თეთრ ხალათებში და ალერსიანად არკვევენ, რა დალია და რა მონია ასეთი.

თუმცა, ვინაიდან ეს პოსტულატი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა პარლამენტის ტრიბუნიდან გააჟღერა, ყოველივემ ექსცესების გარეშე ჩაიარა; მისთვის, როგორც ჩანს, შეიძლება... მეტიც, გილაურმა სიამაყით განაცხადა, რომ ქვეყანაში მოქმედი შრომის კოდექსი მოქმედებს. როდესაც დეპუტატმა ლევან ვეფხვაძემ სიამაყე დაეზუსტებინა, რამი გამოიხატება „მოქნილობა“, პრემიერმა უპასუხა, რომ „საქართველოში ჩამოსული უცხოელი ინვესტორი, ადგილობრივი შრომის კოდექსის გაცნობის შემდეგ, მზად არის, მუშა ხელი დაეჭირავოს. სხვა ქვეყნების შრომის კოდექსის გან-

ხილვის შემთხვევაში კი, ინვესტორი ასეთ მზადყოფნას ვერ გამოთქვამს, რადგან მიიჩნევს, რომ, მოქმედი კანონმდებლობით, მას დაქირავებულის სამსახურიდან გათავისუფლება გაუჭირდება“ („მედიანიუსი“).

ამგვარად, რაც უფრო მარტივად შეიძლება „დაიქნოს“ ადამიანი სამსახურიდან, მით უფრო „მოქნილია“ კოდექსი; იდეაში, ნიკა გილაურის ეს აზრი მარმარილოში ამოკვეთას საჭიროებს, როგორც საქართველოს მოქალაქეებზე დაუღალავი ზრუნვის თვალსაჩინო მაგალითი, თუმცა ინვესტიციები ქვეყანაში მაინც არ შემოდის, გინდაც შრომის კოდექსში დაქირავებულის მიერ დაქირავებულის გაროზგვის უფლება ჩანდეს. პრემიერმა პარლამენტში გამოსვლისას აღიარა, რომ მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა შემცირდა, ხოლო პრივატიზაციის ტემპმა იკლო. ცხადია, არც ერთი საღად მზარდო ინვესტორი არ შემოვიდა ქვეყანაში, რომელსაც უსაფრთხოების არანაირი გარანტიები არ გააჩნია, ხოლო კორუფციის დონე ისეთივე მაღალია, როგორც 1999-2000 წლებში (Freedom House-ის კვლევის შედეგები).

როგორც ჩანს, მთავრობა ინვესტორების არატრადიციული მეთოდებით შემოტყუების იმედებშია. მაგალითი: ბათუმში ერთ-ერთ ქუჩას თურქი ინვესტორის სახელი დაერქვა, ხოლო მონაკვეთის ხიშიმპედიის ქუჩიდან ლეონიძის ქუჩამდე არაბი შეიხის, ნახაიან მაბარაკ ალ ნახაიანის სახელი დაერქმევა.

ასე რომ, ყველას ვინც წელს ბათუმში ჩავა, შეუძლია გულუბრყვილო გამომეტყველებით ადგილობრივებს ჰკითხოს: „უკაცრავად, ნახაიან მაბარაკ ალ ნახაიანის ქუჩაზე როგორ მოვხვედ?“ ან კიდევ: „რა უბნელი ხარ, ბრატ? ნახაიან მაბარაკელი მეგონე და ქვემო ნახაიანელი ყოფილხარ“. ისე, ხსენებული ნახაიანი (ცოტა ფამილიარულად კი გამოგვივიდა, წესით, „თქვენი უდიდებულესობით“ უნდა მივმართოთ) ბოლო დროს რალაც არ ჩანს. ზის, შესაძლოა, სადღაც იქ, პალმის ქვეშ, ცხელ ქვიშაზე და საქართველოს „მოქნილ“ შრომის კოდექსს კითხულობს. ვაცალოთ; იქ ბევრი ასოა, სავარაუდოდ, უჭირს...

დიმიტრი მონიავა

სანამ კებრა მოვიდოდა, მიუხირობი ბურჯანაძეს კლინტონთან შეასწრო



რამდენიმე წლის წინათ ბელარუსში ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. ერთ-ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ პიარ-კომპანიას თავისი „გაპიარება“ სთხოვა. კომპანიამ ვალდებულება პირნათლად შეასრულა და გარკვეულ დროში პარტიას დეტალურად განერილი სამოქმედო გეგმა მოუმზადა, რომელიც პრაქტიკულად ამ პარტიის ხელისუფლებაში მოსვლას უზრუნველყოფდა. პარტიის მესვეურებმა გეგმას გადახედეს და კომპანიას შეუთვალეს, ახლა თქვენ იმდენსაც წუ იზამთ, რომ ჩვენმა პარტიამ არჩევნები მოიგოს და ხელისუფლებაში მოვიდესო.

დაეს. „ჩვენი მხრიდან შეხვედრა არ არის აუცილებელი. ჩვენ შორის სრული თანხმობაა“, — დასძინა მან.

აუცილებლობას ვერ ხედავ, თორემ, რომ ხედავდე, კლინტონი კალთებს გახევს, ოღონდ შენ შემხვდი და ცხოვრებაში აღარ დაივიწყებ არაფერზეო, არა? მამრად, ძალიან ცხელა, არა? რა გინდა, თქვა, რომ ჰილარი კლინტონს გულს ჯიბით შენი და ნოღაიდელის ფოტოები დააქვს?

იგივე რეაქცია ჰქონდა ნინო ბურჯანაძესაც — კლინტონი მხოლოდ იმ „ოპოზიციას“ შეხვდება, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება შესთავაზებდა, ანუ უბედური პილარი, მთლად ჩვენი ხელისუფლების ჭკუაზე დადის და თვითონ ვეღარ წყვეტს, ვის შეხვდეს და ვის — არა? მაინტერესებს, როდესმე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა თუ გადანყვიტა, რომ სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლა სურს, ამ გადანყვეტილების მიღებიდან რამდენ წამს გაძლებს მიშკო ხელისუფლებაში?

საბელმწიფო მდივნის მხრიდან კიდევ უფრო ნათლად იქნება ნათქვამი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოში თავისუფალი დემოკრატიის განვითარება და რომ მხოლოდ ასეთ ფორმატში არის შესაძლებელი მსოფლიოს ნამყვან სახელმწიფოსთან პარტიორობის გაღრმავება და გაძლიერება, — განაცხადა გიორგი თარგამაძემ. ამაზე ნათქვამი — ღმერთო, რატომ არ გაიცინებო. ესენი თურმე მოელიან...

ამერიკის საელჩოს მიერ შედგენილი „ოპოზიციის სია“ ნამდვილად საყურადღებოა და ამკარად გვირვენებს, როგორ არის შეერთებული შტატები „დაინტერესებულნი“, რომ საქართველოში დემოკრატია განვითარდეს და ძლიერი ინსტიტუტები შეიქმნას. შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტს — თარგამაძეს რომ ოპოზიციად მიიღებ და მას პატივისცემით მოექცევი, გაგიკვირდეს მერე, რომ საქართველოში აშშ უკვე ლამის ისეთივე გალიზიანებას იწვევს, როგორც თავის დროზე — საბჭოთა კავშირი.

ამ შეხვედრასთან დაკავშირებით ტლინკები ყყარა კიდევ ერთმა „ოპოზიციონერმა“, ზურაბ ნოღაიდელის მარჯვენა ხელმა პეტრე მამრამაძემ; თანაც ისეთი კეკლეობა დაინყო, ფარისევლობაში თარგამაძეს თუ არ აჯობა, არც ჩამორჩენია ბევრად. როგორც მამრამაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, იგი ამ შეხვედრაში მონაწილეობის აუცილებლობას ვერ ხე-

და კიდევ ერთი — შემთხვევით, ასევე ხომ არ ბლოკავდნენ ხელისუფლებაში ყოფილს პარლამენტის თავმჯდომარე ბურჯანაძე, პრემიერ-მინისტრი ნოღაიდელი და კანცელარიის უფროსი მამრამაძე ამერიკელებთან შეხვედრებზე მაშინდელ ოპოზიციონერებს?

ასე გაგრძელეთ, პატივცემულო ამერიკელო ზედამხედველებო. დიდი მადლობა ყველაფრისთვის და საპასუხოდ მთელი სულითა და გულით გისურვებთ, რომ თქვენს სამშობლოში ძალიან მალე გეხილოთ და თქვენს ტყაზე გამოგეცადოთ ისეთივე აყვავებული დემოკრატია, ხელმეუხებელი კერძო საკუთრება, გაფურჩქნის სტადიაში მყოფი სიტყვის თავისუფლება და ყველანაირი ღირსებით შემკული ოპოზიცია, ხელისუფლებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, როგორც თქვენ შეგვიქმენით საქართველოში.

— უკასრავად, ნახაიან მაბარაკ ალ ნახაიანის ქუჩაზე რიგობი მოხვდა?

— რა უბნელი ხარ, ბრატ? ნახაიან მაბარაკელი მეგონე და ქვემო ნახაიანელი ყოფილხარ.



მსურთ, გააზრდეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვიკავშირდით: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

რამაზ
კლიმაშვილი:

ჰაბაზუი სააკაშვილის ნინა აღდეგა 380 ტონი ღვსს!

სახელმწიფო მდივნის პოსტზე წელიწად-ნახევრის განმავლობაში ჰილარი კლინტონმა მსოფლიოს უკვე რამდენჯერმე შემოუარა. ამასობაში პოლონეთის პრეზიდენტის არჩევნებზე მოვიდა, რაც ევროპის მომავლისთვის შეიძლება გადაწყვეტილებები კი აღმოჩნდეს. და როგორც იქნა, ის რეგიონი გაიხსენა, რომელსაც ამერიკულმა გაზეთებმა „რუსეთის უკანა ეზო“ უწოდეს.

საკაშვილმა არ დააყოვნა, მიიწვიდა უშიშროების საბჭო და მის წინაშე ისეთი არეული სახით წარსდგა, რომ მისი თავგადასავალი მომხრე დედაკაცებიც სერიოზულად შეშფოთდნენ მისი ფიზიკურ მდგომარეობის გამო. მან ჰილარი კლინტონისთვის განცხადებაც გამოაცხადა, რომ „ჩვენ რუსებს ყველაფერზე უშიშრობად დავაფლავებთ“, ოღონდ ბოლოში რატომღაც დალაპარაკებისთვის სამი პირობაც მიაყოლა, რაც ამ განცხადებას აზრს უკარგავს. გაუგებარია, მან ჰილარი კლინტონი და ამერიკელები მიიჩნია სულელეებად? კი, ბატონო, ჩვენ, ქართველები, სულელები რომ ვგონივართ, გასაგებია; აბა, როგორ ვითმენთ სულიერად ავადმყოფ კაცს; მაგრამ თავისი პატრონებზე სულელეებად გამოიყვანა?

მოზრდილებისგან განსხვავებით, რომელთაც აზროვნება ჯერ კიდევ შეუძლიათ. მას, ასევე, თურმე რამდენიმე შეხვედრა ჰქონია ჰილარი კლინტონთან (სინამდვილეში სააკაშვილი მას მხოლოდ ერთხელ შეხვდა); შარშან, სექტემბერში, გაეროს შტაბ-ბინის დერეფანში ჩაუსაფრდა და გამოიჭირა, რის შემდეგაც კადრები ყველა ჩვენგანმა „ნაცვების“ ტელევიზიების საშუალებით ვნახეთ: **საკაშვილი ბუჭებში მოხრილი და თავჩაქინდრული უსმენდა ქალბატონ ჰილარის და ეს ყველაფერი მაგონებდა, სკოლის დირექტორი რომ უფიც ხულიგან მოსწავლეს დაიბარებს და უკანასკნელ გაფრთხილებას აძლევს!**



საკაშვილი ბუჭებში მოხრილი და თავჩაქინდრული უსმენდა ქალბატონ ჰილარის და ეს ყველაფერი მაგონებდა, სკოლის დირექტორი რომ უფიც ხულიგან მოსწავლეს დაიბარებს და უკანასკნელ გაფრთხილებას აძლევს!

ამ ავადმყოფმა კაცმა კლინტონის ექვსსაათიან საინსპექციო ჩამოსვლამდე საერთოდ აურია და „მოდერნიზებული“ ტელეარხში ისეთი სისულელეები ილაპარაკა, მისი კომენტარებმა ჩემისთანა სერიოზული კაცისთვის ცოტა უხერხული ხდება. მე მხოლოდ რამდენიმე შედეგად ვაღიარებ: მან, მის მიერ „სპეცოპერაციით“ ლონდონში მოკლულ ბრწყინვალე ქართველ ბიზნესმენ ბადურ პატარკაციშვილს „კრიმინალი“ უწოდა (საინტერესოა, შემდეგ რას უწოდებდა, ასევე, მის მიერ მოკლულ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვინავას?). მან ავსაზებით დაიწყო რაოდენობა 500 ათასამდე აიყვანა, მათთვის უბადურეუი შემწეობის გარდასაც არაფერი, არაფერი, თუნდაც ის 300 ათასიც ხომ ქალაქზე გამოგონილი კორუპციონერული ციფრი იყო, რათა გაეროს ლტოლვილთა კომიტეტიდან ქართველ ჩინოვნიკებს ფული საკუთარი ჯიბისთვის მიეღოთ, მაშინ, როდესაც, საბჭოთა კავშირის სულ ბოლო საყოველთაო აღწერით, აფხაზეთში ორას ოცდათორმეტი ათასი ქართველი ცხოვრობდა, მათი ნახევარი რუსეთში წავიდა, ხოლო გალში დღეს სამოცდაათ ათასზე მეტი ცხოვრობს!

კი მაგრამ, რამდენჯერ შეიძლება ბოლო გაფრთხილება? ყველას გვახსოვს, სამი წლის წინათ, ზუსტად ამ დღეს, ჯორჯ ბუშის დაბადების დღეს, მიშა რომ ვაშინგტონში ჩაფრინდა და თავის პატრონს ღია ეთერში „ჰეი ბერთაღი“ უმღერა, ბუშმა კი საღამოს ბანკეტზეც კი არ დაპატიჟა, სადაც მთელი ელიტა იმყოფებოდა! სამაგიეროდ, იმ დღეს კონდოლიზა რაისმა გაგვილანძლა ჩვენს ეს ვითომ პრეზიდენტი, რომ მთელი ათი დღე მიშა ისე დაგვეკარგა, სანდრამაც არ იცოდა, სად იყო!

საკაშვილი გვიმტკიცებს, რომ ქობალია აფხაზური გვარია, მაშინ, როდესაც აფხაზი თავადები, ანჩაბაძეები და მარშანიები თბილისში სხედან და მათ არავინ იყენებს ქართული საქმისთვის. „რეინტეგრაციის“ მინისტრად ყველაზე მტყუარა კაცი გვიზის, რომელსაც სოხუმში ყველა ებრაელად მოიხსენებს. ჩვენს ძმებ ებრაელებთან, ბუნებრივია, არავითარი პრობლემები არ გვაქვს და არც არასოდეს გვექნება, მაგრამ, რატომ უნდა გვჭირდებოდეს ქობალიები და ბარამიები, რომელთაც დევნილები დასანახად ვერ იტანენ?

აქ სააკაშვილის ავადმყოფურ ინტერვიუს მისი განცხადებით დავამთავრებ, რომ, თურმე „ყველაზე სუფთა სასამართლო“ გვექონია; ნუთუ ერთი 033 მანქანა არ არის, რომ ეს კაცი იქ ნაიყვანოს, სადაც მისი ადგილია?

მაგრამ აქ მისი მომავალი რეზიდენციის პრობლემა ვაწყვეტით - ნინა კვიციანი უკვე მესამედ იყვნენ ჩამოსული ჰაგის საერთაშორისო კრიმინალურ-

საკაშვილმა კიდევ ერთი „ბრწყინვალე“ იდეა გაახმაინა, თქვა, რომ არჩევნებში ბავშვები უნდა მონაწილეობდნენ. ალბათ, მისი აზრით, ისინი მას ავტომატურად მისცემენ ხმას,

რომელიც მისი ადგილია?

მაგრამ აქ მისი მომავალი რეზიდენციის პრობლემა ვაწყვეტით - ნინა კვიციანი უკვე მესამედ იყვნენ ჩამოსული ჰაგის საერთაშორისო კრიმინალურ-

მაგრამ აქ მისი მომავალი რეზიდენციის პრობლემა ვაწყვეტით - ნინა კვიციანი უკვე მესამედ იყვნენ ჩამოსული ჰაგის საერთაშორისო კრიმინალურ-

ქოსა და ერევანს, ფაქტობრივად, ერთდროულად სტუმრობდა, რასაც „მატლ დიპლომატია“ ეწოდება და რაც ძალიან სიმბოლური ჟესტი იყო. ჩვენთვის კი ამერიკელებმა მხოლოდ „პაპიელია“ გამოიმეტეს.

კლინტონმა რომ მხოლოდ ზრდილობისთვის შემოიარა და ვალი მოიხადა, ეს იმითაც გამოჩნდა, რომ საელჩოში მას სერიოზულ ოპოზიციასთან შეხვედრა არ დაუგეგმა. არადა, ჩვენს ოპოზიციას ხომ უყვარს ქუჩის აქციები და, კიევის მსგავსად, ამჯერად რატომ არაფერი დაგეგმეს, ამერიკელებისთვის რომ ეჩვენებოდათ, თუ რას ფიქრობს ქართველი ხალხი მიშა სააკაშვილზე; ამ შემთხვევაში, ხალხი ნამდვილად გამოვიდოდა. არადა, ოპოზიციის მაგივრად რომ ამერიკელებმა „ქალღმერთებთან“ მოაწყვეს შეხვედრა, ესეც ბევრი რამის ამსხნელია.

მე ვუსმენდი ქართველი პოლიტიკოსებისა და „ექსპერტების“ გამოხატულებას და ისეთ შთაბეჭდილებას მექნებოდა, რომ ისინი მარსიდან ჩამოფრინდნენ. მაგალითად, „რუსეთი 2“-ზე აცხადებდნენ, რომ „ამერიკა რუსეთს აიძულებს ქვეყნის დეოკუპაცია მოახდინოს“, ე.ი. მათ ქართველი იდიოტები ვგონივართ (თუმცა ასეთებიც საკმაოდ გვყავს...). ყველა ტელეარხი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ რაღაც განსაკუთრებული ხდება და ჰილარი კლინტონი გავლით კი არ არის თბილისში, სულ რაღაც ექვს საათით შეჩერებული და არა სააკაშვილის მხარდასაჭერად მთელი კვირით ჩამოსული. არადა, ამან „ნაცვების“ ტელეარხებს საშუალება მისცა, საერთოდ არ უხსენებინათ პოლიტიკოსების და მათი დაგმობის საკმაოდ დახვეწილი იდეოლოგია და სკეპტიკური მხარდაჭერის ნაწილები, რომელთა მიხედვითაც, თბილისში რომ ბუშის ქუჩა იქნება, ამერიკას რა პრესტიჟი უნდა ჰქონდეს?! მაშინ მან ამერიკის საგარეო პოლიტიკის ხუთი ძირითადი მიმართულება გაახმაინა, სადაც ჩვენი რეგიონი საერთოდ მოხსენიებულიც კი არ ყოფილა.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამერიკა საქართველოს არ აიარალებს - ბოლო წლებში ამერიკამ საქართველოს გადასცა ათი „იროკეზის“ ვერტმფრენი, ორი საპატრულო კატარა „პოინტი“ სათადარიგო ნაწილებით, 230 საავტომობილო ტექნიკა, უახლოეს ხანში კი საქართველოს გადასცემენ 15 S-70A ვერტმფრენს. ადვილად წარმოსადგენია, რომელიმე ავადმყოფი ავანტიურისტი (მორსა გვეყავს საეზობარი?) რამე გამოიყენებს მათ.

რაც შეეხება საქართველოს ნატოში ვითომ განვერებებს, ასე ყოველდღიურად რომ ატყუებენ და ტვინს უბნევენ ქართველ ხალხს, 1 ივლისს გამოქვეყნებულ ინტერვიუში ალექსანდრე რარი, გერმანიის საგარეო საქმეთა საბჭოს დირექტორი ამბობს: „დღეს ეს რამდენიმე მიზეზის გამო შეუძლებელია: პირველ ყოვლისა, ვიდრე ბარაკ ობამა პრეზიდენტი, მას ეს რეგიონი სრულიად არ

არც ერთ ქვეყანას არ შეიძლება ჰქონდეს მოხალისე, რომელსაც ნარსულთან კავშირი განუკვეთილი აქვს, ხოლო მისი ახყო საერთო ანტაგონიზებია ჩაფლული

საქართველო

აზროვნება, გაგნობრივი თქმის მისაზრებელი? დახმარებით: 38-41-97, ან ელფოსტით: info@geworld.net

რევიზორის შემოღებას, ანუ რა ბიოსრატო, რით გაბასსროთ?

არსად, არც ერთ ქვეყანაში, რევიზორის ვიზიტს (მაპატიოს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ეს შედარება) ისეთი აურზაური და ხბოს აღტაცება არ მოჰყოლია, როგორც პილარი კლინტონის ვიზიტი გააშუქა ქართულმა ჯიბის (მიშას ჯიბე იგულისხმება) მედიამ. ახლა, როცა ვნებები დაცხრა, როცა მერაბიშვილის „მოწყალეობით“ გასუქებულმა ექსპერტებმა გული იფურცეს ვიზიტის მნიშვნელობაზე აღტაცებული კომენტარებით, საითაოდ დათვალეს, თუ რამდენჯერ ახსენა კლინტონმა ტერმინი „ოკუპაცია“, მომხდარის ცივად განსჯის დრო დადგა. სანამ უშუალოდ რევიზორის ვიზიტზე ვისაუბრებთ (ცნობისათვის, სააკაშვილი მას აეროპორტში არ დახვედრია), უკანასკნელ მოვლენათა ქრონოლოგია გავიხსენოთ.

ჯერ იყო და ივნისის დასაწყისში სააკაშვილი სტუმრობდა სარკოზის. მან „სარკოზი“, საჯაროდ აღიარა, მედევიდან ან პუტინთან შეხვედრის ორგანიზება სთხოვა. მოგვიანებით სარკოზის რუსეთის ხელმძღვანელობა ცხელი მთხრობდა, უფრო მოგვიანებით რუსეთის პრეზიდენტი ბარაკ ობამასაც შეხვდა და სამხედრო ბაზის (ნაცონალური ამერიკული კერძი) დახანძრულ მაგიდასთან დიდხანს ემუშავა.

ამის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ თურმე ამერიკელებმა (და არა რუსებმა) საქართველოში იარაღის შემტანაზე არაოფიციალური კომარაგო დაადგეს. ამის შემდეგ ევროპაშიც და ამერიკაშიც ერთხანად ალაპარაკდნენ თბილისსა და მოსკოვს შორის დიალოგის აუცილებლობაზე. სააკაშვილი მაშინვე იარაღის შემტანაზე ცხადდება კი გააკეთა — მზად ვარ რუსეთთან უპირობო მოლაპარაკებებისთვის.

5 ივნისს კი საქართველოში სტუმრად (სულ რამდენიმე საათით) ჩამოდის პილარი კლინტონი, რომელიც არ იმუშავებს, ერთი შეხედვით, არაადეკვატურ ტერმინებს — „ოკუპაციები“, „დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი“, „თამარ მეფის ოქროს ხანის გამეორების შანსი“, „სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის აღიარება“, „დემოკრატიის შექმნა“...

ეს ყველაფერი ხომ ხბოსავით აღტაცებული ჯიბის მედიისთვის არის განკუთვნილი და სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი მაგლიერება ავლანეთში გაგზავნილი 2000 ქართველი ჯარისკაცისთვის. ოღონდ იქ ჩვენი ჯარისკაცები გავაგზავნიდნოთ და ყურადღებები იყო ის, რომ ამერიკელმა რევიზორმა საქართველოში ვიზიტის ფარგლებში პირველი შეხვედრა მიიღო ქალბატონი იყო ის. თითქოს მნიშვნელოვანი არაფერი, მაგრამ სტუმარმა ლედიმ ერთი საინტერესო განმარტება, გენბავთ მინიმუმაც, გააკეთა:

„სამოქალაქო საზოგადოება არის ის, რაც ქვეყანას ერთად მჭირავს. აუცილებელია, ახსენა, როცა ვნებები დაცხრა, როცა მერაბიშვილის „მოწყალეობით“ გასუქებულმა ექსპერტებმა გული იფურცეს ვიზიტის მნიშვნელობაზე აღტაცებული კომენტარებით, საითაოდ დათვალეს, თუ რამდენჯერ ახსენა კლინტონმა ტერმინი „ოკუპაცია“, მომხდარის ცივად განსჯის დრო დადგა. სანამ უშუალოდ რევიზორის ვიზიტზე ვისაუბრებთ (ცნობისათვის, სააკაშვილი მას აეროპორტში არ დახვედრია), უკანასკნელ მოვლენათა ქრონოლოგია გავიხსენოთ.



მან ამ მიმართულებით ბევრი უნდა იმუშაოს, ანუ ერთხელ მაინც მოქცეს ისე, როგორც ღირსეულად ეკადრება და ჩაატაროს გაუყალბებელი არჩევნები (კლინტონს, სამსხრუხარო, გამორჩა, რომ არჩევნები საქართველოში, ძირითადად, ამერიკის ნახალისებით ყალბდება);

გ) თუ დემოკრატია არ განვამტკიცებთ, აფხაზეთსა და სამაჩხაბლოს კიდევ უფრო დავშორდებით, დემოკრატიის განმტკიცება კი თავისთავად გულისხმობს არჩევნებში დამარცხების გზით ხელისუფლების შეცვლას და რომ არჩევნები, არათუ სააკაშვილია, თვით პილარი კლინტონიც წააგო;

დ) აუცილებელია, რომ „ქვეყანაში იყოს პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება“, ანუ ძალაუფლების დათმობას სააკაშვილი თუნდაც იმიტომ უნდა შეეფოს, რომ რუსეთი მასთან, როგორც პოლიტიკურ გვამთან, საუბარს არ აპირებს, ამ რეჟიმში კი, თბილისისა და მოსკოვის დიალოგის გარეშე, სიმშვიდე არ დამყარდება. ეს კი „გადატვირთვის“ ჩარჩოებში არ თავსდება და მამამარჩენალი ამერიკის ინტერესებს, მსუბუქად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება.

ეს ყველაფერი, კლინტონმა სააკაშვილს ავლაბრის რევიზორად და არაადეკვატურ „დემოკრატიის შუქურასთან“ ქართველი ხალხის საზიანოდ მეგობრობას ისევ ძუკუსა და მიხოსთან ამხანაგობა ჯობია. სააკაშვილის რეჟიმი და ქართველი ხალხი კი ერთი და იგივე სულაც არ არის.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, რევიზორმა ლედიმ სცადა, სააკაშვილისთვის კიდევ ერთხელ აეხსენა შემდეგი ანბანური ჭეშმარიტებანი:

ა) რუსეთთან მოლაპარაკებისათვის მარტო მისი მზადყოფნა საკმარისი არ არის; ბ) საქართველო ძალიან და მისაა დემოკრატიის დონა და

რი კლინტონს ხელისუფლებამ შეახვედრა მხოლოდ მისთვის მისაღები ოპორტიუნა — ირაკლი ალასანიასა და გიორგი თარგამაძე. რა თქმა უნდა, საზოგადოებაში აქამდეც არსებობდა გარკვეული მოსაზრებები ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შესახებ, მაგრამ პილარი კლინტონის ვიზიტმა საბოლოოდ დაადასტურა ვერსია, რომ ალასანია და თარგამაძე შუშის სახლიდან იმართებიან... მიუხედავად ამისა, იმიტომ, რომ, თუკი რამაა, თქმა უნდა და რევიზორის ყურამდე მისას ცოდვების მიტანა სურდათ, ერთი 740-კაციანი მშვიდობიანი საპროტესტო აქცია ან სულაც საინფორმაციო მიტინგი მაინც უნდა მოეწყობა.

ახლა რაც შეეხება ჯიბის მედიის ქოთქოტს, რომ ამ ვიზიტმა და ორჯერ თუ სამჯერ ტერმინ „ოკუპაცია“ ხსენებამ ლამისაა სოხუმსა და ცხინვალში ქართული დროშა ააფრიალა...

ჯერ ერთი, კლინტონმა მკაფიოდ გაუსვა ხაზი, რომ საქართველო დიალოგი, მათ შორის, რუსეთთან, სოხუმთან, ცხინვალთან. მას ახალი არაფერი უთქვამს, იგივე გვითხრა რამდენიმე დღის წინათ გორდონმაც.

რევიზორმა მიშას აუხსენა, რომ ვამინგტონისგან საქართველო უხვად მიიღებს სიტყვიერ მხარდაჭერას, აღმოფთვებს ტერიტორიების ოკუპაციის გამო, მაგრამ რეალურად ტერიტორიების პრობლემა ამით ვერ გადაიჭრება.

რევიზორმა სააკაშვილი მიახვედრა, რომ ცხინვალისა და სოხუმის ბედ ვამინგტონსა არა ბრავუნია ში არ წყდება, არამედ...

ვლადიმერ პუტინმა, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, მკაფიოდ და გასაგებად ახსენა კლინტონის ვიზიტის მიზანიც და მისი ვიზიტის ახლო თუ შორეული პერსპექტივებიც:

„ეს ომი ჩვენ არ დავგინყვია და პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებათ, ვინც დაინყო. ისინი უნდა აღიჭურვონ სიმაძაცით და მოძებნონ გზა იმ ადამიანების გულებთან, როლებიც თავად დაჭრეს. ვინც მიჩრეწეს, რომ სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულია, ვინც კი — რომ გათავისუფლებულია. ეს არის ორ ხალხს — ქართველებსა და სამხრეთ ოსეთელებს შორის დიალოგის საგანი. ამ დიალოგი უნდა შეხვიდე მესამე მხარეზე აპელირების გარეშე... ამერიკა — ეს ამერიკაა, საქართველო საქართველოა, რუსეთი რუსეთია, ოსეთი კი — ოსეთი. არ არის საჭირო ვინმეს კენთითი შევრა და ციური მანანების ლოდინი... არავინ მოგეცემს თავისუფლებას — არც მეფე, არც ღმერთი და არც გმირი“, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა ქუთაისში აფეთქებული მეორეხარისხის სანაცვლოდ მოსკოვში ასაგები ძეგლის ესკიზების დათვალიერებისას.

ამ განცხადებით პუტინმა ცხადდა განსაკუთრებით გონებამზღვრული და აღტაცებული ხბობებისთვის აეხსენა, რომ: ა) ჯერ იმან უნდა აგოს პასუხი, ვინც ომი დაიწყო; ბ) ოკუპირებულები არიან თუ გათავისუფლებულები, ეს ოსების გადასაწყვეტია და, თუ სააკაშვილს არ ეზარება, მომავალშიც საითაოდ დათვალეს კლინტონი ტერმინს „ოკუპაცია“; გ) თუ საქართველოს ამ პრობლემის მოგვარება უნდა, ის ოსებს უნდა ესაუბროს და არა პილარი კლინტონს, ავლაბარმა; დ) რაც უნდა ხშირად, თუნდაც დღემდე სამჯერ, ჭამის წინ, იმეორონ „მამაო ჩვენო“ -სავით ამერიკელებმა ან ევროპელებმა „ოკუპანტი“, სანამ რუსეთი არ მოინდომებს, ციური მანანების, ანუ სასნაულის იმედზე გინდ გეგონია, გინდა არა; ე) პრობლემის გადალექვის მოსკოვში ძევს და, სანამ პოლიტიკურ გვამად შერაცხული სააკაშვილი და მისი გუნდი ხელისუფლებაში არიან, არც „მეფე“ (ანუ სააკაშვილი) მოგვიგვარებს პრობლემას, არც — „ღმერთი“ (ანუ ამერიკა) და არც — გმირი (ჩორტ ევო ზნაეც, ვინ!). აქვე მნიშვნელოვანია, რომ პუტინმა თავისი კომენტარში ახსენა მხოლოდ სამხრეთ ოსეთი და არც ერთხელ — აფხაზეთი... კი მთქმელს კი გამოგონებდა...

საკაშვილი უნდა იმუშაოს, ანუ ერთხელ მაინც მოქცეს ისე, როგორც ღირსეულად ეკადრება და ჩაატაროს გაუყალბებელი არჩევნები (კლინტონს, სამსხრუხარო, გამორჩა, რომ არჩევნები საქართველოში, ძირითადად, ამერიკის ნახალისებით ყალბდება);

გ) თუ დემოკრატია არ განვამტკიცებთ, აფხაზეთსა და სამაჩხაბლოს კიდევ უფრო დავშორდებით, დემოკრატიის განმტკიცება კი თავისთავად გულისხმობს არჩევნებში დამარცხების გზით ხელისუფლების შეცვლას და რომ არჩევნები, არათუ სააკაშვილია, თვით პილარი კლინტონიც წააგო;

დ) აუცილებელია, რომ „ქვეყანაში იყოს პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება“, ანუ ძალაუფლების დათმობას სააკაშვილი თუნდაც იმიტომ უნდა შეეფოს, რომ რუსეთი მასთან, როგორც პოლიტიკურ გვამთან, საუბარს არ აპირებს, ამ რეჟიმში კი, თბილისისა და მოსკოვის დიალოგის გარეშე, სიმშვიდე არ დამყარდება. ეს კი „გადატვირთვის“ ჩარჩოებში არ თავსდება და მამამარჩენალი ამერიკის ინტერესებს, მსუბუქად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება.

ეს ყველაფერი, კლინტონმა სააკაშვილს ავლაბრის რევიზორად და არაადეკვატურ „დემოკრატიის შუქურასთან“ ქართველი ხალხის საზიანოდ მეგობრობას ისევ ძუკუსა და მიხოსთან ამხანაგობა ჯობია. სააკაშვილის რეჟიმი და ქართველი ხალხი კი ერთი და იგივე სულაც არ არის.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, რევიზორმა ლედიმ სცადა, სააკაშვილისთვის კიდევ ერთხელ აეხსენა შემდეგი ანბანური ჭეშმარიტებანი:

ა) რუსეთთან მოლაპარაკებისათვის მარტო მისი მზადყოფნა საკმარისი არ არის; ბ) საქართველო ძალიან და მისაა დემოკრატიის დონა და

ნანების ლოდინი... არავინ მოგეცემს თავისუფლებას — არც მეფე, არც ღმერთი და არც გმირი.“

პილარი კლინტონი ცდილობს, გასაგებად აგვიხსენას, რომ:

„საქართველოსაც შეუძლია, აშშ-ის მსგავსად, ორი საქმე აკეთოს: დემოკრატია შეშოს, ეკონომიკა განავითაროს და ამავე დროს რუსეთთან შეხების ნერტილები ეძებოს“.

იპოვეთ, ათი კი არა, თუნდაც ერთი განსხვავება პუტინისა და კლინტონის შეფასებებში, რომლებსაც, ჯიბის ქართულ მედიას თუ დავუჯერებთ, თურმე საქართველოსთან მიმართებაში ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავებული პოზიციები აქვთ.

კლინტონის ვიზიტის შეფასებისთვის საუკეთესო რეზიუმე ისევე დიდი ილიაა — „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!“.

ჩვენზე ამერიკამ ხელი დაიბანა და სახელმწიფო მდივან კლინტონის პირით დაგვიბარა:

„საქართველოსაც შეუძლია, აშშ-ის მსგავსად, ორი საქმე აკეთოს: დემოკრატია შეშოს, ეკონომიკა განავითაროს და ამავე დროს რუსეთთან შეხების ნერტილები ეძებოს“.

ჩვენზე რუსეთმა ხელები დაიბანა, როდესაც პრიმაკოვის დაბადების დღეზე პრემიერ-მინისტრის პირით გვითხრა:

„ძალიან კარგად მესმის, რომ რასაც ახლა ვიტყვი, დარბაზის გარეთ გავა, უფრო მეტიც, მე ამის იმედი მაქვს. საქართველოს გაერთიანება გადაწყვეტილია, ეს საკითხი ჩვენ შეგვიძლია გადავჭრათ“.

ცოტა ხნის წინათ სარკოზიმ, გუშინ კი კლინტონმაც, იგივე ვეიტყვი — ელაპარაკეთ ოსებს, ელაპარაკეთ აფხაზეთს! არ გამოგდით, არ გელაპარაკებთ?! მაშინ, კეთილი ინებეთ, მოელაპარაკეთ რუსებს!

პრობლემის არსი იმაშია, რომ რუსეთთან მოლაპარაკებას აქვს პოლიტიკური ფასი. მოსკოვს არგუმენტირებულად არ სურს სააკაშვილის რეჟიმთან საუბარი. სააკაშვილის რეჟიმს ვეიტყვად არ სურს, პასუხი აგოს იმ პოლიტიკური კატასტროფისთვის, რაც ქვეყანას მოუტანა, ანუ ვართ ჩაქეტილ წრეში. დასავლეთი გვეუბნება — სანამ რუსებს არ მოელაპარაკებთ, არაფერი გვევლეძა. რუსეთი გვეუბნება — მზად ვარ და შემოდის გიშველო, მაგრამ არ მსურს პოლიტიკურ გვამთან საუბარი... მოდი დავფიქრებთ და გკითხოთ საკუთარ თავს, რა უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის — ის, რომ პოლიტიკურმა გვამმა სავარძელი შეინარჩუნოს თუ ის, რომ „საქართველოს გაერთიანება გადაწყვეტილია, ეს საკითხი ჩვენ შეგვიძლია გადავჭრათ“!

ლაშა გიორგიანი

სარგები ბაგაფშის სენსაციური განცხადება

სერგეი ბაგაფშის განცხადება, რომელზეც ქვემოთ გვეყენება საუბარი, ექსპერტებმა შეაფასეს, როგორც ფრიად საყურადღებო და ერთგვარად მოულოდნელიც კი: „დღეს აშშ და ევროკავშირი ამბობენ, რომ ალარ ცდილობენ, აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დააბრუნონ. მათ სხვა ამოცანა აქვთ: რაც შეიძლება სწრაფად და მეტად ჩამოაშორონ აფხაზეთი რუსეთს. თუმცა აფხაზეთმა რუსეთი სტრატეგიულ პარტნიორად არა კონიუნქტურული შეხედულებების, არამედ გულის ძახლის გამო აირჩია... აფხაზეთს რუსეთს ვერაფერ ჩამოაშორებს“.

რას უნდა ნიშნავდეს ასეთი სკანდალური მოსაზრების შემოგდება ჩვენს ინფორმაციულ სივრცეში?

გვიღალატეს მეგობრებმა და რუსეთთან ურთიერთობის „გადატირთვას“ ანაცვალეს საქართველო თავისი პრობლემებითა და კანონიერი მოთხოვნებით? უფრო გასაგებად ვიტყვი: ფეხებზე ხომ არ დაგვიკიდეს?

ბაგაფშის განცხადებას განსხვავებული შეფასებები მისცეს ქართველმა მკვლევარებმა. ზოგიერთის აზრით, უეჭველია, რომ ეს არის მხოლოდ ხილული ნაწილი, „გაუთიერი ინფორმაცია“ იმ ურთიერთობების, რაც კულისებში მიმდინარეობს; იმ ფარული პოლიტიკის ნაწილია, რომელსაც აშშ აფხაზეთის მიმართ განახორციელებს და რომელიც ორმაგი სტანდარტებით ხასიათდება.

მართალია ბატონი ბაგაფში, — ამბობს პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი, — **როცა მიიჩნევს, რომ არც ვაშინგტონი, არც ბრიუსელი არ ცდილობს და არც აპირებს რაიმე მყისიერ რეაგირებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ისევე, როგორც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც აცნობიერებს, რომ სწრაფი მოქმედება იმავე შედეგის მომტანი იქნება, რაც ჩვენი ხელი-**



სუფლების გაუაზრებელმა ნაბიჯებმა არაერთხელ მოიტანა საქართველოში არსებული კონფლიქტების მიმართულებით.

საკითხავია, ვინ უფრო იმსახურებს შერისხვას — ისინი, ვინც შეიძლება ხედავენ აფხაზეთთან, როგორც კეთილმეზობლებთან, ურთიერთობის პერსპექტივას, თუ ისინი, ვისაც ურჩევნია, რომ აფხაზეთის სახით დამონებული მტერი გვყავდეს საქართველოს ტერიტორიაზე.

ეს განვითარების ორი უკიდურესი ნერტილია, მაგრამ ხომ არსებობს შუალედიც, თანაარსებობის ცივილიზებული ფორმები, რომლებზეც უარის თქმა სიკეთეს არ მოუტანს არც თბილისს, არც სოხუმს?

ექსპერტის აზრით, ხელაღებით უარსაყოფი არ არის აფხაზი ხალხის გულსთქმა. ქართველებმა საკუთარ გულშიც უნდა ჩაიხედოთ, როგორი იყო ჩვენი უმეცრების წილი, როცა აფხაზეთსა და მათ გულს ვუბიძგებდით იმის სათქმელად, რასაც ბატონი ბაგაფში დღეს აცხადებს.

ტურისტობრივად, ანუ როცა მთავრობის თავჯდომარე ტურისტებს წინილაპირით ითვლის

ამ ინფორმაციას, რომელიც საქართველოში 3 ივლისს გაავრცელეს, სრულად მოგანვდით, თორემ გაგიჭირდებათ იმის გაგება, თუ რატომ ამიფორიაქდა ფიქრები ფილოსოფიურ ქრილში. ასეთი ინფორმაციის წყარო თუ ჰიპოტენტი, რომელიც შეგძრავს და აგაღელვებს, მხოლოდ მიხილ სააკაშვილთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. აბა, ბაქრაძე და გილაური რას იტყვიან, ვის აინტერესებს!

„აჭარის რეგიონში, — უბრაძანება პატივცემულ მიხილს, — სამ წელიწადში 2,5 მილიარდი დოლარის ინვესტიცია იდება. ეს იმიტომ, რომ აჭარას კარგი მთავრობა ჰყავს. ლევან ვარშალომიძემ ზუსტად იცის, რამდენი ტურისტი შედის ყოველდღიურად მის მხარეში“.

აქ შევეჩვიეთ, სიბრძნის უღელტეხილის უმაღლეს ნერტილზე, რათა სრულად აღვიკვათ ამ სიმბოლოდან გადასული აზრის სივრცე ჰორიზონტამდე და იმის იქითაც.

მასშტაბურობა ასეთი დაგვარწმუნებს, რომ „სამყაროში სხვა არაფერია, გარდა იმისა, რაც ცნობილია ან უცნობია. სხვა არაფერი არ შეიძლება არსებობდეს“ (ნ. ჯინი, მოძღვარი).

ცნობილია, რომ პატივცემული მიხილი დაუღელელო ორატორია, რაც „სპეციალურ რეპორტაჟში“, რომელიც იმავე დღეს ერთ-ერთი ტელეარხით გადაი-ცა, კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა.

უცნობია, როგორ ახერხებს „აჭარის კარგი მთავრობა“, 2,5 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ჩადოს „აჭარის რეგიონში“ ან, ეგებ, ეს ის შემთხვევაა, როცა ვარშალომიძემ სააკაშვილი უნდა ვიგულისხმობთ? „Говорим партия, подразумеваем Ленин“? ახლა უკვე ცნობილია, რომ „ლევან ვარშალომიძემ ზუსტად იცის, რამდენი ტურისტი შედის ყოველდღიურად მის მხარეში“. და ამიტომაც არის იგი „კარგი მთავრობა“.



ვიცი, რადგან სააკაშვილმა თავისი პირით განაცხადა, რომ აჭარა ვარშალომიძისაა, მისი მხარეა და საადგილმამულო ნადელი — მიზომილი მინა.

იცის ეს ვარშალომიძეც, მაგრამ „არაფრის გაგებაში“ (პრეზიდენტისა და მოძებლები-ჭო ელემენტების სლენგია) არ არის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ზაალ აბაზაძე, რომელმაც ტურისტების რაოდენობის შესახებ დასმული შეკითხვებიდან ვერც ერთს პასუხი ვერ გასცა (ესეც პრეზიდენტის ინტერვიუდანაა).

ეტყობა, აბაზაძე იმ პერიოდის გადმონაშთია, „როდესაც ხელისუფლებაში მოვედით“ და როცა (არც გაიფიქროთ!) „ქვეყნის სამართავად მზად არ ვიყავით“ (მ. სააკაშვილი), იმ როგორცის წარმომადგენელია, რომლებიც მთავრობაში მუშაობენ „ნაკლებად უკეთესად. ჩვენი მიზანი კი

პიპა აფრიკა, პაპა ჯორჯია!

გადის დრო. მთავრობები მიდიან და მოდიან. კენია რჩება... გახსოვთ, ალბათ, კენიის საქონლის ხორცი, სამი გემით რომ გამოგზავნა სიგუას მთავრობამ 15-იოდე წლის წინათ და აქამდე ვერ ჩამოაღწია საქართველოში. 3 ივლისს ნაცბოლების მთავრობამ კენიასთან კომუნიკე გააფორმა — კიდევ ერთი გარღვევა აფრიკის მიმართულებით, რაც წლეულს განსაკუთრებით თვალშისაცემია: ბოსტვანა, გამბია, კაბო-ვერდე, კომორო, ლიბერია და ახლა — კენია!



თბილ ქვეყანაში, საქართველოში ცივი კენიური ზამთრის დღეებისგან თავის დასაღწევად? თანაც, უცნობია, მოუწევს თუ არა ვარშალომიძეს მათი სულადობის დათვლა საქართველოს საზღვარზე...

კენიის რესპუბლიკის მხრიდან კომუნიკეს ხელი მოაწერა ვარშალომიძისა და სხვების წარმომადგენელმა ზაქარია მუიტამ. ცუდად მენიშნა — იქით ზაქარია, აქით ზაალი, აბაზაძე, რომელიც პრეზიდენტმა უკვე მოხსნა დაკავებული თანამდებობიდან: რამე არ დაემართოს იმ „შეკაცს“...

ჩვენი მხრიდან კახა (იგივე ალექსანდრე) ლომიაა ხელმძღვანელი. ეს უფრო უარესი, რადგან როდის იყო, რომ ამ თეთრი კაცის დაკეთებული საქმე შეგ ჭირად არ შემობრუნებია საქართველოს?..

საინტერესოა, რუსეთი აფრიკაში რომ იყოს, აღმოჩნდება თუ არა „მავი კონტინენტის“ იმ 31 სახელმწიფოს შორის, რომლებთანაც საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს დამყარებული?


ჩვენი ხელისუფლებისა და მისი საგარეო უწყების გონება სხვა მიმართულებით ქრის: ხან აზია-წყნარი ოკეანისკენ (ბრუნეი, მალდივის რესპუბლიკა, მარშალის კუნძულები, ფიჯი და სამოა), ხან ლათინური ამერიკისკენ (დომინიკის რესპუბლიკა, პარაგვაი, პერუ, სენტ-ვინსენტი და სენტ-ლუჩია).

აქ, ამ თავისებურ „ქართა სქემაში“ უცნაური დამთხვევა ხდება, განსხვავებულ ინტერესთა დამთხვევა ერთნაირი მიმართულებით: სერგეი ბაგაფში ახლახან განაცხადა, რომ „ამ მიმართულებით აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის, კარიბის აუზისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებთან მუშაობას არ ვწყვეტთ“.

პარალელური კურსებით მივდივართ? არამაზ სანაბლიძე

საქართველო

საერთაშორისო მენეჯერების ასოციაციის მიერ მონაწილეობის დასრულებამდე? დაგვიკავშირეთ: 38-41-97, ან მისამართით: info@geworld.net



დავით იაკობიძე:

10 წელიწადში ქორუფსია საქართველოში საშარტოლო საშარტო ბიზნესად

გასულ კვირას მასმედია და, ბუნებრივია, საზოგადოებრიობას სალაპარაკოდ მიეცა Freedom House-ის მიერ შესწავლილი პრობლემა საქართველოში კორუფციის მდგომარეობის შესახებ, რომელიც, მკვლევარების დასკვნით, დღესაც 1999-2000 წლების დონეზე ყოფილა. არც მეტი, არც ნაკლები. არადა, ჩვენი ხელისუფლების მთავარი სატრაბახო მთელი ამ ხნის განმავლობაში კორუფციის აღმოფხვრა იყო. ექსპერტების შეფასებით, ე.წ. ხილული კორუფცია, მასობრივი, ქვედა ფენებში, ანუ წვრილფეხების მექრთამეობა მართლაც აღარ არსებობს — არც პოლიციელები გამოგვძალავენ ქუჩაში ფულს, არც რაიმე ცნობის ასაღებად ჩინოვნიკის ჯიბეში ლარების ჩადებაა საჭირო (უმეტესად) და ა.შ. სამაგიეროდ გაჩნდა ელიტარული კორუფცია, რომელიც შეიძლება ფეხებში არ გვედებო, მაგრამ იმდენად მასშტაბურია, იმდენად მაღალ ფენებსაა მოდებული, რომ ობიექტის თვალსაჩინოებას ცდილობს და უმაღლეს ორბიტებზე ტრიალებს. Freedom House-ის ანგარიშში შეფასებულია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დემოკრატიის განვითარების სხვადასხვა მიმართულება. საქართველოს შესახებ თავში სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნულია, რომ ჩვენთან კორუფციის მაჩვენებელი — 5,00 — ისეთივეა, როგორც 1999-2000 წლებში იყო. მაშ, სიცრუეს სიმართლედ ასაღებენ „ერის მამები“? ამ შეკითხვით მივმართავ დავით იაკობიძეს, მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ყოფილ ფინანსთა მინისტრს, რომელიც კორუფციულ 90-იან წლებში თავისი მოუსყიდველობითა და პატიოსნებით გამოირჩეოდა.

— ტერმინი კორუფცია იმ ტერმინებს შორისაა, რომლებიც კანონშია უნდა განმარტოს, თორემ ახლა ლამის ყველა ადამიანს თავისებურად ესმის ეს მოვლენა და თავისებურად განმარტავს.

— და ყველა აღნიშნავს, რომ ცუდი რამაა, ძალიან ცუდი და მიუღებელი.

— კი, ასეა. განმარტება, რომელიც საქართველოში პრევალირებს, ევროპაში მიღებული განმარტებაა და რომელსა სამართალს ემყარება. ქვეყნებში, სადაც ბუნებრივი სამართალი მუშაობს, კორუფცია არის ისეთი მოვლენა, რომელიც უკავშირდება არა მარტო ჩინოვნიკს, არამედ ყველას.

კორუფციაა, როცა ერთი ადამიანი მეორისგან იღებს გასამრჯელოს იმამი, რაც მას არ ეკუთვნის. ვყიდი იმას, რაც ჩემი არ არის.

მაგალითად, როცა კომუნისტების დროს აღმასკომის თავმჯდომარე ფულს იღებდა მოქალაქისთვის ბინის მიცემაში, რომელიც სახელმწიფოს მიერ იყო ამენებული და მისასხლეობის დასაკმაყოფილებლად იყო გამიზნული. ან — სამხედრო კომისიის მიერ წვევამდელის არმიში განვევიდან დახსნა გარკვეული გასამრჯელოს საფასურად: გაყიდა ის უფლებამოსილება, რაც მას არ გააჩნდა.

და ასე შემდეგ. ამ თვალსაზრისით თუ მივუდგებით კორუფციას, უნდა წავიყოს ყოველსა, უნდა დავინახოთ ის გასაკვირი ობიექტი, რომელიც ალბა-მიცემის საგანი ხდება. მკვლევარები მას ექსტრენალიებს უწოდებენ.

დავაზუსტოთ: ეს არის სიმდიდრე, რომელიც ყველასია ერთდროულად და მასზე პრეტენზიის გამოცხადება კონკრეტულად არავის შეუძლია, მაშასადამე, არავის არა აქვს უფლება, საკუთარი შემოსავლის წყაროდ აქციოს იგი, მიუხედავად (და მით უფრო) თავისი მაღალი თანამდებობისა.

ამ შემთხვევაში, კრიმინალურ დანაშაულთან ერთად, მორალის, ეთიკის დარღვევის საკითხიც წამოიწვევს წინა პლანზე.

— გასაგებია, რომ კორუფცია ამორალუბაა. ხომ არ დაასახელებთ რომელიმე მაგალითს?

— მაგალითად, გომბორზე ახალი საავტომობილო გზის გაყვანის საკითხი ავიღოთ. მიჩნეულია, რომ ამის გაკეთება ძალიან კარგი საქმეა და, ამასთან, — ძალიან საშურიც.

ამ გზის მშენებლობის დაფინანსებიდან რაღაც ნაწილი ვაკე-საბურთალოს მაგისტრალის მშენებლობაზე, გმირთა მოედანზე ესტაკადის ასაშენებლად რომ „გადათამაშდება“, როგორ უნდა შევავალიოთ ეს ფაქტი? როგორ და, როგორც ჩვეულებრივი სახალხო მეურნეობრივი მოვლენა. ერთი შეხედვით ასეა.

მაგრამ ასეთი „თამაშები“ წინასწარ შეთანხმებული, გემორი პროცესის ამკარა დარღვევაა.

— ესე იგი, ნორმალური პროცესის შეგნებული არევა. მაგრამ რატომ, რისი გულისთვის?

— უფრო სწორი იქნება, თუ ვიკითხავთ, ვისი გულისთვის, ვისი ინტერესიდან და სურვილიდან გამოინდინარე? ვილაცის უთაობაა? — დიას. ვილაცის ამორალური ქცევა? — დიას. მაგრამ, ამასთან ერთად, ეს არის კორუფციული ქმედება.

ბორის ასახვითან გვირაბის გაყვანას რომ აპირებენ, რაც 75 მილიონი ელიტარული ქორუფციული ელიტარული იქნება.

ასეთი ტიპის კორუფცია იმდენად მნიშვნელოვანია, იმდენად მასშტაბურია ექსტრენალიების — ობიექტების უყარაით გამოყენების, მითვისების შემთხვევები, ეკონომიკაზე მათი დამანგრეველი უკუქმედების ეფექტი იმდენად დიდია, იმდენად თვალშისაცემია, რომ მასმედია და, ბუნებრივია, საზოგადოებრიობას სალაპარაკოდ მიეცა, რომ სწორედ Freedom House-ს არ შეიძლება არ დაენახა იგი.

— ეს არის, პატრონო დავით, ელიტარული კორუფცია?

— ეგ ტერმინიც საინტერესოა და იმ რიგის განსაზღვრებას შეიძლება განეკუთვნოს,

როგორცაა, მაგალითად, კოჯრიდან მონაბერი ნიავი, რძესავით თეთრი ნისლი და სხვა ამგვარი.

არავითარი ელიტარული! ეს არის ჩვეულებრივი კორუფცია, ექსტრენალიების მითვისება იმ პირთა მიერ, ვისი სტატუსიც სამეურნეო სამართალში არ არის მოქცეული.

ასეთი შესაძლებლობები მხოლოდ მაღალჩინოსნებს აქვთ, ელიტას. ამიტომ, რატომ უნდა, შეიძლება ელიტარულიც ვწოდოთ. მაგრამ ეს მის არსს ვერ გადმოგვცემს, რადგან იგი გამომდინარეობს ქვეყანაში ეკონომიკური სტრატეგიის არარსებობიდან, წინასწარ განსაზღვრულ მიზანდასახულებათა არქონიდან. უცოდინარების მიერ ეკონომიკაში ხელის ფართობის შედეგია.

და მამალი უფიცობაა. იმაზე მძიმე დანაშაული არ არსებობს, როცა შენ, უფიცო კაცი იმ თანამდებობაზე ხარ, სადაც არ უნდა იჯდე და თავს უფლებას აძლევ, დამოძღვრო ხალხს.

როცა არ გაქვს კრიტიკული თვითნალიზის უნარი, არ განუხებს საკუთარი არაკომპეტენტობა, არც პრინციპულობა გყოფნის, რომ აღუდგე ვილაცის კაპრიზს — დააგვიანოს გომბორზე გზის მშენებლობა წინასწარჩვენი პიარის გამო და, ხალხზე მოჩვენებითი ზრუნვის დემონსტრირების მიზნით, გადაისროლოს თანხები მდინარე ვერეს ხეობაში უაზრო და გაუმართლებელი ტრასის გასაყვანად.

უთხრა, დაარწმუნო აცეტეხული ხელისუფალი, რომ ასეთი მოჩვენებითობა არა მხოლოდ ყალბია, არამედ დამანგრეველია ეკონომიკისათვის. ყველაზე დიდი დესპოტი სტალინიც კი უჯერებდა გენერლებს, მათ რჩევას ითვალისწინებდა: Настоящий генералов озапает правоту!

— არ შეიძლება, არ დაგვეთანხმოთ. მაგრამ, როცა მე ამ ჩემი უფიცობისა და ამბიციურობის მიზნით სხვა უფიცა და ხეპრეს დავინიშნავ, ვთქვამ, მინისტრად და იმის უფლებას მივცემ მას, რასაც ჩემს თავს ვაძლევ, არის თუ არა ეს კორუფცია? თუ მაინც დამინც ფულთან უნდა იყოს დაკავშირებული თავნებობა?



ქორუფსია, კლასიკური განვითარებით, არის მოსიდავ, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობის, თანამდებობის პირის შექმნა

— არა, რა თქმა უნდა. ამორალუბა კორუფციის გამოვლენაა და ამაზე უკვე ვილაპარაკეთ.

კომუნისტების დროს იყო ასეთი ამხანაგი ბარსუკოვი, რომელიც შოფრობიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგედ დაანინაურეს. ცხოვრებით სულიკო საბეიშვილი, ცეკას დარგობრივი მდივანი, ამბობდა, მოვეხსნიდი, მაგრამ, სად გავუშვა სამუშაოდ, არ ვიცით.

ასეთ დღეში აღმოჩნდებიან ესენიც.

— მათ შორის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების (!) მინისტრიც...

— კარგი, ნავა მინისტრობიდან, მაგრამ სად? დიპლომი გაქვს, უმაღლესი განათლება გაქვს უმაღლესი? არ მინდა, ამ პატარა ქალს კრიტიკით შევეგებოთ. იქნებ, ხელმძღვანელობის განსაკუთრებული ნიჭითა და იშვიათი უნართაა დაჯილდოებული...

— და, თქვენ მიერ ნახსენები ბარსუკოვიც, ხელმძღვანელ თანამდებობაზე ყოფნისას უნდა გამოავლინოს ეს ნიჭი და უნარი?

— იქნებ, თვითნაბადი ოქრო და შეუძლია კვალი დაამჩნიოს საქართველოს ეკონომიკას.

— ეკონომიკას და მდგრად განვითარებას.

— თავი დავანებოთ სამინისტროს სახელწოდების ენობრივ და აზრობრივ შეუთავსებლობას.

მსჯელობა განვაგრძოთ.

„ინდუსტრიის გუანეაქლი“ ქუთაისი, გვირგვინი, რომ ტურიზმის სენტრი უნდა გახდეს. ეს გადაწყვეტილება გდგრადი განვითარების ამოცანაა. თუ ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის განვითარებას ვაპირებთ, ვაპირებთ გვირგვინის გაშენებას. ეს იქნება? ბათუმი ფოთის ხარჯზე უნდა გაიზარდოს და განვითარდეს. ბათუმში რომ გადავიდეს ფოთში დარეგისტრირებული ფირმები,

ფაზისქალაქში სიცოცხლე ჩაკდება. შემდეგ უნდა შევქმნათ რაღაც თავისუფალი ეკონომიკური ზონა, პურის ფული რომ გაუჩნდეს 35 ათას ჩვენს მოქალაქეს, და ვიოცნებოთ, რომ 300 ათასამდე გაიზარდეს იქ მცხოვრებთა რაოდენობა, რომლებიც კონტრაფაქტის წარმოებით დაკავდებიან.

— კონტრაფაქტის?

— დიას, ნაყალბევი საქონლის, რომლითაც გაჯერებულია ჩვენი ბაზარი. მაგრამ რომელი ჩინელები ჩვენ ვართ, რომ ამ საქმეს მივყოთ ხელი?! რაც ჩვენთან დღეს საქონელი შემოდის, ყველაფერი კონტრაფაქტია.

— ეს ნიშნავს კორუფციას?

— არა, კონტრაფაქტის წარმოება კორუფცია არ არის. ასეა დაკლასიფიცირებული. არის მოვლენები, არ არის სიტყვები მათი აღმნიშვნელი. ვეძებთ გამოსავალს. ზოგჯერ რაღაც კოდექსების რაღაც მუხლებში ვპოულობთ მიახლოებულ ანალოგებს. ზოგჯერ ამასაც ვერ ვახერხებთ.

როცა შევარდნამდე თავის დროზე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო (1996 წელს), კორუფცია ჩინოვნიკური საქმიანობით შემოფარგლა, ახლანდამოწყებული ბიზნესისთვის ხელი რომ არ შეეშალა. ხომ ყველამ იცის, როგორი მექრთამეობა იყო იმ დროს ბანკებში კრედიტის მისაღებად დამკვიდრებული?

— 10 პროცენტი უნდა დაგეტოვებინა. მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე შევარდნამე საჯაროდ კიდეც თქვა ამის თაობაზე.

— პრივატიზაციის დროს რაც კეთდებოდა, ის იყო კორუფცია. ცირკი რომ მისცეს ჯაოშვილის ყოფილ მოადგილეს, კორუფციის შედეგი იყო, აბა, რა! ჩვენთვის რომ მოეცათ მაშინ ის ობიექტი, ახლა მილიარდები ვიქნებოდით და, პრეზიდენტობას თუ არ მოვიინდომებდით, კარგი ქველმოქმედის იმიჯით მშვიდად და შეძლებულად ვიცხოვრებდით.

დაჩქარებული პრივატიზაციით, დაჩქარებულად თავისუფალი ფასების შემოღებითა და დემოკრატიზაციის დაჩქარებული პროცესებით ამართლებდნენ მაშინ კორუფციას, ქვეყნის ინტერესებით.

— თავი დავანებოთ ძველს: იყო, აღარ არის. დღეს კორუფცია ათი წლის წინანდელ დონეზე რომ რჩება და ამას Freedom House-იც რომ გვიდასტურებს, ეს როგორღა?

— ცოტა ხნის წინათ აშშ გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელი ჩამოვიდა საქართველოში. ჩემი აზრით, მისი მოვლინება დაკავშირე-

ბული იყო ამერიკაში კორუფციული საქმეების გახსნასთან. 4 მილიარდ-ნახევარი დოლარი გზების მშენებლობისთვის რომ გამოგვიყვანს და ტენდერში ისრაელის ფირმებმა რომ გამარჯვდეს, საკითხავია, რატომ მაინცდამაინც ისრაელის? ფულის მომცემებს ხომ არ ჰქონდათ ამ ფირმებზე აქცენტირებული ინტერესი, რათა შემდგომ ე.წ. ოტკატები მათ დარჩენოდათ?

— ეგ არის კორუფცია.

— საერთო კორუფცია, საერთაშორისო, რომელიც ჩვენი წილი უმნიშვნელია.

— ხელის შეწყობაც ხომ დანაშაულია?

— კი, ბატონო. მაგრამ სხვანაირად არც ფულს მოგცემენ, ვერც გზებს ააშენებ.

— ესე იგი, ამართლებთ?

— კი არ ვამართლებ, გიხსენით, რომ საქართველო საერთაშორისო კორუფციული სისტემის ნაწილია.

— მე კი ასეთ დასკვნამდე მივდივარ: ლაპარაკი კორუფციის აღმოფხვრაზე, წვრილფეხების კორუფციის აღმოფხვრაზე კი არა, სერიოზულად, ე.წ. ელიტარული კორუფციის აღმოფხვრაზე ამო გარჯავა, რადგან ტყუილია. იყო კორუფცია, არის კორუფცია. რას უნდა ნიშნავდეს 5.00 დონის შენარჩუნება ათი წლის შემდეგ?

— დაუკვირდით: ათი წლის წინათ კორუფცია ყველა დონეზე იყო მოდებული და ხუთი წლით დასრულდა. ახლა მარტო ელიტარულია და ისევე 5 ბალით ფასდება.

ქორუფსიულ დონეებს სამ ფანად თუ დავყოფთ — დაბალი, საშუალო და უმაღლესი, თუ პირველად, რომ პირველ ორ ფანაში ქორუფსია აღმოფხვრილია, საერთო დონე კი კვლავ 5 ბალია, გამოდის, რომ დღეს ქორუფსია საქართველოში მინიმუმ სამჯერ გაიზარდა, შიდა 1999-2000 წლებში იყო!

ამას დიდი დაფიქრება არ სჭირდება.

ესაუბრა არამაჟ სანაბლიძე

უსამართლობის რაფსოდია

გასულ კვირას, ოთხშაბათს, 30 ივნისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში პოლიტიკტიმარ ვლადიმერ ვახანიას საქმის განხილვა შედგა. მართლმსაჯულების მხრიდან ხანგრძლივი ყოყმანისა და დროის უსაფუძვლოდ განელვის შემდეგ პროცესი, როგორც იქნა, ელირსა მსჯავრდებულს და ამით, შეიძლება ითქვას, ერთგვარი იმედიც კი გაჩნდა, რომ სიმართლე ამჯერად მაინც გაიმარჯვებდა, მაგრამ ქუთაისის სასამართლოს განაჩენი, რომელიც მან მსჯავრდებულ ვახანიას მისი ბრალეულობის დამამტკიცებელი ფაქტების არარსებობის მიუხედავად გამოუტანა, გამრუდებული სამართლის კიდევ ერთ ნიმუშად წარმოჩნდა.



სხდომათა დარბაზში, მსჯავრდებულის ახლობლების გარდა, უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ჟურნალისტები უხვად იყვნენ. სამ კვირამდე შეიარაღებული ნიღბიანს მსჯავრდებულს შემოჰყავთ. პირველი სიტყვა დაცვის მხარეს მიეცა. ადვოკატებმა ლალი აფციაურმა, ლილი გელაშვილმა, ილია ლომიამ, ნუგზარ კვარაცხელიამ, ჯემალ მელიამ და გია ებრაელიძემ კონკრეტულ ფაქტებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით დაუმტკიცეს სასამართლოს, რომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება — ვლადიმერ ვახანიასთვის ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა, უსამართლო და უსაფუძვლო იყო. სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე მარინა სი-

რძელდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მოპასუხე მხარე — ზუგდიდის რაიონული სასამართლოს პროკურორი **დიტო (დიმიტრი) ხვითია**, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის ვლადიმერ ვახანიას წინააღმდეგ საქმის შეითხვენა-შეკონინებაში, აუღლებებლად ისმენდა ოპონენტთა მწვავე საუბრებს და ბოლომდე „დუმის უფლებას“ იყენებდა. საამისოდ, მინიმუმ ორი მიზეზი მაინც გაჩნდა — პირველი ის, რომ სათქმელი არაფერი ჰქონდა, და მეორე — დაცვის მხარისგან განსხვავებით, არავითარი არგუმენტი, ფაქტი და მტკიცებულება არ სჭირდებოდა, მის ზურგს უკან მდგომი ახლობლების დავალება რომ შეესრულებინა. ამიტომაც იყო მშვიდად, იმდენად მშვიდად, რომ დაიწყო თუ არა სასამართლო პროცესი, რამდენიმე წუთში მოპასუხის საგარდელზე ლა-

დად მოკალათებულს ჩვილი ბავშვივით ჩაეძინა. რაც მართალია, მართალია, სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე მას რამდენჯერმე დაურღვია უშფოთველი ძილი — სათქმელი ხომ არაფერი გაქვსო, რაზეც უარი მიიღო. ამის შემდეგ რამდენიმე ხანს ისევ დაცვის მხარის წარმომადგენლებმა ისაუბრეს და ბოლოს მოსამართლემ სიტყვა მსჯავრდებულს მისცა.

ვლადიმერ ვახანიამ თითქმის ნახევარი საათი ილაპარაკა და მის საქმესთან დაკავშირებული ყველა ნიუანსი, შემთხვევა თუ ფაქტი დეტალურად გააანალიზა. ისაუბრა იმის შესახებაც, თუ როგორ ეწვივნენ მას თბილისის №1 საპრობილეში (2010 წლის 12-13 იანვარს) სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურის წარმომადგენლები იმაზე შესათანხმებლად, დანაშაულს აღიარებდა თუ არა, პატიმრობიდან გაათავისუფლებდნენ. განსაკუთრებული ყურადღება ვახანიამ მის და სხვა მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობისა და ნაშვების ფაქტებზე გაამახვილა და საპატიმროებში არსებულ მდგომარეობასაც შეეხო. უდავოა, რომ სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მოსამართლეთათვის ერთ-ერთი საყურადღებო აქცენტი, მაგრამ სასამართლო კოლეგიის თავ-

მჯდომარემ, გასაგებ მიზეზთა გამო, სიტყვა განწყვეტინა და ასე მიმართა: რასაც ახლა საუბრობთ, თქვენს საქმესთან დაკავშირებული ნაქლებად არისო. ამას დაცვის მხარის წარმომადგენლების პროტესტი მოჰყვა, მაგრამ უშედეგოდ, — მოსამართლემ შენიშვნა არ მიიღო.

სალამოს რვა საათისთვის სასამართლო პროცესი დასრულდა. საქმე განაჩენზე მიდგა და მოლოდინმა დაძაბულობა გაზარდა. ილუზია იმისა, რომ ნაესი გატყდებოდა და სასამართლო კოლეგია ობიექტურ განაჩენს გამოიტანდა, ალბათ, არავის ჰქონდა, მაგრამ, მეორეს მხრივ, იმ უტყუარი მტკიცებულებებისა და მყარი არგუმენტების შემდეგ, რომლებიც დაცვის მხარემ წარადგინა, მსაჯულთა მხრიდან სრული უსამართლობა ძველი წარმოსადგენი იყო. მით უფრო, რომ სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე — მარინა სირაძეს სახეზე ეტყობოდა შინაგანი ბრძოლის ნიშნები — სინდისსა და უსინდისობას შორის

არჩევანის გაკეთებით გამოწვეული დაბნეულობა. ეს იყო უხერხულობის მომენტი არა მხოლოდ სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარისთვის, არამედ ყველასთვის, ვინც ამ პროცესს ესწრებოდა. იურისტმა და უფლებადამცველმა **ნანა კაკაბაძემ** ინატრა კიდევ: ნეტავი ახლა აქ არ ვიყო და მოსამართლის ამ საცოდობას არ ვუყურებდეთო.

მოსამართლემ მაინც გამოიტანა ის განაჩენი, რომელსაც იგი, ალბათ, თვითონაც უსამართლოდ მიიჩნევდა. ვლადიმერ ვახანიას, მიუხედავად მისი ადვოკატების დიდი ძალისხმევისა, სამი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს, რომელიც ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთას გულისხმობდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, 154-ე მუხლით, მხოლოდ ექვსი თვე მოაკლო.

ვლადიმერ ვახანიას სასამართლო პროცესმა კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ჩვენს ქვეყანაში სასამართლო არა თუ დამოუკიდებელი არ არის, საერთოდ არ არსებობს.

ჯაბა შვანიძე

კლინტონი რუსეთის მეზობლების დაეპყრებას ცდილობს



სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა საკუთარი მოგზაურობის ბოლოს, რომლის მიზანიც რუსეთის მეზობლების იმაში დარწმუნება იყო, რომ ობამას ადმინისტრაცია მოსკოვთან ურთიერთობების გაუმჯობესების ფონზე მათ არ ივინყებს, ყველაზე მარტივი დიპლომატიური ფორმულირება გამოიყენა, განუცხადა რა ფართოვლებს, რომ შეერთებულ შტატებს შეუძლია „ერთდროულად იაროს და საღეჭი რეზინიც ღეჭოს“.



კლინტონი ამ არგუმენტს შელოცვასავით იმეორებდა მისი ხუთდღიანი ვიზიტის დროს უკრაინაში, პოლონეთში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში, საუბრობდა რა იმაზე, რომ „გადატვირთვა“ შეერთებულ შტატებს ყოფილ საბჭოთა სივრცეში საკუთარ გავლენასა და პოლიტიკაზე უარს ვერ ათქმევინებს.

პირდაპირ ესაუბროს თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, რომლებიც 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის ცენტრში აღმოჩნდნენ. „არ არის საჭირო განდევნების გზების გარეშე მიყვება“, — თქვა პუტინმა, რომლის ციტირებასაც სააგენტო „ინტერფაქსი“ ახდენს. მან ასევე ეჭვქვეშ დააყენა კლინტონის მიერ სამხრეთ ოსეთზე ნათქვამი სიტყვები — „ვილაც მიიჩნევს, რომ ის ოკუპირებულია, ვილაცისთვის კი — გათავისუფლებული“.

პოლონეთისა და რუსეთის ურთიერთობებში უპრეცედენტო დათბობა პრეზიდენტის თვითმფრინავთან დაკავშირებული ტრაგედიის შემდეგ, რომლის დროსაც პოლონეთის პრეზიდენტი და მთელი რიგი მაღალჩინოსანი მმართველები დაიღუპნენ. ახალი პრეზიდენტის პირობებში უკრაინამაც მკვეთრად შეცვალა მოსკოვისადმი დამოკიდებულება, ნაწილობრივ ფინანსური დახმარების მიღების იმედით. აზერბაიჯანის ლიდერები ობამას ადმინისტრაციის მხრიდან უყურადღებობას უჩივიან, რის გასაღწევად ტერიტორიის — მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დაჩუქურთმებაში მუშა-

ვლადიმერ ვახანიას სასამართლომ 6 თვე მოაკლო, იურიდიული ტერმინოლოგიით ასე კვალიფიცირდება: „უზრუნავისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლა“. იგი სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალურად იმისთვის შეიტანეს, რომ მედიის წარმომადგენლები ხელისუფლების მხრიდან ზემოქმედებისგან დაეცვათ. აქედან გამომდინარე, ეს მუხლი მხოლოდ სახელმწიფო მოხელეს შეიძლება მიესადაგოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ვლადიმერ ვახანიას შემთხვევაში ამ მუხლის სახით საქმე სრულ იურიდიულ ნონსესთან გვაქვს...

ვისთვის პირადი გზავნილი ჩავიდა. მაგრამ ყველაზე დელიკატური შრომა კლინტონს საქართველოში ელოდა.

შარშან თბილისში ბაიდენის ვიზიტამდე სააკაშვილმა განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს ახალი რუსული თავდასხმის მოგერიებისთვის საშინელი და ანტი-სარაკეტო შეიარაღებას მოსთხოვდა, ხოლო საქართველოს ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ სურდათ, აშშ მათ თვითგამოცხადებული ანკლავების საზღვრების დაკვირვებაზე დახმარებოდა. ორივე თხოვნა უპასუხოდ დარჩა.

ობამასთან საქართველო კეთილსინდისიერად დუმდა და მსგავსს არაფერს ითხოვდა. კლინტონმა საქართველო გააფრთხილა, რომ ის არ უნდა შეეცადოს გამოყოფილი ტერიტორიების ძალიან დაბრუნებას, რადგან „წარსულზე კონცენტრირება შეცდომაა“.

ელენ ბარი, სარა მარკუსი

საქართველოს პოლიტიკური იპოტენსია

ილია მეორე: „აღამიანის მიერ ნარკოტიკული სიტყვა ვერცხლია, ღუმილი კი — ოქრო“

ამ სათაურის წაკითხვისას მავანმა რომ არ იფიქროს, რატომ მხოლოდ პოლიტიკური, იმპოტენცია ბევრი სახის გვახასიათებს, ვიტყვი, რომ ყველაფერი ერთმანეთთან არის კავშირში და ყველა სახის იმპოტენციის ურთიერთგადაჯახვებულობა ინვესტ იმას, რაც დღეს საქართველოში ხდება.



სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია მეორეს განცხადებით, „აღამიანის მიერ ნარკოტიკული სიტყვა ვერცხლია, ღუმილი კი — ოქრო“.

კომუნისტური რეჟიმის რღვევა და ე.წ. დამოუკიდებლობის მოპოვება ბიძგი იყო იმ მანქანების გამოსავლენად, რაც თურმე საქართველოში მცხოვრებთა აზროვნებას ახასიათებდა და რაც, მაღლობა ღმერთს, სათანადო გასაქანს ვერ პოულობდა, სანამ ვილაციის ჩექმისა თუ პატრონაჟის ქვეშ ვიყავით. მაგრამ დაიშალა საბჭოთა კავშირი, გაეხდით „დამოუკიდებლები“ და, აი, დაიწყო, რაც დაიწყო.



ზვიად გამსახურდიას მიმართ ხალხს უბრალოდ პატივისცემა და მხარდაჭერა რომ გამოეხატა, კიდევ რაღა გვიჭირდა, მაგრამ იგი შეუყვარდათ; შეუყვარდათ, როგორც რომეოს ჯულიეტა; აიყვანეს ხელში (და არა მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით — ლოკომოტივის სტადიონზე), გააფეტოშეს და კვარცხლბეკზე დააყენეს, ვითარცა ზებუნებრივი არსება, რომელსაც, უბრალოდ, არ შეეძლო, რამე არასწორად ეთქვა ან გაეკეთებინა.

ბა ელემენტარული პატივისცემაც კი იმ ადამიანებისა (უახლესი პერიოდის თანამემამულეებს ვგულისხმობ), რომლებმაც ეს აბსურდის მწვერვალზე ასაყვანი ლოზუნგი „შექმნეს“. და როცა მთელმა ერმა არ დაგმო ამ იდიოტიზმის მომფიქრებელი, იქ უკვე კლინიკასთან გვექონდა საქმე.

მასზე? თუ დალაგებული ჰაბიტუსი და ინგლისურის ცოდნა სავსებით საკმარისია, მასში ერის გადაარჩენელი რომ დაგვენახა?

საქართველო ისე იყო დამყაყებულ-დაჭაობებული და ისეთი მასშტაბის რეფორმები იყო გასატარებელი, ნორმალური ფსიქიკისა და მენტალიტეტის ლიდერი ამას, უბრალოდ, ვერ გააკეთებდაო. არის ამაში რაციონალური მარცვალი ნამდვილი. მაგრამ, თქვე დალოცვილის შეილებო, ამერიკელები რომ გქვიათ და მთელი ცერეუ-მერეუ რომ თქვენს ხელშია, არაფერ არ აღმოჩნდა თქვენ შორის, ვინც გეტყვოდათ, რომ ასეთი, ყველაფერზე ნამსვლელი, რევოლუციონერის ნასვლის დროც მალე დადგებოდა, როგორც კი ყველაზე მტკიცე რეფორმებს გაატარებდა და მის ადგილზე ვინმე ნორმალურის მოყვანა იქნებოდა საჭირო?

ამის შესახებ უწმინდესმა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას განაცხადა და მრევლს ერთმანეთის მოსმენისკენ მოუწოდა:

„აღამიანი მატყუალაბაში საკუთარ აზრს გადმოსცემს, როგორც, სუბიექტური, არასწორი. მიწა, ყველა ჩვეთაგანს ვუსუკო, ერთმანეთს მოვუსმინოთ და გვექონდეს, არა მხოლოდ საუბრის, არაფერ მოსაქმის კულტურა. ასე ჩვენ უნდა ვხდებოდეთ“.



რომელიმე ადამიანი ხომ არ გავახსენათ ამ სიტყვებში?

ნამდვილად არ მინდა, პატრიარქის სიტყვების ინტერპრეტაცია მოვახდინო და გადაჭრით ვთქვა, გინდათ თუ არა, უწმინდესი ამ ადამიანს გულისხმობდა-თქო, მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ და ვის უხდება ეს სიტყვები ყველაზე მეტად, თუ არა მიხეილ სააკაშვილს?

„საქართველო ვითარდება ისე, როგორც არასდროს“, „თბილისი უფრო კარგადაა განათებული, ვიდრე მიუნხენი და ამსტერდამი“, „ასეთი აღმშენებლობა საქართველოში არასოდეს ყოფილა“, „7 ნოემბერს მომიტინგეებისთვის მოქმედი ყოველი ხელკეტი მე მხედებოდა“, „ჩვენ შევდექით, როგორც სახელმწიფო“, „რუსეთს აქედან გავაპანლურებთ“, „ესენი არიან ღორები“, „ჩასარეცხები“, „საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დამყარდა კანონის უზენაესობა“, „არანაირი შემწყნარებლობა, წვრილმანი დანაშაულისთვის ყველანი ციხეში“...

საჭიროა გაგრძელება? ვისაც მიხეილ სააკაშვილთან შეხება ჰქონია, კარგად იცის, რომ იგი ვერ იტანს შეპასუხებას, სანინა-აღმდევო აზრს, თუნდაც არგუმენტირებულს, ვერ გუობს, როცა მისი აზრი ერთადერთ ჭკუპარტიკულად და გენილურობის მწვერვალად არ არის აღიარებული... უიმედოა იმის მოლოდინი, რომ სააკაშვილს რალცაში არ დაეთანხმები და ის მოგისმენს მაინც, თუ არ დაგეთანხმა. ჩვეულებრივ მოკვდავთ ეს ილუზია არ ჰქონიათ და არც მომავალში უნდა ჰქონდეთ. თუ რამდენად გაითვალისწინებს სააკაშვილი უწმინდესისა და უნეტარესის სიტყვებს, რამდენად გამოუტყდება საკუთარ თავს მაინც, რომ ეს სიტყვები, ცოტა არ იყოს, მის შესახებაა, მომავალი გვიჩვენებს.

სალპატორი დავალი

სწორედ მაშინ გავაცნობიერეთ, რომ თურმე ბელადომანიის სენით ვართ დაავადებული. ეს არ იყო მხოლოდ იმის ბრალი, რომ დამოუკიდებლობა ახალი მოპოვებული გვექონდა. ეს რომ ასე ყოფილიყო, დღეს, ამ ამბებიდან ლამის 25 წლის შემდეგ, მაინც არ გვექნებოდა კიდევ ერთი ახალი ბელადისა თუ შეიხის გამოჩენის არანორმალური მოთხოვნილება. კარგი, დღეს მთელი ინსტიტუტები და მსოფლიოს უძლიერესი სპეცსამსახურები თუ სხვადასხვა „კლუბები“ ჩართული ქართველი ერის გამოთავისებობის საქმეში, მაგრამ მაინც?

პიროვნებებზე აგებულ პოლიტიკას ჯერ არავისთვის მოუტანია სიკეთე. ურავატრიოტიტებისთვის დავაზუსტებ — თანამედროვეობას ვგულისხმობ, თორემ დავით აღმაშენებელიც, თამარიც და გიორგი ბრწყინვალეც ღვთის წყალობა იყო ჩვენთვის და არა — ჩვენი პოლიტიკური სიმწიფის დადასტურება. თეოლოგად დღესაც შეიძლება, გამოჩნდეს მამულები, გამომჩნდეს მამულები, გამომჩნდეს მამულები და საქართველოს ამ კატასტროფული ვითარებიდან გამოიყვანს და გააძლიერებს, მაგრამ ეს ისევე და ისევე ღვთის წყალობა იქნება და არა იმის დამსახურება, რომ ჩვენ აზროვნება ვისწავლებთ.

ეს კი იმიტომ, რომ ჩვენ პიროვნებებს ვაფასებთ დღემდე და საერთოდ არ გვაინტერესებს მათი პროგრამები, სისტემური მიდგომები, გრძელვადიანი გათვლები... არ შეუძლია ამ ჩვენს ტვინს არაფერი „გრძელვადიანი“ და რა ვქნათ? თუ ვომობთ, რა დღეში უნდა მოვიგოთ ან თუნდაც წავაგოთ; ეკონომიკას თუ ვაჯანსაღებთ, ერთ კვირაში უნდა მოვამთავროთ ეგ ამბავი... ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რამდენიმე წლის წინათ პრაქტიკულად პასუხისმგებლობა აიღო საქართველოზე მთლიანად და მის პოლიტიკურ სისტემაზე კონკრეტულად.



როცა შენ თვითონ არ გაქვს სურვილი, ტვინი გაანძრო, რათა, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყვადოდეს“, ნუ მოვითხოვთ გარეშე ძალებს, რომ მაინც დამინც ჩვენ მიმართ გაუჩნდეთ ჭკუპარტიკა და ჩვენს აღზრდაზე დაიწყონ ზრუნვა. დედა ტერეზა ერთი იყო, ერთი ადამიანი და ისიც გარდაიცვალა, ცხოვრებით. ამერიკის სპეცსამსახურებს კი ვერანაირად ვერ მოვთხოვთ დედატერეზობას ან თუნდაც მათთანავე განდობას.

მიუხედავად იმ პოლიტიკური ქართველებისა, საქართველოს თავზე რომ გადაიარა, და ამდენი უბედურებისა, პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღების ნიშანწყალი მაინც არ ჩანს. ისევე ველოდებით აღასანიას, — აი, ჩამოვა ამერიკიდან და მიშას კუდიტქვას ასროლინებ; აი, ნოღაიდელო როგორ ემუქრება ვანოს... ჯერ, ნებისმიერი მეტ-ნაკლებად მოაზროვნე ერისთვის ის იქნებოდა შეურაცხყოფა, აღასანიას ამერიკიდან ჩამოსვლამდე ზეცაში რომ აუვარდა რეიტინგი. რატომ, ხალხო, რატომ გქონდათ აღასანიას იმედი, ოდნავი წარმოდგენა მაინც გქონდათ

რამდენიმე წლის ტრენინგების (ადრე რომ „დავერობოვებას“ უწოდებდნენ) შემდეგ ამერიკამ საქართველოში პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეცვალა და ყვანია-საკაშვილის დუეტი მოიყვანა. მიშისტების ოდნავ მოაზროვნე ნაწილისგან ხანდახან გაიგონებთ ასეთ რამეს —

ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ამერიკის მიმართ ამგვარი, ერთი შეხედვით, სამართლიანი პრეტენზიით ჩვენ ისევე საკუთარ უსუსურობასა და დღევანდელ არარაობას ვაღიარებთ — ისევე ამერიკა თუ გვიშველის, თორემ ჩვენით ამის გამკეთებლები არ ვართო. ჰოდა, ღირს კი ამის შემდეგ, რომ თუნდაც იმ ამერიკამ ან სხვა ვინმემ გვიშველოს?

არჩილ ჩხარტიშვილი

მაგრამ რომელ დედატერეზობაზეა საუბარი, როცა გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, როცა მაშინდელ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის პირველი ბზარი გაჩნდა და დაპირისპირება დაიწყო, ქართველობამ ასეთი ლოზუნგი მოიფიქრა — „ჯერ — დამოუკიდებლობა, მერე — დემოკრატია“. მაპატიოს ყველამ, მაგრამ ვერანაირად ვერ მქენ-

მსურს, გააზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვიკავშირდით: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

ირაკლი სესიაშვილი: მდგომარეობას, როგორც სააკაშვილმა აბვისტოს ორით შექმნა, ვეღარ გამოვასწორებთ!

სექტემბერში ხელისუფლება ახალი კანონპროექტის მიღებას გეგმავს, რომლის მიხედვითაც სარეზერვო-სამხედრო სამსახურის მოხდა სავალდებულო იქნება 45 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცისთვის. საომარი მოქმედებების დროს კი ეს ასაკი 50 წლამდე გადაინეგს, ხოლო სამხედრო წოდების პირთათვის — 55 წლამდე. სჭირდება თუ არა ქართულ არმიას ამდენი რეზერვისტი და რამდენად შეძლებს საქართველო, სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში, ასეთი „მომზადებული“ არმიით პრობლემების მოგვარებას მეზობელ ქვეყნებთან? მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება უდიდეს ყურადღებასა და ფინანსებს უთმობს თავდაცვის სფეროს და ამ საკითხთან მიმართებაში მოკავშირე ქვეყნების იმედიც აქვს, რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის — ფილიპ გორდონის გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია: „საქართველო გამოთლიანებას არა სამხედრო, არამედ ძლიერი დემოკრატიისა და წარმატებულ ქვეყნად გადაქცევის გზით მოახერხებს, როცა იქცევა იმ ქვეყნად, სადაც სამხრეთისური და აფხაზური საზოგადოება დათანხმდება ცხოვრებას“. რამდენად სჭირდება თავდაცვის სისტემას კიდევ ერთი ახალი პროექტი, რომელიც, არაფერ იცის, გაამართლებს თუ არა და არის თუ არა საჭირო კიდევ მილიონობით ლარის გამოყოფა ბიუჯეტიდან მსგავსი პროექტებისთვის, ამასთან დაკავშირებით სამხედრო ექსპერტ ირაკლი სესიაშვილი ვესაუბრეთ.



— ბატონო ირაკლი, რას ფიქრობთ ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელიც თავდაცვის სისტემაში უნდა დაინერგოს და რომელიც ახალი ტიპის სამხედრო სარეზერვო სამსახურის შექმნას ითვალისწინებს? — თვითონ კანონპროექტს ვერსად მივაგენი, თუმცა რაღაც ნაწილი ვნახე. ჩემთვის, როგორც სამხედრო ექსპერტისთვის, მნიშვნელოვანია გავიგო, თუ რა ტიპის სარეზერვო სამსახურს ქმნის ქვეყანა და როგორ წაადგება ის

ახალი კანონპროექტის მიხედვით, დაახლოებით 300.000 მოქალაქე იქნება ვალდებული, სარეზერვო სამსახური გაიაროს.

ამდენ მოქალაქეს რომ ვალდებულ ხდი, სამხედრო სამსახური გაიაროს, გაქვს ამის შესაძლებლობა?



ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, მაგრამ წინამორბედისგან განსხვავებით, ამ კანონპროექტში ამოღებულია სამხედრო სარეზერვო სამსახურის ტიპები, სახეობები და ბუნდოვანია, თუ რა ფუნქცია დაუკისრდება სარეზერვო სამ-

სახურს. ვერ ვხვდები, რაში გვჭირდება სარეზერვო სამხედრო ვალდებულება ჩავთვალოთ 45 წლის მამაკაცი, რომელიც ფიზიკურად ვერ გაუტოლდება 25 წლის მამაკაცს და სათანადოდ ვერ შეასრულებს დაკისრებულ მო-

ვალდებულებას, რაც სამხედრო საქმეს სჭირდება? — რამდენად სჭირდება ქვეყანას, როგორც თქვენ აღნიშნეთ, 45 წლის ადამიანებისგან შემდგარი სარეზერვო სამსახური, რომელიც ფიზიკურად

სათანადოდ ვერ შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას? — სჭირდება თუ არა, ვე მეორე საკითხია; მთავარია, გვაქვს კი ჩვენ რესურსი და შესაძლებლობა, ამდენი ადამიანი სათანადოდ მოვამზადოთ და აღვჭურვოთ? ახალი კანონპროექტის მიხედვით, დაახლოებით 300.000 მოქალაქე იქნება ვალდებული, სარეზერვო სამსახური მოიხადოს. ამდენ მოქალაქეს რომ ვალდებულ ხდი, სამხედრო სამსახური გაიაროს, გაქვს ამის შესაძლებლობა? რა აზრი აქვს რიცხოვნობის გაზრდას? მეჩვენება, რომ, ვინც ეს კანონპროექტი შექმნა, ზედმეტად არის „ჩექმას მიტმასნილი“.

— რამდენად შეგვიძლია ჩვენს მეზობლებთან — რუსეთთან, თურქეთთან ან ირანთან — დაპირისპირების შემთხვევაში სამხედრო გზით პოლიტიკური პრობლემების მოგვარება? — ამ შეკითხვაზე პასუხი არ არსებობს, რადგან სამხედრო საკითხებს, მათ

«Freedom House»-მა სააკაშვილს სატრაბახო გამოაცხადა



საერთაშორისო ორგანიზაცია „Freedom House“-ის ანგარიშით, საქართველოში კორუფციის დონე ისეთივეა, როგორც 1999-2000 წლებში იყო. ანგარიშში, რომელშიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დემოკრატიის განვითარების სხვადასხვა მიმართულებებზე შეფასებული, საქართველოს შესახებ თავში აღნიშნულია, რომ კორუფციის მაჩვენებელი 5.00-ია, ანუ ისეთივე, როგორც 1999-2000 წლებში იყო. უცვლელი დარჩა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მაჩვენებელი და უმნიშვნელოდ გაიზარდა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხი.

	1999-2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
Electoral Process	4.00	4.50	5.00	5.25	5.25	4.75	4.75	4.50	4.75	5.25	5.25
Civil Society	3.75	4.00	4.00	4.00	3.50	3.50	3.50	3.50	3.50	3.75	3.75
Independent Media	3.75	3.50	3.75	4.00	4.00	4.25	4.25	4.00	4.25	4.25	4.25
Governance	4.50	4.75	5.00	5.50	5.75	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	n/a
National Democratic Governance	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	5.50	5.50	5.50	5.75	6.00	6.00
Local Democratic Governance	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	6.00	5.75	5.50	5.50	5.50	5.50
Judicial Framework and Independence	4.00	4.00	4.25	4.50	4.50	5.00	4.75	4.75	4.75	4.75	4.75
Corruption	5.00	5.25	5.50	5.75	6.00	5.75	5.50	5.00	5.00	5.00	5.00
Democracy Score	4.17	4.33	4.58	4.83	4.83	4.96	4.86	4.68	4.79	4.93	4.93

ვით, რომ კორუფციის ცვალებადი ფაქტორი არის, მაგრამ ინსტიტუციური კორუფცია საქართველომ დაამარცხა. — ასეთი განცხადებები ყოველთვის იყო და იქნება, ალბათ, სააკაშვილის გამოსვლების მთავარი თემა, თუმცა საქმე ისაა, რომ გვეუბნებიან ერთს, და რეალურად, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები სულ სხვას ამტკიცებს. — საინტერესოა, რომელს და ვუჯეროთ: ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაცია „Freedom House“-ს თუ ჩვენს პრეზიდენტს? გადაწყვიტეთ, გაგვეცხადოს სხვა კომპეტენტური ადამიანების აზრი იმაზე, მართლა დამარცხებულია კორუფცია თუ ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. — **ჰამილტონი, ექსპერტი:** — კორუფცია რომ დამარცხებული არაა, ნათელია. თუმცა სიტუაცია შეიცვალა. ის პრიმიტიული კორუფცია, რომელიც ადრე იყო, სახელმწიფო კორუფციით შეიცვალა, იგივე სახელმწიფო თუ არსებობს, მხოლოდ — ზემო ეშელონებში. სახეზე გვაქვს სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი კორუფცია, ანუ სახელმწიფო აკეთებს იმას, რასაც წინათ სხვადასხ-

ეს იმ ფონზე, როდესაც პრეზიდენტ სააკაშვილის ყველა განცხადება იწყება სიტყვებით, რომ კორუფცია დამარცხებულია, რომ საქართველო კორუფციასთან ბრძოლის კუთხით მსოფლიოს ნომერ პირველი ქვეყანაა და ვეროპის არაკორუმპირებული ქვეყნების სამეულში შედის. სახელმწიფოს მესვეურნი თურმე ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საბოლოოდ აღმოიფხვრას კორუფცია საქართველოში და ამისთვის სახელმწიფოს ყველა მოხელე მუშაობს. — **გვახსოვს, ალბათ, სააკაშვილის ცნობილი ფრაზები**

კორუფციასთან ბრძოლის თაობაზე. ისიც გვახსოვს, ალბათ, კორუფციასთან ბრძოლის დაწყებისთანავე რომ გამოავლინეს პირველი „მსხვერპლი“, საპატრულო პოლიციის ორი თანამშრომელი, რომლებმაც მოქალაქეებისგან ქრთამი აიღეს. „ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს“, — განაცხადა მაშინ ბათუმში მთავრობის გაფართოებული სხდომაზე მყოფმა მიხეილ სააკაშვილმა. თუმცა კორუფციასთან ბრძოლის ფაქტები მაშინაც მრავლად იყო და დღემდე მრავლდება. — **პრეზიდენტი არც კორუფციის ბრალდებით სამსახურე-**

ბიდან გათავისუფლებული ადამიანებისთვის აპირებდა ბოდიშის მოხდას და შეგუებული იყო იმ აზრს, რომ მთავარი მიზნისთვის — კორუფციის დამარცხებისთვის საკუთარი თავის შეწირვა შეიძლება მართებული ყოფილიყო, რადგან იცოდა, რომ კორუფციაში მხილებულ ადამიანებს სააკაშვილი ეზიზღებოდათ. — **ბოლო წლებში ჩვენ მტკიცებულ რეფორმების გატარება და ამის გამო ბევრი ადამიანის გა-**

დაკიდება მოგვინია. ბოლო წლების განმავლობაში მოახერხეთ კორუფციის დამარცხება. ამის თქმა არ შეუძლია არც ბუღალრებს; არც რუმინეთს, რომელიც მიიღეს ევროკავშირში; არც ხორვატიას, რომელსაც ახლა იღებენ ევროკავშირში; არც გერმანიას და არც სხვა ქვეყნებს, რომლის ექსპერტებიც ჩამოდიან და ხანდახან ჭკუას გვაჩვენებენ. შეგვიძლია ვთქ-

ვა რგოლები აკეთებდნენ. სახელმწიფო პროკურატურის საშუალებით ატერორებს ბიზნესს, აწერს მას ფულს. ეს ცნობილი ფაქტია. იბარებს ბიზნესმენებს და ეუბნება, შენ ამდენი უნდა მოიტანო და შენ ამდენიო. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვი, რომ კორუფციის დონე დაბალია. პირიქით, მოიმატა კიდევ. — **გიორგი მარგველაშვილი, ექსპერტი:** — „Freedom House“-ს ჩემთვის ძალიან კომპეტენტური ორგანიზაციაა და მისი შეფასება მნიშვნელოვანია. არასდროს მქონია შეხება კორუფციასთან, მაღალ ეშელონებში ურთიერთობა. შემიძლია ვთქვა, რომ ქუჩაში პოლიციელს ქრთამს არ ვაძლევ. პატრული რომ ქრთამს არ იღებს და საპასპორტოში რომ თანხას აღარ იღებენ, ეს ვიცი და „Freedom House“-ის დასკვნები არ მჭირდება ამისთვის, მაგრამ, რა ხდება მაღალი დონის ეშელონებში, არ ვიცი. ვხედავ, რომ რაღაც დონეზე კორუფცია აღმოიფხვრებოდა, თუმცა ისიც ნათელია, რომ შედეგის თავისუფლება და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება შეზღუდულია.

შორის იმას, თუ რა უნდა გადაწყდეს ქალის გამოყენებით, განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკა, ჩვენთან კი მკაფიოდ ჩამოყალიბებული თავდაცვის პოლიტიკა არ არსებობს; ასევე, არ არსებობს სწორად განსაზღვრული სტრატეგია, თუ როგორ უნდა მოახდინოს ქვეყანამ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და არიან რა ზედმეტად პოლიტიზირებული, თავდაცვითი ინსტიტუტები ვერ ქმნიან ისეთ გარემოს, რომ ქვეყანამ შეძლოს საკუთარი უსაფრთხოების დაცვა, როგორც მშვიდობიანი, ისე საომარი მოქმედებების დროს.

— ხომ არ სჯობს, ხელი-სუფლებამ, თავდაცვის სისტემაში ახალ კანონპროექტებზე ფიქრის ნაცვლად, მძიმე სოციალური საკითხების გადაჭრაზე იზრუნოს და მილიარდობით ლარი არა მილიტარიზაციას, არამედ თუნდაც პენსიების გაზრდას მოახმაროს?

— როგორც უკვე გითხარით, ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელსაც არ შეუძლია ნორმალური უსაფრთხოების სისტემის შექმნა. ქვეყნის მთავარსარდალი არის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომლის ერთ-ერთი იდეალური სუსტი წერტილია თავდაცვა და უსაფრთხოება.

პრეზიდენტს არ აქვს უნარი, დანიშნოს პროფესიონალი კადრები ამ უწყებებში. ამიტომ იგი ახდენს ამ უწყებების პოლიტიზირებას და მათგან აკეთებს პოლიტიკურ მანქანას. ასეა შინაგან საქმეთა სამინისტროც, რომელიც პოლიტიკურ მანქანად იქცა საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ, და თავდაცვის სამინისტროც, რომლის მინისტრსაც იმდენივე გამოცდილება აქვს სამხედრო სფეროში, რამდენიც დალაშქრებას.

— ალბათ, იცით ფილიპ გორდონის განცხადების შე-

სახებ. მისი აზრით, საქართველო გამოთვლიანება არა სამხედრო, არამედ ძლიერი დემოკრატიისა და წარმატებულ ქვეყნად გადაქცევის გზით მოახერხებს. რა არის, თქვენი აზრით, საქართველოსთვის პრიორიტეტული — გაზრდილი სამხედრო ძალა თუ დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება?

— აბსოლუტურად ვეთანხმები ფილიპ გორდონის განცხადებას. ეს ის შეცდომაა, რომელიც ამ ხელისუფლებამ არაერთხელ დაუშვა წლების მანძილზე და, როცა იფიქრა, რომ სამხედრო ძალით შეძლებდა რუსეთის განდევნას საქართველოს ტერიტორიიდან, ესაა შეცდომა, რომელიც შავ ლაქად დარჩება ისტორიაში; სამარცხვინო საქციელი, თუ რა დანაშაული ჩაიდინა ხელისუფლებამ და რამხელა ზიანი მიაყენა ქვეყანას, რომელსაც ტერიტორიების უდიდესი ნაწილი ჩამოაკლდა აგვისტოს მოვლენების შემდგომ.

პრობლემა ჩვენს საზოგადოებაშიცაა, რომელიც 20 ლარად კორდონატორობითა და სხვა გზებით „აპარავებს“ ხელისუფლებას, რომელმაც არაერთი მძიმე დანაშაული ჩაიდინა.

2003 წლიდან საქართველოს ხელისუფლებამ იმ პოლიტიკით რომ ემოქმედება, რაც ფილიპ გორდონმა თქვა, შეიძლება სოხუმში მართლაც საქართველოს დროშას ეფრიალა. სამწუხაროდ, მოვლენები უკან ვეღარ დაბრუნდება. მდგომარეობას, რომელიც სააკაშვილმა აგვისტოს ომით შექმნა, ვეღარ გამოვასწორებთ. ხელისუფლება, განსაკუთრებით კი პრეზიდენტი, ჩვენი მოტყუების მუდმივ რეჟიმშია გადასული, რომ თითქმის ყველა მათგანს დავბრუნებთ. ეს ხელისუფლება თავის ინტელექტითა და რესურსით ვერასდროს შეძლებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

ლაღო

სადღობელაშვილი:

ეს ბიჭები ჯერ გაპოიუნან, მერე კი ფახებუნა დაიქიდა

7 მაისს ტელეკომპანია „კავკასიასთან“ მომხდარი ინციდენტის გამო დაკავებული 7 ადამიანის ბედი ჯერ არ გარკვეულა. მიმდინარეობს სასამართლო პროცესი. გამოძიებას ყველა მონმე ჯერ არ დაუთხოვან. თავდაპირველად დაკავებული იყო 8 პირი — ლევან ჩაჩუა, ავთო ზუმბაძე, ლევან ტურაშვილი, დავით შალამბერიძე, გიორგი გაბედავა, რატი მაისურაძე, შოთა აფხაიძე, ზვიად ბლიაძე. ლევან ტურაშვილი მალევე გაათავისუფლეს. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი დაკავებულის — ზვიად ბლიაძის მამა პოლიციის სამმართველოსთან გულის შეტევით გარდაიცვალა.



მისი პათარატი მიზანი, მსაჯისი პროკოპასიებით ორგანიზაციებისა და ბიზნესმენებისა ული ჩიჯიგოს

„შემთხვევითი არაა, რომ აღნიშნული შეტაკება სწორედ „კავკასიაში“ მოხდა, რომელიც სინამდვილეში, ხელისუფლების კონტროლქვეშ მყოფ სტრუქტურას წარმოადგენს და მისი დანიშნულებაა არა თავისუფალი და ობიექტური აზრის გავრცელება, არამედ ამ აზრით მანიპულირება“, — ნათქვამია „სახალხო პარტიის“ ლიდრის — მამუკა გორგაძის განცხადებით. გორგაძის აზრით, გადაცემა „ბარბოსის“ ნამყვანის — ნინო ჯანგირაშვილის პროკოპაციული საქციელი იმას ადასტურებს, რომ საქმე გვაქვს ხელისუფლების შეკვეთასთან; მომხდარზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, შს მინისტრ ვანო მერაბიშვილისა და ოუსტიციის მინისტრ ზურაბ ადიუშვილის „ოპერატიული“ რეაგირება კი ამის დადასტურებაა.

ჩვენ დავინტერესდით, როგორ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი და გავესაუბრეთ პარტია „თავისუფლების“ წევრ ლადო სადღობელაშვილს. იგი ესწრება სასამართლო პროცესებს და პროტესტს გამოთქვამს „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობისა“ არ გაშუქდეს. სანამ ქვეყანაში არ დასრულდება პრინციპული არ აღმოიფხვრება, ანუ კანონი ყველასთვის ერთნაირად არ იკანონება, ჩათვალეთ, რომ კორუფციას ბენეცი არ შეერგება. ჯერჯერობით კი კანონი ყველასთვის ერთნაირად ნამდვილად არ კანონობს. კორუფცია გამჯდარია საზოგადოების გარკვეულ ნაწილში და ისე იოლი დასამარცხებელი არაა, როგორც ხელისუფლება ამბობს.

სოსო შატბერაშვილი, ლეიბორისტული პარტია: — როცა სააკაშვილი ხმის ჩახლქამდე გაჰყვირის, კორუფცია დამარცხებულია, სიჭრუფე. ეს იმანდაზას მაგონებს, ქურდი რომ იძახის, პატიოსანი ვარ, პატიოსანიო. ასეთი მასშტაბის კორუფცია არასდროს ყოფილა, შევარდნაძის დროსაც კი. ადრე კი იყო კორუფცია, მაგრამ ფულის ქურდობა ხდებოდა ბიუჯეტში შესვლამდე, ახლა უკვე ბიუჯეტიდან იპარავენ ფულს. ასეთი არნახული კორუფცია სააკაშვილამდე არასდროს ყოფილა. ჩემი აზრით, „Freedom House“-ის ანგარიში მართებული კი არა, უფრო რბილია, ვიდრე უნდა იყოს.

გამოუძახებიათ. მალევე მოვიდნენ მამა დავით ქველიძე და მამა დავით ისაკაძე; აქვე გამოჩნდა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“. პატრულის თანამშრომლები, რომლებიც სასამართლოზე მოწმის სახით დაიბარეს, ჩვენებს დროსაც ამბობენ, რომ ისინი ანონიმური სატელეფონო ზარით გამოიძახეს.

ვის უნდა გამოეძახებინა პატრული, თუ არა „კავკასიის“ თანამშრომლებს? გადაცემის მსვლელობისას ჯანგირაშვილი თითის იშვერდა ყველა იმ ადამიანისკენ, ვინც, მისი აზრით, და შეიძლება დაკვეთიდაც, უნდა დაეჭირათ და ვინც ახლა დაჭერილია კიდევ; კერძოდ, გაბედავის ახლა, რომელიც ორგანიზაცია „ჩოლოყაშვილის“ წევრია და ეს ორგანიზაცია შესულია „სახალხო მართლმადიდებლურ მოძრაობაში“.

მე იქ ვიყავი და ვხედავდი, რომ ის ბიჭები ტყუილბრალად დაიჭირეს, რადგან უდანაშაულოები არიან. როდესაც შენიანს სცემენ, რაიმე ვარაუდებს უნდა მოახდინო: ან უნდა ჩაერთო ჩხუბში, ან პატრული გამოიძახო, ან კიდევ მოუწოდო წესრიგობდა გაბედავა და ამის გამო დაიჭირეს. ეს ყველაფერი პროკოპაცია იყო. ადამიანები შეიტყუეს „კავკასიის“ ტელევიზიამ. ატყუეს აფორტაში, ჩაშალეს გადაცემა და ბიჭები კი დააკავეს. პროცესებზე, მე რაც ვნახე, დაკითხვა 4 პატრული; არც ერთი მათგანი აზრზე არაა, რა მოხდა, რადგან არც ერთი იქ არ ყოფილა. თითქმის ყველანაირად ვერ ვხედავ, მაგრამ ვერ აკონკრეტებენ დეტალებს, რაც თვითმხილვას და მითუმეტეს პატრულს არ უნდა გამოჰპარვოდა. ჯერ ერთი, თუ იქ იყვნენ და ამას აკვირდებოდნენ, ხომ არიან წესრიგის დამცველები, რატომ არ აღკვეთეს?

საინტერესოა, რომ რატი მაისურაძე და შოთა აფხაიძე აიყვანეს არა არეულობის დროს, არამედ 3 საათის მერე სამმართველოსთან, სადაც მკვლელების ამბის გასაგებად მივიდნენ. საინ-

ტერესო ფაქტია ისიც, რომ მოსამართლედ და პროკურორად ისინი არიან, ვინც ლევან გიგინიშვილისა და გიორგი ალხაზიშვილის პროცესებს აკვირდებოდნენ. რატომ მაინცდამაინც ისინი?

დღეს რაც არ უნდა მართალი იყო, ხელისუფლება იმდენად ბოროტი და უსამართლოა, ნებისმიერი ჩვენგანი შეუძლია უდანაშაულოდ დაიჭიროს. მაგრამ აღმაშფოთებელი, იცით, რა არის? იჭერენ მართლმადიდებლობის დამცველებს და ამას არავენ აქცევს ყურადღებას. თვით ის ოპოზიციაც, რომელსაც ყველაფერზე აქვს პროტესტი, რასაც ხელისუფლება აკეთებს, წესით, ამ ბიჭებს გვერდით უნდა ედგას. ისინი არსად ჩანან; დარწმუნებული ვარ, ოქტომბერში აქციებს მოაწყობენ და ამ ბიჭების სახელებსაც ასხენებენ.

— რა ბრალდებით დააკავეს?

— ხულიგნობა და ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლა. თითქოს აქამდე ეს არ ითვლებოდა დანაშაულად. რამდენ ჟურნალისტს, ზოგს ზენოლით და ვიღაცა აშკარად, უშლიან ხელს და აქამდე ამ ბრალდებით არავენ დაუჭერათ. იმ შვიდ ადამიანს, რომლებიც სულ ტყუილად არიან დაჭერილები, დაახლოებით 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

— რამ გამოიწვია თქვენი პროტესტი?

— თითქმის ყველა სასამართლო პროცესს ვესწრებ და ერთხელაც არ დამინახავს იქ „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობა“, რომლის წევრებიც უდანაშაულოდ არიან დაკავებულნი. სად არის ეს ხალხი? რატომ არ აინტერესებთ ამ ბიჭების ბედ-ილბა? მე თვითონ ვუპასუხებ ამ კითხვას: — სახლში არიან და არც ადარდებთ ამ ბიჭების ბედი. გულამწვილმა ეს ბიჭები ჯერ გამოიყენა, მერე კი ფეხებზე დაიკიდა. მისი ერთადერთი მიზანია, ასეთი პროკოპაციებით ორგანიზაციებისაგან და ბიზნესმენებისაგან ფულს ჩაიჯიგოს. გასაგებია, რომ ჩაიჯიგოს. გასაგებია, რომ გულამწვილი გაქცეულია და ვერ დაესწრება პროცესს. მაგრამ სად არიან ამ

ორგანიზაციის სხვა ხელმძღვანელები? სად არის მათი მხარდაჭერა?

დაკავებულებს პარლამენტარები — ჯონდი ბალა-თურია, დიმიტრი ლორთქიფანიძე — უდგებიდნენ თავლებში, კუკავამ და ძიძი-გურმა სასამართლოს წერილობით მიმართეს, რომ ბიჭებს თავებში დაუდგებოდნენ. ვინც არ ინტერესდება ამ ადამიანების ბედი, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დაგეგმილი პროკოპაციის მონაწილენი გამოდიან. ამ საკითხით არც ერთი ტელევიზია, გარდა „მეცეტროსი“, არ ინტერესდება.

— რამდენი მონმე ჰყავს გამოძიებას, თუ დაკითხვა „კავკასიის“ ხელმძღვანელებს?

— პროკურატურას 32 მონმე ჰყავს. აქედან 24 პატრულის თანამშრომელია. დანარჩენი 8 — „კავკასიის“ თანამშრომელი და მოსყი-ული „თვითმხილველი“. შემდეგ პროცესზე უნდა დაიკითხონ ნინო ჯანგირაშვილი, დავით აქუაბდია და ის ოპერატორი, რომელიც ამ გადაცემას იღებდა. პრესას ვადევნებ თვალს და ვაკვირდები ჯანგირაშვილისა და აქუაბდიას განცხადებებს ამ ბიჭებთან დაკავშირებით. ჯერ გამოდის ადამიანი და პირდაპირ ეთერში თითის იშვერს იმათკენ, ვინც „დასაკავებელია“; შემდეგ კი, როცა მიხვდნენ, რამაც იყო საქმე, ან შეემინდათ, ან ფსიქოლოგიური სტრესი მიიღეს, ამდენი უდანაშაულო ადამიანი ამა გამო რომ დაიჭიროს. ახლა უკან დაიხივება ცდილობენ, თავი აარიონ პროცესებს. ახლა ჯანგირაშვილი აცხადებს, რომ ეს ბიჭები საერთოდ არაფერი უნდა იყოს, ანუ გამოდის, რომ თითების შევრის დროს რალაც აერია. მაგრამ უკან დახევვა და ბოდიშის მოხდა და გვიანებულია, როცა 7 ადამიანს წელიწადს უსჯიან შუც გამო. ჯანგირაშვილია გულამწვილმა ეს ბიჭები დიაგნოზის და იძახოს, ჩემი ბრალი არ არისო, მის სინდისზეცაა ამ ბიჭების ბედი. ერთ-ერთი ამ შვიდიდან მხოლოდ იმიტომ დაკავებული, რომ კამერით იღებდა ამ ყველაფერს. ესაა ხულიგნობა და ჟურნალისტური საქმიანობაში ხელის შეშლა?

რუსუდან ლორთქიფანიძე, პირველი ანტიკორუფციული საბჭოს „შვიდაცას“ წევრი: — როდესაც პირველი მონმევის ანტიკორუფციული საბჭოს წევრი ვიყავი, კორუფცია ხელის გულზე იდო, ანუ საძებარი არ იყო. ფეხმოკიდებული იყო თითქმის ყველა სფეროში, ლამის ცხოვრების ნებისაა, პატიოსანი სახელმწიფო თუ სამოქალაქო სტრუქტურა. არადა, მთლად ასეც არაა ნამდვარი ქვეყანა. მამხაც კი, კორუმპირებულ უწყებებში მუშაობდნენ პატიოსანი და არაკორუმპირებული ადამიანები, თუმცა უმეტესად ისინი არ ჩანდნენ.

კორუფცია მსოფლიოს სენია, მაგრამ ჩვენთან დამატარეველი მასშტაბები ჰქონდა. ასეთი კორუფციის სწრაფად აღმოფხვრა შეუძლებელია. თუ გავითვალისწინებთ დღევანდელ მდგომარეობას, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს პროცესები ცოცხალი შეფერხდა, მაგრამ აღმოფხვრით ნამდვილად არ აღმოფხვრილა. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კორუფცია მხოლოდ უკანონოდ ფულის აღება

მანქურთაბის ქვეყანა

„ვარდების რევოლუციამ“ კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი ჩაწერა თავის ისტორიაში — მაშინ, როდესაც ამერიკელებმა ევროპაში მე-2 ფრონტის გახსნის 66-ე წლისთავზე წლეულს, იენისში სტალინს ძეგლი დაუდგეს; საქართველოში მანქურთებმა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 65-ე წლისთავზე ამავე ომის ტრიუმფატორის ძეგლი დაამხეს. თანაც სად? მის სამშობლოში — გორში. ყოჩაღ, გორელებო, აფერუმ თქვენს ვაჟსაცობას!!!

ის, რაც XX საუკუნის 50-იანებმა ვერ გაუბედა იმ დროისთვის ყოვლისშემძლე და ყოვლისმკადრებელმა, ბირთვული იარაღით აღჭურვილმა პირსისხლიანმა სრულწამბო, თქვენ გააბედინეთ რუსული თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე მინაზე გათბულ მანქურთებს. ნუთუ იმდენად დაგაჩმორეს, რომ შიშისაგან შუბლის ძარღვი ყველას ერთად გაგინყდათ? რაღას იქმთ, ფაქტი სახეზეა — დიდი ბელადის, უძლეველი მხედართმთავრის ძეგლი აღარ ამშვენებს მისი მშობლიური ქალაქის მთავარ მოედანს!

მობდა კაცობრიობის ისტორიაში არნახული ვანდალიზმი, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია.

გამოდინ და ტელეკრანებიდან გუნდრუკს უკმევე მანქურთებს ქართველი პოლიტიკოსები და არაპოლიტიკოსები, ოპოზიციონერები და ფსევდოპოპოზიციონერები, მეცნიერები და ფსევდომეცნიერები, ისტორიკოსები და ფსევდოისტორიკოსები, მწიგნობარნი და უნიგნურნი, ბრალიანი და უბრალო ვაიქართველები, პლუს ყველა ნაძირალა და გარენარი და, პიროვნებას, რომელიც მართლმადიდებელმა ეკლესიამ, როგორც ქრისტეს ზვით მავალი, წმინდანად შერაცხა (იხილეთ სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსის სიტყვა სტალინის დასაფლავებაზე 1953 წლის 9 მარტს. რუსი მღვდლის ნაშრომი: „ქრისტე და სტალინი“ და პროფესორ ვახტანგ გოგუაძის „სტალინი და „სამინელი სამსჯავრო“), „ამკობენ“ სისხლისმსმელი ტირანის სახელით. თანაც ყველა ეს უნიგნური გარენარი, ერთ ხმაში კნავის „სტალინს საქართველოსთვის ცუდის მეტი არაფერი გაუკეთებია, მან 37-ში მილიონი ქართველი გაჟლიტა“.

თქვე უნიგნური ნაძირალებო, ნაიკითხეთ თქვენივე ქვეყნის ისტორია და დარწმუნდებით, რომ, თუ არა სტალინი, საქართველო დიდი ხნის წინათ, უკვე აღარ იქნებოდა მსოფლიო რუკაზე.

1922 წელს სტალინმა ფეოდალური რუსეთის ნანგრევებზე შექმნა დიადი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომლის 15 სხვა რესპუბლიკასთან ერთად, სრულყოფილიანი წევრი საქართველოც გახდა (სხვათაშორის, ევროკავშირი საბჭოთა კავშირის მაგალითზე შეიქმნა 1949 წ.).

მაშინდელი საქართველო ერთ მილიონამდე მოსახლესაც ძლივს ითვლიდა და იყო ჩამორჩენილი, კუსტარულ-აგრარული, ლატაკი, გაუბედურებული ქვეყანა (იხ. ჟაკ ფრანსუა გამბას „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“). სტალინმა უმოკლეს დროში

(საგულისხმოა, რომ სტალინს მშვიდობიანი აღმშენებლობისთვის სულ რაღაც 7 წელი ჰქონდა, 1946-1952 წწ.) საქართველო გახდა მათელ-განვითარებული, ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა, რომლის მოსახლეობა, ერთ სულზე წარმოებული და მოხმარებული საერთო ეროვნული პროდუქტის მიხედვით, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების პირველ ხუთეულში მოხვდა, უკვე 50-იანი წლების დასაწყისში.

სტალინმა დატოვა 5,5-მილიონიანი აყვავებული ქვეყანა. იქნებ, მოგიბრუნდეთ ენა და თქვათ, რომ ეს ასე არ იყო

ან კიდევ — სტალინმა რა ხეირი მოუტანა საქართველოსო, როგორც ამას თქვენთან ერთად ხშირად იმეორებს ერთ-ერთი მაღალი რანგის ისტორიკოსი ქალბატონი.

საქვეყნოდ ცნობილია, რომ სტალინის ერთადერთი საზრუნავი იყო მშრომელი ადამიანის კეთილდღეობის უზრუნველყოფა. მაგალითები?



სტალინმა სამუდამოდ აღკვეთა უმუშევრობა, საქართველოს ისტორიაში პირველმა და უკანასკნელმა დააკანონა 7-საათიანი სამუშაო დღე და 5-დღიანი სამუშაო კვირა, რაც იმ დროს მსოფლიოსთვის უდიდესი სენსაცია იყო.

სტალინმა ხალხს მისცა უფასო ბინა, უფასო მკურნალობა, უფასო დასვენება კომფორტულ სანატორიუმებში. სიმბოლური ფასები პურზე, ფართო

მომხარების საქონელზე, ყოველდღიური მოხმარების საგნებზე, კომუნალურ მომსახურებაზე.

მისცა ქვეყანას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უფრო დემოკრატიული და ადამიანის კეთილდღეობაზე მორგებული კონსტიტუცია.

კიდევ რა ხეირი? სტალინმა უმოკლეს დროში არნახულ სიმაღლეზე აიყვანა ქართული განათლება, კულტურა, ხელოვნება, სპორტი, კინო, თეატრი. 1941 წელს, გაცხარებული ომის პირობებში, დააარსა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია (მაშინ აკადემიები მხოლოდ რუსეთს და უკრაინას ჰქონდათ).

სტალინმა მსოფლიოს დაუბრუნა შოთა, საქართველოს — ილია და ვაჟა, აგრეთვე, დიდი ივანე ჯავახიშვილი.



სტალინმა სოჩა (სოჭი) გააჩუქაო. ამტკიცებენ უნიგნური კრეტინები. სინამდვილე ისაა, რომ სტალინმა აფხაზეთის სს რესპუბლიკა 1931 წელს საქართველოს შეუერთა აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის სტატუსით.

სტალინს არაფერი გაუჩუქებია, პირიქით, მან ომის დამთავრებისთანავე ქლუხორის მხარე შეუერთა საქართველოს ასობით სოფლით, დაბითა და ათასობით კვადრატული კილომეტრი ტერიტორიით.

...და, რომ ამერიკას 1945-ში ატომური ბომბი არ აეფეთქებინა, სტალინი მზად იყო, საქართველოსთვის თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიები დაებრუნებინა.

მას შემდეგ, რაც ატომური ბომბი საბჭოთა მხარეზეც მიიღო, სტალინი ისევ დაუბრუნდა აღნიშნულ საკითხს, თუმცა სიკვდილმა მისი გეგმები ჩაშალა.

იქნებ, უარყოფი ყოველივე ზემოხსენებული, უნიგნური კრეტინებო. სტალინმა ათეული მილიონი უდანაშაულო ადამიანი გაჟლიტაო (???)?. მოვიყვანთ ფაქტებს, რომლებიც მრავალჯერ გამოქვეყნდა პრესაში. „1921-1954 წლებში საბჭოთა ციხეებსა და კოლონიებში სულ 3770 ათასი ადამიანი იყო. აქედან სიკვდილი მისჯილი ჰქონდა 640 ათასს. მათგან ყველა არ დაუხვრეტიათ, ზოგს შეუცვალეს სასჯელის ზომა“.

საქმე ისაა, რომ 1927 წლამდე, სანამ ტროცკი არ ჩამოაშორა ქვეყნის სადავეებს, სტალინს, რეალური ხელისუფლება არ გააჩნდა. 1917-დან 1927 წლამდე სტალინს ხელი არ მიუწვდებოდა ძალადგანი სტრუქტურებზე. ხალხს ხვრეტდნენ ლენინის, ტროცკის, ტუხაჩევსკის, ბუხარინის, რიკოვის ბრძანებით.

სავარაუდოდ, იმ 640 ათასი სიკვდილის მისჯილიდან 1927 წლამდე დაიხვრეტა და ახლოებით ნახევარი, ე.ი. 320 ათასი. სწორედ ის დარჩენილი 320 ათასი ოცი წლის განმავლობაში დათარეშობდა მთელს საბჭოთა ტერიტორიაზე, ცილს სწამებდა პატიო-

სან ადამიანებს და სპობდა მათ. აწყობდა ტერორს, საბოტაჟს, ანადგურებდა მოსავალს, აფეთქებდა ელექტროსადგურებს, ქარხნებს, ფაბრიკებს და ა.შ.

სწორედ ეს მავნებელთა ბანდა, დაახლოებით 300 ათასი კაცი, გაანადგურა 1937-ში რევოლუციური რუსეთის კანონმდებლობამ და არა სტალინმა. 300 ათასი და არა 30-60-120 მილიონი, როგორც ამას ამტკიცებენ გარეწარი ანტისტალინელები.

რაც შეეხება პირადად სტალინს, მის სინდისზე არაა არც ერთი წვეთი სისხლი უდანაშაულო ადამიანისა და, საერთოდ, ადამიანის.

„ის ყოველთვის იყო ბრალდებულის მხარეზე და, უმეტეს შემთხვევაში, წინააღმდეგი იყო ადამიანის სიკვდილით დასჯისა“ (ბენედიქტოვი. სტალინისდროინდელი სოფლის მეურნეობის მინისტრი).

ცნობილია სტალინის მიერ ძერჟინსკის მიმართ მიცემული რჩევა, როცა ამ უკანასკნელს 3XР4-ს თავმჯდომარედ ნიშნავდნენ, „სჯობს 100 დანაშაულს გაამართლო, ვიდრე ერთი უდანაშაულო დასაჯო“.

ცნობილია, რომ სტალინი წინააღმდეგი იყო მისი ისეთი დაუძინებელი მტრების დახვრეტისა, როგორებიც იყვნენ ბუხარინი და რიკოვი. მან სთხოვა ცეკას სპეცკომისიას, შეენყალებინა ისინი და ქვეყნიდან გაეხსლებინა. კომისიამ გაითვალისწინა რა ბუხარინისა და რიკოვის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაული, სტალინის წინადადებას მისმა არც ერთმა წევრმა არ დაუჭირა მხარი.

ასეთი იყო ნამდვილი სტალინი საოცარი მამაკაცური ხიბლით შემოსილი, სამართლიანი, კეთილი, პატიოსანი ადამიანი. მას ანალოგი არ ჰყოლია მსოფლიოში თავისი რანგის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის.

ყოველივე ზემოთქმულზე წერენ და საუბრობენ როგორც სტალინელები, ასევე ობიექტური ანტისტალინელები... ისიც, ცხადია, რომ, რაც ზემოთ ითქვა, არ არის ავტორის ფანტაზიის ნაყოფი...

გივი ბარკაძე, აკადემიკოსი



ნანა კაკაბაძე: პატივსაცემად ყოველდღიურად სხვაენ იმისათვის, რომ დაახლოვდეთ და სულიერად გაანადგურდეთ

ბოლოს დროს ადამიანის უფლებების დამცველები ხშირად საუბრობენ პენიტენციურ სისტემაში წარმოუდგენლად მძიმე სიტუაციაზე, რომ ქართულ გარემონტებულ ციხეებში პატიმრებს საშინლად აწამებენ, თუმცა ამის დამადასტურებელი ფაქტები არ სახელდება, არ სახელდება, ასევე, კონკრეტული გვარები და სახელები. აღნიშნულ სიტუაციაში გასარკვევად ადამიანის უფლებათა დამცველ ნანა კაკაბაძეს დავუკავშირდით. როგორც მასთან საუბარში გაირკვა, დღეს 30 ათასი პატიმრიდან მხოლოდ ორი-სამი თუ ბედავს ხმის ამოღებას.



დაცვა არ შეგვიძლია, ამ ინფორმაციის გაფრთხილების შემდეგ იქ რომ არ მოკლან ან უარეს პირობებში არ ჩააყენონ. პატიმრები გლდანის მერვე საპრობლეში საკუთარი საკნებიდან უყურებენ მორგს. ისინი ამბობენ, რომ არ არის დღე, იქ ერთი ან ორი მიცვალებული მაინც არ შეიყვანონ.

ლო. კანონმა გააუქმა ის საბჭო, რომელიც არსებობდა. — თქვენ ადრე განაცხადეთ, რომ ისეთი მძიმე მდგომარეობაა ციხეებში, რომ მოსალოდნელია სერიოზული აფეთქება. — აფეთქება მოსალოდნელი იყო, მაგრამ ახლა იქ ისეთი სიტუაციაა, აფეთქების კი არაა, სუნთქვისა და ხმის ამოღების საშუალებაც აღარ არის. პატიმრები არადადამიანურ პირობებში არიან, არაფერი მათ აღარ იცავს: არც კანონი, რომელიც ქვეყანაში არ მუშაობს; არც ადმინისტრაცია, რომელიც ვალდებულია, პატიმრების უფლებებზე ზრუნავდეს;

— პენიტენციურ სისტემაში დღეს არსებული მდგომარეობა რომ შევადაროთ ყველა პერიოდის მდგომარეობას, რომელსაც ჩვენ მოვესწარნით კომუნისტური რეჟიმის დანაშაულებიდან, უმძიმესი მდგომარეობაა. 80-იან წლებში პოლიტიკური პატიმარი ვიყავი, ვიცი, შიგნიდან რა არის ციხე. 70-90-იანი წლები გაცილებით დემოკრატიული იყო და გაცილებით ადამიანურად ეპყრობოდნენ პატიმრებს, ვიდრე დღეს.

პირიქითაა; უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ მოპყრობას ადმინისტრაციის მხრიდან.

ადმინისტრაცია პატიმარს აღარ აღიქვამს როგორც პიროვნებას, რომელსაც შეზღუდული აქვს თავისუფლება, არამედ — როგორც ნივთს, რომელსაც, როგორც უნდა, ისე ექცევა და სხვათაშორის, ადამიანები ნივთსაც კი არ ექცევიან ისე, როგორც დღეს პატიმრებს ექცევიან პენიტენციურ სისტემაში. მათთვის ხელმიუწვდომელია სამედიცინო დახმარება, სანიტარულ პირობებზე საუბარაც კი ზედმეტია; თვეობით ვერ ახერხებენ დაბანას და ელემენტარული ჰიგიენური ნორმების დაცვას. ყველაზე ხშირად პატიმრები იმისთვის, რომ ადამიანის უფლებების დამცველებს შეესაძლოა, სიცოცხლეც გარედან, ანუ ოჯახის წევრებისგან აკრძალულია ყვე-

ლა აუცილებელი ნივთის მიწოდება, მათ შორის თეთრეულის, პირსახოცის, შიგნით კი ამის უზრუნველყოფას არ ახდენენ. ამ ყველაფერს აგვირგვინებს პენიტენციურ სისტემის ადმინისტრაციის თანამშრომლების დამოკიდებულება პატიმრებისადმი. მას შემდეგ, რაც პენიტენციური სისტემის დეპარტამენტის თავმჯდომარედ ბაჩო ახალაია მოვიდა, ციხეებში წამება და ღირსების შემლახავი მოპყრობა დამკვიდრდა, როგორც პატიმრების მართვის ფორმა. ადრე თუ ცემასა და წამებას მიმართავდნენ ჩვენების გამოძალისთვის ან სხვა გამოწვევის შემთხვევებში, დღეს კი ყოველდღიურად ხდება — პატიმრებს ყოველდღე სცემენ იმისათვის, რომ დააბეჩაონ, სულიერად გაანადგურდონ და არ მისცენ მათ ხმის

ამოღების საშუალება. და მიზანსაც აღწევენ, გარდა ისეთი გახმაურებული პატიმრებისა, როგორც არის ცოტენ გამსახურდია, რომელმაც პატიმრების მწამებლების სახელები და გვარები დაასახელა, დაასახელა იმიტომ, რომ მას, დანარჩენ პატიმრებთან შედარებით, ყველაზე მეტი დაცულობა აქვს გარედან, მისკენ საზოგადოებას განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიპყრობილი. მაგრამ მის განცხადებას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია, პირიქით, გააქრეს ეს პატიმრები და არაფერი იცის, დღეს ისინი ცოცხლები არიან თუ მკვდრები.

ძნელია, გვარების დასახელება იმ ადამიანებისა, რომლებიც ბედავენ და ამხელენ წამების ფაქტებს, იმიტომ, რომ ჩვენ მათთვის არანაირი გარანტიის მიცემა და არც

სუბიკვად პატიმრებს კონსულტაციას აგონებს ის ელემენტარული, რომელიც იყოფა იმის, და აბოკან, რომ გარკვეული არაქმონდენ ისა ტყუილს, რომორც ჩვენ გვეჩვენებენ.

— გაუმჯობესებას არ ცდილობენ, ცდილობენ ფასადების შექმნას, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე, პენიტენციურ სისტემაშიც. საქმეში ჩაუხედავმა ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ ახალ ციხეებში უკეთესი პირობებია, მაგრამ

გარედან, ანუ ოჯახის წევრებისგან აკრძალულია ყვე-

ევროსასამართლოს მონახევრით საქართველოს სიხეხუში 30 000 პატიმარი იტანჯება



საქართველოს სახელმწიფოსთან ევროპის სასამართლოში არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნის მოქალაქეებსაც აქვთ პრეტენზია და ბუჯეტს, მ-მილიარდიან საგარეო ვალთან ერთად, ევროსასამართლოს მიერ საკუთარი თუ სხვა ქვეყნების მოქალაქეების მიმართ დაკისრებული სოლიდური თანხებიც აწევს ტვირთად.

დაძინება; არ იყო საკნისგან გამოყოფილი ტულატი; ფანჯრებზე რკინის ფანჯრები ხელს უშლიდა ოთახში ჰაერისა და სინათლის შესვლას. საგულისხმოა, რომ ამ პირობებში შევარდნაძის ხელისუფლების დროს რვა ათასი პატიმარი იმყოფებოდა. იმავე ციხეებში კი „ვარდების რევოლუციის“ თანმდევემა ნულოვანმა ტოლერანტობამ 30 ათასი პატიმარი გამოამწყვდია და, შესაბამისად, თითქმის ყველა მათგანს სწორედ ასეთ პირობებში უხდებოდა ყოფნა ახალი ციხეების გახსნამდე.

ლოში გადმოვიდა, სადაც საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს. რუსეთი მის ექსტრადირებას ითხოვდა. მაშინ საქართველოში არ არსებობდა ექსტრადიციის პრაქტიკა, არ არსებობდა ექსტრადიციის გასაჩივრების მექანიზმები. ალიევის საქმე იყო პრეცედენტული საქმე, რომელზეც უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო იღებდა ექსტრადიციის საკითხის შესახებ გადაწყვეტილებას, რომლის გასაჩივრებაც ერთჯერადად შესაძლებელი იყო უზენაეს სასამართლოში. ალიევთან ერთად იყო კიდევ 13 ჩეჩენი.

პირების ექსტრადირება, რაც დაკმაყოფილდა. ისინი საქართველოში დარჩნენ. საკანში შამპონთან და სხვა 12 ჩეჩენთან ერთად იმყოფებოდა ალიევი, როდესაც მათ სპეცრაზმის წარმომადგენლები შეუვიარდნენ. ჩვენ გავაგზავნეთ ეს საქმე ევროსასამართლოში, რომელმაც დაადგინა ევროკონვენციის მესამე მუხლის დარღვევა — რომ ეს ადამიანი იყო არაადაამიანური მოპყრობის მსხვერპლი, იმ დროს ციხეში არსებული პირობების გათვალისწინებით, რომელიც დაინტერესებული არიან პატიმრების მდგომარეობის შესწავლით, ციხეში აკრძალუ-

ევროსასამართლომ ისიც დაადგინა, რომ ალიევის საქმე არასრულყოფილად იყო შესწავლილი, რადგან გამოძიება აწარმოეს მხოლოდ პატიმრების მიერ ფიზიკური წინააღმდეგობის განხვევის ფაქტზე, ისე, რომ არ გაუკვეციათ პატიმრების წინააღმდეგ გამოყენებული ძალის პროპორციულობა, მხედველობაში არ მიუღიათ ალიევის პოზიცია, რომ იგი ციხის თანამშრომლებმა უსაფუძვლოდ სცემეს, და არ გამოიძიეს ალიევის წინააღმდეგ გამოყენებული ძალის აუცილებლობა.

ევროსასამართლოში იმ 4000 საჩივარს შორის, რომლებიც განხილვას ელოდება, უამრავია რუსულ-ქართულ ომში დაზარალებული ეთნიკური ოსების სარჩელი. ეს ადამიანები მიიჩნევენ, რომ საქართველოს სახელმწიფომ მათი უფლებები დაარღვია. მაგრამ საქართველოს მომჩივანთა შორის მარტო ოსები არ არიან. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ უკვე გადაუხადა მ ათასი ევრო ჩეჩენ აბდულ ჰამიდ ალიევს. ევროსასამართლომ მი-

იჩნია, რომ ალიევის მიმართ ორი მიმართულებით მოხდა ევროკონვენციის მესამე მუხლის დარღვევა და იგი დაექვემდებარა ტანჯვას, რომელიც სცილდება პატიმრობისათვის დამახასიათებელი ტანჯვის დონეს მისი პატიმრობის პირობების გამო: იგი მოთავსებული იყო საკანში, სადაც პატიმრების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღარბეჭდა საკნის ზომას; არ ჰქონდა საკუთარი ლოგინი და პატიმრებს რიგრიგობით უწევდათ ნარჩე-

თამშუნა ბაბუნია, „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ პროექტის კოორდინატორი, იურისტი: — საქმეზე — „ალიევი საქართველოს წინააღმდეგ“ — ევროპის სასამართლომ 2009 წელს გამოიტანა გადაწყვეტილება. ჩეჩენი ალიევი რუსეთში იძებნებოდა და საქართვე-

სამი ადამიანის ექსტრადირება მოახდინეს რუსეთში. შემდგომ ევროსასამართლოში გაიგზავნა მოთხოვნა გამოყენების შესახებ, რათა შეჩერებულიყო დანარჩენი

ალიევის სასარგებლოდ ევროპის სასამართლომ საქართველოს მთავრობას მ ათასი ევრო გადახდა დააკისრა ევროპული კონვენციის მესამე მუხლის დარღვევის გამო.

საქართველო

გზის, გაზის, ტენიანი მისაღებად? დამზადებით: 38-41-97, ან მონაცემებით: info@geworld.net



სხვადასხვა შეწყვეტის საფრთხე და, თითქმის ადამიანისთვის თავისი ძალები არ ჰყოფნის, სპეციალური არ ჰყოფნის, სპეციალური არ ჰყოფნის, სპეციალური არ ჰყოფნის, სპეციალური არ ჰყოფნის.

ციხიდან გამოსულ ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას ან იმ ადამიანებს, რომლებიც დაპატიმრებამდე იყვნენ პოლიტიკურად აქტიურები, პირდაპირ ეუბნებიან: თუ დაგინახეთ მიტინგებზე ან ასეთ ადგილებზე, ისევ შეზღუდვებით ცხებო.

აღმოსავლეთის ასეთი დამხმარე პოლიტიკა საქართველოში არსებითი ხელისუფლების დროს და არსებითი ეპოქაში არ ყოფილა, გარდა, ალბათ, 30-იანი წლების. თუმცა შეიძლება ვთქვათ, რომ არაფრით ჩამოშორდა დღევანდელი სიტუაცია.

უბრალოდ, იგი უფრო დახვეწილი, გათანაბრებული და უფრო ძნელად დასაინახავი გარეშე თვალისთვის, ვიდრე 30-იანი წლებში იყო, როდესაც უხეში ფორმებით ხოცავდნენ ადამიანებს. დღეს შეიძლება მეტი მსხვერპლიც იყოს ადამიანებისა, მაგრამ საზოგადოება ამას ვერ ხედავს.

— ადრე იყო წამების შემთხვევები, მაგრამ პატიმრები მაინც ბედავდნენ ამ ფაქტების გახმაურებას.

— რაც დრო გადის, მათი რაოდენობა თანდათან მცირდება, იმიტომ, რომ თანდათან ხვდებიან პატიმრები, რომ ხმის ამოღებას შედეგი არ მოაქვს. მაინც გამოდის ინფორმაციები, რადგან იქ ადვოკატები შედიან და ეს ინფორმაცია ჩვენამდე აღწევს, მაგრამ 30 000 პატიმრები, შეიძლება ორმა და სამამა თქვას რომ წანამები და ნაცემია და ისიც ისევ, რომ გვარისა და სახელის დასახელება ვერ ბედავს.

— სახალხო დამცველის აპარატი როგორ მუშაობს ამ კუთხით?

— ძალიან მძიმედ. ვფიქრობ, ჯერ ახლები არიან და იმიტომ პასიურობენ. მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებს ინვესტის საკადრო პოლიტიკა, რომელიც ახალმა ომბუდსმენმა გაატარა. პროკურატურის კადრებით დააკომპლექტა ომბუდსმენის ოფისის ძირითადი შემადგენლობა. როდესაც პროკურატურა მოსული კადრები სხედან ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისში, წარმოიდგინეთ, რამდენად ნორმალური მდგომარეობაა. აქედან გამომდინარე, შესაბამისად მუშაობს ომბუდსმენის ოფისიც.

— ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ხელისუფლებისთვის მისაღები კადრი დაინიშნა სახალხო დამცველად.

— ხელისუფლებისთვის მისაღები კადრი იყო სოზარ სუბარიც.

— სუბარიც გვიან ალაპარაკდა.

— მაგრამ რაღაც პერიოდში მერე ალაპარაკდა და ხმა ამოიღო, ამ შემთხვევაში ეს არ ჩანს. იმედს ვიტოვებთ, რომ ახალი ომბუდსმენიც, საიდანაც უნდა იყოს მოსული, იმდენად არაადამიანური სიტუაცია და იმდენად მძიმე მდგომარეობაში ჰყავთ პატიმრები, წარმოდგენილია, სახალხო დამცველმა გაუმართლოს ამას და არ აღიაროს, რომ დღეს ქვეყანაში არის წამება, ღირსების შემლახავი მოპყრობა.

ჩვენ გვაქვს სომხეთის, აზერბაიჯანის პენიტენციური სისტემების ანალიზები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა სფეროში საქართველო, ადამიანის უფლებების დარღვევის მიხედვით, პირველ ადგილზეა. უბრალოდ, აქ არსებობს ძალიან ცრუ პიარი, რომელსაც საქართველო აწარმოებს, ეს ჰგავს საბჭოთა პერიოდის აგიტაცია-პროპაგანდას.

ხელისუფლებამ აგვისტოს ნაგებული ომი მოგებულად გამოაცხადა და ხალხი აზიანდა. ეს არის მათი პოლიტიკა, ადამიანის უფლებების დარღვევას აცხადებენ დაცვად, ის, რაც თავისი სახელი და საზოგადოების ტყვილია, ხელისუფლება ზემოთა და გამარჯვების იერსახეს ამღვავს, ანუ ქმნის ფასადს, რომლის უკანაც დგას ეს საშინელი რეალობა.

გვერდები მოაშუადა სოფო გელაშვილმა

რა კავშირი აქვს «საქართველო და მსოფლიოს» პუბლიკაციასთან თავდასვის სამინისტროს დაქვემდებარებაში «თბილავიამშენის» გადასვლას

ამ დღეებში სახელმწიფომ საინტერესო სვლა განახორციელა, თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში ბიზნესმენ პანტიკო თორდიას სანარმო „თბილავიამშენი“. ეს საკითხი კერძო ბიზნესის ხელში ჩაგდებად შეფასდებოდა, ვინაიდან მომგებიანი სანარმოების მითვისება, ბიზნესის დარეკლება და ნიღბი ჩაჯდომა ამ ხელისუფლების ხელნერაა, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ცოტა ხნის წინათ საქართველოს ხელისუფლება სკანდალში გაეხვა. აქტიურად საუბრობენ მის მონაწილეობაზე იარაღით ვაჭრობასა და კონტრაბანდში. „საქართველო და მსოფლიომ“ გამოაქვეყნა „მაესტროს“ მიერ ამ თემასთან დაკავშირებული ჟურნალისტური გამოძიების საგაზეთო ვარიანტი, რომლის თანახმადაც, იარაღით ვაჭრობაში, გარდა ხელისუფლებისა, კერძო კომპანიების ხელმძღვანელებიც დასახელდნენ. მათ შორის იყო „თბილავიამშენის“ გენერალური დირექტორი პანტიკო თორდია.



პანტიკო თორდია

რაზე გაუჩივდა პანტიკო თორდია ხელისუფლებაში მოსულ «ნაციონალებს»

„მაესტროს“ ჟურნალისტური გამოძიების მთავარი მოქმედი გმირის, იარაღით მოვაჭრე იესო მთაბერაძის ცხადებით, მას არაერთხელ ჰქონდა საუბარი „თბილავიამშენის“ გენერალურ დირექტორთან — პანტიკო თორდიასთან კომერციულ თემაზე, რომელიც შეეხებოდა „თბილავიამშენის“ ნაწარმის, საბრძოლო თვითმფრინავებისა და მათი მარაგანაწილების რეალიზაციას აფრიკის განვითარებად ქვეყნებში. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ ის-მალალოვის გადაზიდვები შეფერხდა, რადგან, მისი განცხადებით, პანტიკო თორდიამ გარიგების ჩაშლა სამთავრობო დონეზე მოახერხა; მისი აზრით, თორდიას თავად სურდა ამ გზის გაჭრა. აღნიშნული გადაცემა და საგაზეთო პუბლიკაციები კი, ორი კვირაა, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა. ამ ფაქტების გამოქვეყნებას დროში საეჭვოდ დაემთხვა „თბილავიამშენის“ თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში გადაყვანა. ჯერ ეს ცვლილება არ განხორციელებულა, თუმცა მის ხელმძღვანელად თორდიას ნაცვლად თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნიკა ვაშაქიძე სახელდება. საფარულიად, ამ სარფიანი საქმიდან, რომელსაც თორდია გეგმავდა, ხელისუფლებამ თორდიას „მოტყევა“ გადაწყვიტა ან, უბრალოდ, მას ხელი შეუანძინა.

მენტო არჩევნებში „მოქალაქეთა კავშირის“ სიით ის 2003 წელს ის-ანში იყრიდა კენჭს და „ნაციონალ“ მიხეილ მაჭავარიანს საკმაოდ დაჯერებულად მოუგო, თუმცა, როგორც ამბობენ, თორდია უკვე ხელისუფლებაში მოსულ „ნაციონალებს“ გაურჩედა, მაჟორიტარის მანდატი დათმო და სანაცვლოდ „თბილავიამშენი“ მიიღო.

სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბებული „თბილავიამშენის“ საკონტროლო პაკეტს თორდია ფლობდა. ახლა კი, როგორც განცხადდა, სანარმო სააქციო საზოგადოებიდან საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაქმნა და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამრეწველო კომპლექსს დაექვემდებარება. ამის შესახებ უკვე განაცხადეს სპეციალურ პრესკონფერენციაზე თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსმა

და ნინამხდარმა პანტიკო თორდიამ: „თბილავიამშენი“ სამინისტროს შემადგენლობაში თავად სანარმოს ხელმძღვანელობის ინიციატივით გადავიდა. ჩვენ მათთან, დიდი ხანია, ვთანამშრომლობთ, რაც, ერთი და იგივე, ტექნიკის სარემონტო მომსახურების შესყიდვას გულისხმობს. „თბილავიამშენის“ თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში გადასვლა მთელ რიგ პროცედურებს გააპარტიკებს.“ — განაცხადა შესყიდვების დეპარტამენტის უფროსმა რევაზ ჭარბაძემ, თუმცა შეტად საეჭვოა, პანტიკო თორდიას ეთხოვა სამინისტროსთვის, მისი მომგებიანი სანარმო თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში შეყვანათ და მის ადგილას მინისტრის მოადგილე ნიკა ვაშაქიძე დაენიშნათ.



ნიკა ვაშაქიძე

წარმოსთან რაიმე სახის პრობლემა არსებობდა, პირიქით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თორდია ხელისუფლების მაღალჩინოსანებთან ერთად იარაღით ვაჭრობაშიც კი იქნა მხილებული. ამ საკითხს და ხელისუფლების გაძლიერებულ მადს ისევ თუ მივუბრუნდებით, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, რომ თავდაცვის სამინისტრომ სარფიან ბიზნესში მენილევი მოცილა.



გზურთ, გაგზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგზიარეთ: 38-41-97, ან მოგზიარეთ: info@geworld.net

საქართველო

აშშ სასაქონლო ვალი შეიძლება დაიკლებს

აშშ კონგრესის საბიუჯეტო ბიურომ განაცხადა, რომ ქვეყნის ვალი შეიძლება უმცირეს ტვირთად იქცეს, რომელსაც სახელმწიფო ვერ ზიდავს. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ამერიკელებს მოუწოდა, მაგრად მოიჭირონ ქამრები, — იტყობინება Ghfqv-NFCC8

მიმდინარე წლის ბოლოსთვის აშშ სახელმწიფო ვალი მთლიანი ეროვნული პროდუქტის 62 პროცენტს მიაღწევს, რითაც დაფიქსირდება რეკორდული დონე მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული დღევანდლამდე. მიზეზი ცნობილია — ხაზინის შემოსავლების შემცირება და გასაღვივების ზრდა არსებული კრიზისის ვითარებაში.

კონგრესის სპეციალისტები პერსპექტივის ორ სცენარს განიხილეს. პირველი არსებული საბიუჯეტო პოლიტიკის გაგრძელებას ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში, 2035 წლამდე სახელმწიფო ვალი მთლიანი ეროვნული

წევს, ანუ ფედერალური ხაზინის ყველა შემოსავლის ერთ მეექვსედს.

მეორე სცენარი არსებული კანონმდებლობის ერთგვარ ცვლილებას ითვალისწინებს. ამ ცვლილებების განხორციელების პირობებში, აშშ-ის სახელმწიფო ვალი უკვე 2020 წლისთვის მთლიანი ეროვნული პროდუქტის 87 პროცენტს იქნება, 2025 წლისთვის ისტორიულ მაქსიმუმს გადა-

აჭარბებს და 109 პროცენტამდე ავა, 2035 წლისთვის არნახულად გაიზრდება — 185 პროცენტით.

ფინანსისტები აღიარებენ, რომ პროცენტების ასეთი ტვირთი ამერიკისთვისაც კი ძნელად სატარებელი იქნება. დაუმატეთ ამას მოსახლეობის დანაზოგების შემცირება, საბანკო კრედიტების გაძვირება, საგარეო სესხების ზრდა და შიდა ინვესტიციების შემ-



ცირება, შესაბამისად, — შემოსავლების ზრდის დაბალი ტემპი, ყველაფერ ამასთან ერთად, საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისის წარმოქმნის გაზრდილი ალბათობა და დაინახება მძიმე სურათი ამერიკის ხვალისდელი დღისა.


საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ამ სურათს, თავის მხრივ შავი საღებავი დაუმატა და გააფრთხილა აშშ, რომ ამერიკა ზედმეტად ოპტიმისტურად უყურებს თავის მომავალს, რადგან მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა 2013 წლისთვის ამერიკელების გაანგარიშებაზე 2 პროცენტით ნაკლები იქნება.

ეს ყველაფერი, ასკვნის Financial Times, ამცირებს ვაშინგტონის უნარსა და შესაძლებლობას, სწრაფად დაძლიოს კრიზისის შედეგები.

„საქართველო და მსოფლი-

ოს“ დაკვირვებულ მკითხველს არ გაუჭირდება საჩვენო დასკვნის გამოტანა. საქართველოს „ეკონომიკური სასწაულის“ ლეგენდა, რომლითაც ხელისუფლება მოსახლეობას ტვირს ურევს და რომელიც თავისთავად ბლუფია, რადგან ვალეებით არის ნაგები და ნაშენები, პერსპექტივაში შობს სრულ კრაშსა და დაქცევას.

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ აშშ-სათვისაც მძიმეა მზარდი ვალის არსებული ტვირთი, დიდი ფინანსისტობა არ სჭირდება იმის განსაზღვრას, რომ ერთადერთი შედეგი, რაც საქართველოს უთავო მთავრობის მოღვაწეობას შეიძლება მოჰყვეს, ცარიელი სახელმწიფო საზინა და ქვეყნის გაკოტრება.



დიდი ბრიტანეთი — პატარა კუნძული

ესე, რომელიც ასეთი სათაურით გამოაქვეყნა რამდენიმე ინტერნეტ პორტალმა (Rusbeseda.ru-მ, Beta.news.rambler.ru-მ და სხვებმა) ანატომიურ ჭრილში განიხილავს ამ მასშტაბურად მცირე (ფართობით დედამიწის ხმელეთის ერთი პროცენტის რაღაც ნაწილია, მოსახლეობა — კაცობრიობის უმნიშვნელო შემადგენელი) როლს კაცობრიობის ისტორიაში და ადგილს თანამედროვე მსოფლიო პროცესებში.

პუბლიკაციის აქცენტები მკვეთრად ნეგატიურია. შეიძლება, შეედავო ავტორს მოვლენათა მისეულ შეფასებაში, მაგრამ არ ღირს, რადგან ასეთი რაკურსით დანახულ ინგლისს ძნელად თუ ნაანცხებთ სადმე და, უპრიანი იქნება, ჩვენმა მკითხველმა ასეთი განსხვავებული ხედვის შესახებაც მიიღოს გარკვეული ინფორმაცია.

ინგლისი, — ნათქვამია ესეში, — საუკუნეების მანძილზე განხორციელებდა სახელმწიფო ტერორიზმს, დაპყრობით პოლიტიკას. წარმატებით მეტოქეობდა საფრანგეთს, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსახლეობა საფრანგეთის მოქალაქეთა მხოლოდ ერთი მეათედ იყო; გერმანიას, რომელიც თავისი საომარი განწყობილებით იყო გამორჩეული. ამასთან... ინგლისი ვერ დაიკვებინს თავი-

სი დამსახურებით ევროპის წინაშე, მის შვილებს არ დაუცავთ კონტინენტი მონგოლთა თარეშისგან და თურქების შემოსევისგან. ერთი ციციკა პორტუგალიაც კი ებრძოდა მავრებს, პატარა უნგრეთიც კი უზღავებდა მახვილს იანიჩარებს!

მაქსიმალურ სარგებელს იღებდა ინგლისი თავისი გეოგრაფიული მდგომარეობიდან, შეხება არ ჰქონია მტრულად განწყობილ მომხდურთან; სამაგიეროდ, მუდმივად ხლართავდა ინტრიგებს, ურცხვად სარგებლობდა ქრისტიანობის მტრებთან ომებში და სუსტებული ევროპული ქვეყნების უილაჯობით. ამ ასპარეზზე ინგლისის დიპლომატიამ წარმატებას მიაღწია და შემდგომ ამერიკას გადასცა ეს ჩვევები აშშ-ს, რომლის სახლიც უსაფრთხოდ არის ცხრა ზღვას იქით და რომელიც ყოველთვის მარჯ-



ლონდონის ცენტრი

ვედ სარგებლობდა ევროპული არეულ-დარეულობით... რომლის ეკლესიისგან ჩამოცილების შემდეგ ინგლისელებს სხვებზე სწრაფად ჩამოუყალიბდა მსოფლადემა „აქ და ახლავე“, სულ უფრო ხშირად ჩაანაცვლებდნენ შეკითხვას „რატომ?“ შეკითხვით „როგორ?“, სიღრმისეულ მეტაფიზიკას — ზედაპირული ნატურფილოსოფიით. მათი აქტივობა გაუბრალოების მეორე მხარე იყო. მუსიკასთან ერთად, რომელიც ხელოვნებათა შორის უმგრძობიერესია, ანგლიკანურმა პროტესტანტიზმმა უარყო

სამყაროს ინტუციური აღქმა და ინტელექტის მშრალ სქემებს ანაცვალა იგი. ეს ჩაანაცვლება ტექნიკური სრულყოფით იყო განმტკიცებული — ინგლისური ქვემეხები უფრო შორს ისროდნენ.

უპირატესობის როგორი გრძობა უნდა გქონდეს და როგორ უნდა გქონდეს სხვათა კულტურა, მსოფლიო სამხეცედ რომ წარმოიადგინო, რომლის ცენტრში დგას ინგლისელი, კორპის ქუდი და გრძელი შოლტით. ფეხი ვერ ჩაუვით ჩინგის ყაენსა და სადამ პუსენს!

ანგლოსაქსები სიამოვნებით მიუთითებენ სხვათა დანაშაულზე და ივინყებენ, როგორ თელავდა მათი ჩექმა ინდიელ სიპებს, ბურებს, მარშირებდა ჩინეთში ოპიუმის ომების დროს. ჭადრაკს ამჯობინეს კრიგი, რაგბი და ფეხბურთი, ისინი მსოფლიოს უხეში ძალით უტყვენ და ინგლისელი ჯენტლმენების მითით ფარავდნენ მას. აზიელები კი არ შემოსულან ლამაზში სრუტეში, არამედ

გრძელი ინგლისური ცხვირი ჩაყვეს იანძისა და ინდის ნაპირებზე, ფუძიამას მთისწინეთში.

მაგრამ დასავლეთის უპირატესობა, რომელიც ოთხი საუკუნის განმავლობაში უცილობელი იყო და რამდენიმე ტექნიკურ გამოგონებაზე იყო დაფუძნებული, თანდათან მცირდება. მოსახლეობის ოთხი მეხუთედი თავდაპირველი ევრაზიაში, ცივილიზაციის აკვანში. ამერიკის ამჟამინდელი „გლობალური“ როლი დროებითია... გიგანტური აზია, რომელმაც განვითარების ახალ ხვეულზე გადახარა ევროპული გამოცდილება, უკვე წინ გაიჭრა.

ეტყობა, პირფერობა და პირმოთნობა, რითაც აგრესიას ამართლებდნენ, ინგლისელების ეროვნულ თვისებად იქცა, ვიქტორიანული ეპოქის ფარისევლობა სისხლსა და ხორცში გაუფრთხილდა, რახან გულწრფელად მიიჩნევდნენ, რომ თესენ სიკეთეს, როცა ბომბავენ ავღანეთს, ანაწევრებენ იუგოსლავიას და თავიანთ წესრიგს ნერგავენ

ერაყში. მათი ყოველი ნაბიჯი ორმაგი სტანდარტების დემონსტრაციაა. როგორი სნობიზმით უნდა იყო შეპყრობილი ეს ყველაფერი, რომ ვერ დაინახო...

ინგლისელებმა მსოფლიოს წინაშე გამოავლინეს თავიანთი ქედმაღლობა და პრაგმატიზმი, მათ შეუძლიათ შექმნან პერსპექტიული გაანგარიშება, მაგრამ რეფლექსია სულაც არ არის მათი ძლიერი მხარე, არ აქვთ უნარი, ჩაუღრმავდნენ თავიანთ თავს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სარკეს მხოლოდ ფუნქციური დანიშნულებით ხმარობენ — გაპარსვის ან ახალი კაბის მორგების დროს.

უეჭველია, რომ მსოფლიო სასაკლაოებზე ყოველი ხალხი, ისევე, როგორც ყველა ადამიანი, საკუთარ ცოდვთა შლეფს ტოვებს, მაგრამ, ეტყობა, ინგლისელებმა ამაში სხვებს აჯობეს. ასე რომ, ჯოჯოხეთი, როგორც თანამედროვე მსოფლიო, ინგლისურენოვანი უნდა იყოს.



ისტორიის დანატოვარი — სტონჰენჯი

ევროპული ნაწიონალიზმი და უკრაინა ანგლოსაქსების სტრატეგიაში

საინფორმაციო პორტალ **Fondsk.ru**-ს მიერ ასეთი სათაურით გამოქვეყნებულ მიმოხილვაში მითითებულია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და საბჭოეთის გაუფრთხილებელი ევროპის ქვეყნებში ნაციონალისტურ განწყობილებათა ზრდის ფესვები ლონდონისა და ოტავას (კანადა) სამთავრობო კაბინეტებში უნდა ვეძებოთ.

მიმოხილველთა დაკვირვებით, კანადა მიიჩნევა, რომ აუცილებელია, ნატომ ყურადღება გაამახვილოს არასამთავრობო ორგანიზაციებზე არა მარტო აზიასა და აფრიკაში, არამედ ევროპაშიც; უახლოეს სამეზობლოში რუსეთთან, რომელიც ძველი სტრატეგიით კვლავ დათვალა შიშის წარმადეგენი, ვისთანაც უნდა ითანამშრომლოს კიდევ და მეტოქეობაც გაუწიოს; და, რაც ნიშანდობლივია, თანდათან გათავისუფლდეს ამერიკელების მეურვეობისგან.

მანიპულირების მექანიზმის ყველა ძაფი ხელთ უპყრიათ. ქართველი მკითხველი იმდენად კონცენტრირებულია ჩვენს შიდა კონფლიქტებზე, რომ შეიძლება არც იცოდეს, ბებერ ევროპის მასაფრთხილებულ-დაძველებული ნაციონალისტური ხასიათის წყლები რომ აწუხებს: ბასკების პრობლემა ესპანეთში, უნგრელების, სლოვაკებისა და სერბების ტერიტორიული პრეტენზიები ერთმანეთის მიმართ; რუმინელების პოლიტიკური პრეტენზიები მოლდოვასა და უკრაინასთან.

ბრიტანელი ლიბერალი და ევროპარლამენტის წევრი **გრეგორ ვოტსონი** დღეს ითვლება ევროპაში ნაციონალისტური მოზაიკის შექმნის მთავარ ფიგურად, რომელიც დიდი ბრიტანეთის ახალი



ფაშიზმისკენ გადასრული ულტრანაციონალიზმი

პრემიერ-მინისტრის — დევიდ კამერონის მთავრობასთან შეთანხმებულად ლონდონის ინტერესებისათვის აქტიურად იღვწის. იგი მონა-

წილობდა რუმინელი ნაციონალისტების — სოციალ-დემოკრატების პარტიის შექმნაში, რომელიც ევროპარლამენტის 33 რუმინელი

დეპუტატიდან 11 ადგილის მფლობელია და თავგამოდებით იბრძვის „დიდი რუმინეთის“ აღორძინებისათვის ბუკოვინისა და ოდესის ოლქის ხარჯზე. ვოტსონს შესანიშნავი ურთიერთობა აქვს უნგრეთის ულტრანაციონალისტურ პარტიებთან სახელწოდებით „იობიკი“ და „ფიდესი“.

ამ უკანასკნელის ხელმძღვანელებთან, კერძოდ, მათ ლიდერთან **ვიქტორ ორბანთან** უმჭიდროესი თანამშრომლობით გამოირჩევა სრულიად უკრაინის გაერთიანება „სეკოდას“ ბელადი **ოლეგ ტიანგინოკი**. ორივენი — უკრაინელი ნაციონალისტებიც და უნგრელი ულტრებიც — ანგლოსაქსების დაკრულულ ცეკვავენ.

მკვლევარები ამ და მრავალი სხვა ფაქტისა და მოვლენის ანალიზის შემდეგობით მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ყველაზე უფრო რადიკალური ნაციონალისტები პრიმიტიული ფაშიზმის დონეზე დაუმდგენ.

საქართველოს ამის გამოცდილება აქვს. განსაკუთრებით თავი იჩინა ამ ტენდენცი-

ამ დსთ სივრცეში. უკრაინაში კი ნაციონალისტურ მოძრაობაში აშკარად იმძლავრა და უფარავმა ფაშისტურმა გადახარა.

მაგალითად, **ზაპოროჟიეში ეკოლოგიური ორგანიზაცია „ენოტმა“** ადოლფ ჰიტლერის ძეგლის დადგმის კამპანია წამოიწყო. არგუმენტი: ფიურერი „თანამედროვეობის გამოჩენილი ეკოლოგი“ იყო, რადგან არ სვამდა, არ ეწეოდა და „გამოირჩევა ეკოლოგიური თვალსაზრისით, სანიმუშო სახელმწიფოდ აქცია“. ფიურერისადმი მათ ერთფეროვნებაში ვინმე რომ არ დაეჭვებულებოდა, „ენოტელებმა“ კვირეცები დაუშინეს სტალინის ძეგლს, რომელიც **ზაპოროჟიეში დიდი სამამულო ომის ვეტერანების თხოვნით იყო აღმართული**.

ქართველი ძეგლთმებრძოლების სულიერი ძმები, ქართველი ტურების მონათესავე ენოტისტურთა ოჯახიდან, რომლებიც მახინჯი მტაცებელი ცხოველები არიან, სიბილწეში ერთმანეთს ადგამდებიან.

რუსეთის მთავარი გამარჯვება, «სისხლიანი მილიარდი» და დასავლეთის უკანასკნელი დიდი ომი

ესაა სამი სათაური პუბლიკაციებისა, რომლებიც ომის თემაზე smi2.ru-მ გამოაქვეყნა. რუსეთი იმპერიების სასაფლაოა, ნათქვამია პირველ მასალაში, რაც დადასტურებულია ისტორიული ფაქტებით: კარლოს XII-ს, ნაპოლეონისა და ჰიტლერულ დამპყრობთა არმიები რუსეთის თოვლში ჩაიძარხა. მრავალსაუკუნოვან დაპირისპირებაში რუსეთმა დასავლეთს სამხედრო იმპერიების კვლავნარმოების საფუძველი მოუსპო.

ასიოდ წლის წინათ დასავლეთი დანარჩენ მსოფლიოს ფლობდა. დღეს კოლონიური სისტემა საბოლოოდ არის დანგრეული. ოთხი ქვეყანა — ინდოეთი, ჩინეთი, პაკისტანი და რუსეთი, რომელთა მოსახლეობა ერთობლივად დედამიწის მოსახლეობის ნახევარია, ფლობს ბირთვულ იარაღს. ეს კი ნიშნავს, რომ მათ წინააღმდეგ ომი შეუძლებელია და თვითმკვლელობას ნიშნავს.

დასავლეთის ცივილიზაცია სამხედრო დომინირების საფუძველზე აიგო, ასობით მილიონი მსხვერპლადმენიურული ადამიანის სისხლითაა გაჯერებული.

გავისხევთ: **ორი მსოფლიო ომი, რომლებშიც 100 მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა (პირველ ომში 30 მილიონზე მეტი, მეორეში — 70 მილიონზე მეტი), დაღუპულთა ორი მესამედი მშვიდობიანი მოსახლეობაა. სხვა ცივილიზაციებისა და მთელი კონტინენტების მოსახლეობის ამოძირკვა და გაჟლეტა, ევროპელების მიერ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ათვისება ძირძველი მოსახლეობის დაუნდობელი მოსპობის გზით. მაგალითი: XIX საუკუნის ბოლოსთვის ინდიელების მრავალმილიონიანი მოსახლეობა 200 ათასამდე შემცირდა.**



ასეთია შანხაი დღეს

ექსპერტების აზრით, დასავლეთმა ყველაზე დიდი შეცდომა დაუშვა მაშინ, როცა კომუნისტურ ჩინეთს ტექნოლოგიები და სანარმოო კაპიტალები გადასცა. ამ სტრატეგიული მარცხის ავტორი ამერიკელი „ქორების“ გუნდი იყო, რომელსაც **ბუიგნე ბუე-ზინსკი** მეთაურობდა. ოცდაათი წლის შემდეგ ჩინეთი რეალური ეკონომიკის ლიდერი გახდა, იგი პირველობს ტექნოლოგიური ნოვაციებისა და სამრეწველო წარმოების სფეროშიც. ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არ-

მა რაოდენობრივად მსოფლიოში პირველი და სიდიდით მეორე არმიაა.

მართალია, საბჭოთა კავშირი დაიშალა, მაგრამ ამ მოვლენამ დასავლეთის მსოფლიო გავლენა არ გაზარდა. დასავლეთმა ვერ მოახერხა, სრული პოლიტიკური კონტროლი დამყარებინა ქვეყნებზე, რომლებიც უნინ საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში იყო მოქცეული. ამ ქვეყნებს შორის ზოგან სოციალიზმის შენებას განაგრძობენ, როგორც კუბასა და ჩრდილოეთ კორეაში, ზოგან ცდილობენ დამო-

უკიდებელი პოლიტიკის განხორციელებას, როგორც ბელორუსში და ზოგჯერ რუსეთში, ზოგან ისლამისტმარადიკალებმა იმარჯვეს, როგორც სუდანში ან ავღანეთში.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ დასავლეთს სერიოზული დივიდენდები მისცა: ენერგოშემცველები და ნედლეული დემინდური ფასებით გაქონდათ დასავლეთში, რუსეთში გამოშუშებული ფული ასევე დასავლეთში გაედინებოდა იმ

მასშტაბით, როგორც „ტვიწინების გადინება“ იყო.

მაგრამ ეს დივიდენდები XXI საუკუნის დასაწყისისთვის ამოიწურა. სამაგიეროდ, გამწვავდა პრობლემები, რომლებიც დასავლეთის საზოგადოების შიდა მოწყობასთან იყო დაკავშირებული. დასავლეთის ქვეყნების ავტოქტონური მოსახლეობის დეპოპულაცია, ლატაკი და ძნელად ადაპტირებადი მიგრანტების მასები, ტერორიზმი, მსოფლიო ბაზარზე არაკონკურენტუნარიანი სანარმოების დახურვა და მთელი დარგების გაქრობა, გალატაკება იმათი, ვინაც აქ მუშაობდა, მთელი ქალაქებისა და ტერიტორიების „უპერსპექტივობა“, ზეიფი, მაგრამ მავნე საკვები პროდუქტების წარმოება — ასეთია მხოლოდ ზოგიერთი ეფექტი, რომელიც დასავლური განვითარების გზის იდეოლოგიურ ცალმხრივობას თან ახლავს.

ღრმადება სოციალური უთანაბრობა, იხურება სოციალური პროგრამები, კლებულობს შემოსავალი, იზრდება მომუშავეების დატვირთვა. ჩვენთვის, მაგალითად, მამაკაცების 90 პროცენტი და ქალების 80 პროცენტი იძულებულია, ყოველდღიური 8 საათის ნაცვლად, სტანდარტულზე მეტი დრო დაჰყოს სამუშაოზე.

„ოქროსი მილიარდზე“ სულ უფრო ნაკლებად ლაპარაკობენ, რადგან გაცვეთამდე მომუშავე დასავლეთელები სულ უფრო სცილდებიან ამ განსაზღვრებას.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ სიტუაცია, რომელიც აფეთქებად შექმნილია და რომელსაც „სისხლმურ კრიზისს“ უწოდებენ, რამდენიმე წელიწადში „კატასტროფით“ შეიცვლება.

სომხეთ-აზერბაიჯანის მტრობამ საქართველო გადაარჩინა, პუტინმა კი სააკაშვილი დაინდო

2008 წლის აგვისტოს მოვლენების მიუხედავად, საქართველო რუსეთის მეზობლად და დიდი კავკასიის თვალსაჩინო მოთამაშედ რჩება. საინფორმაციო სააგენტო REGNUM-ს საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკურ ვითარებაზე ესაუბრა პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ევრაზიის თბილისის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გულბატი რცხილაძე.

— საქართველოში მაისის მუნიციპალურმა არჩევნებმა აჩვენა, რომ მმართველი პარტიის პოზიციები უნდა დაეფუძნებინა მხოლოდ ქვეყნის ამის მიზეზზე? ნუთუ ქართველები ყველაფრით კმაყოფილი არიან?

— არა, ჩვენთან არსებული სიტუაცია არ შეიძლება ხალხის ძირითად მასას მოსწონდეს. რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, რომლებმაც ხელისუფლებისგან რაღაც მოწყობა მიიღეს და ამით კმაყოფილი არიან; მაგალითად, ე.წ. ძალოვანები. საქართველოს რეპრესიულ აპარატში ხელფასი ადგილობრივი საზოგადოების საკმაოდ მაღალია. ეს ხალხი არსებულ ხელიშეწყობას აძლევს ხმას. ამჟამად ხელისუფლებას ხმას აძლევს საზოგადოების ყველაზე ღარიბი და დაჩაგრული ფენა — პენსიონერები, რომლებსაც დაბალი, მაგრამ სტაბილური, პენსია აქვთ, დროულადაც იღებენ და, ნუ ვაგვიკვირდებათ, მაგრამ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილებიც. ამ ხალხს (განსაკუთრებით, სამხრეთ ოსეთიდან დევნილებს) ამჟამინდელმა ხელისუფლებამ ყველაფერი წაართვა — სახლები, მშობლიურ მხარეში ცხოვრების უფლება და სხვ. მაგრამ, იტყვობ, ბევრმა მათგანს ხელისუფლებამ, გონებასთან ერთად, ღირსებაც წაართვა, როცა ტელევიზიის მეშვეობით მათი ზომიერება მოახდინა. პოდა, ისინი მარშს აწყობენ და ხმას აძლევენ ხელისუფლებას, რომელმაც მათ ამწყვდევ წაართვა და მომავალიც.

ამ კატეგორიას დაუმატეთ მთელი სახელმწიფო აპარატი, ინტელიგენციის, შოუ-ბიზნესისა და ბიზნესმენების პრივილეგიებული ნაწილი, ასევე, ეროვნულად მოაზროვნე ქართული დიასპორები უცხოეთში — მივიღებთ ქართველ ამომრჩეველთა მეოთხედს, თუ მეტს არა. ამას დაეფუძნა „ადმინისტრაციული რესურსის“ გამოყენება (რომელიც ცალკეულ მოქალაქეთა „ტაქტიკურ“ მოსყიდვასა და გაბითურებაში მდგომარეობდა), ტრადიციულად, პროსამთავრობო განწყობა ქვემო ქართლისა და ჯავახეთის დიდ ნაციონალურ უმცირესობაში (ძირითადი პოლიტიკური ელექტორატის პასიურობის ფონზე), რომელიც სახლში დარჩა, ბოლო არჩევნებში ვიღებთ ნაცნობ სურათს: ხელისუფლებამ ოპოზიციის-

ვის გამანადგურებელი ანგარიშით გაიმარჯვა.

ოპოზიციამ ეს საკუთარ თავს დააბრალოს, რადგან სწორედ მან დათესა აპათია და ნიპილიზმი მოსახლეობაში, რომელიც ამ ოპოზიციის დამახილველი ნიშნებიდან ერთ-ერთად გამოდიოდა. წარმოდგენილია, ბოლო ორი წლის განმავლობაში მიმდინარე ხელისუფლების მიმართ ხუთჯერ მაინც, ასი თუ არა, ათი ათასობით ადამიანი ერთდროულად გამოდიოდა ქუჩაში და ოპოზიციისგან დადმწყვეტ მოქმედებებს ელოდა მთავარი ბოროტების — სააკაშვილის წინააღმდეგ (10-20-ათასიან პერმანენტულ დემონსტრაციებზე რომ არაფერი ვთქვათ). მაგრამ უფუნქციო, გარკვეულწილად, მოლატე ოპოზიციამ ჩათვალა, რომ 100-ათასიანი მიტინგები თბილისში და საქართველოს სხვა დიდ ქალაქებში ჩვეულებრივი ამბავია, ამიტომ უსრიცხვილად დაიწყო ვაჭრობა ხელისუფლებასთან და ამით გაანაწყენა ხალხი, რომელმაც, ბოლოსდაბოლოს, ხელი ჩაიქნია პოლიტიკაზე.

— ბოლო ორი წლის განმავლობაში ყველა მიმართულების ქართულმა ოპოზიციამ თავისი სრული ქმედუნარიობა დაამტკიცა. ზურაბ ნოღაიდელისა და კომპანიის მრავალჯერადმა ვიზიტმა მოსკოვში სანატრელი შედეგი — სააკაშვილის გადაყენება ვერ მოიტანა. რომელ ოპოზიციას დაუჭერს მხარს ქართველი ხალხი? შესაძლებელია თუ არა ამის გაკეთება მშვიდობიანი, ცივილიზებული გზით თუ საქართველოს, როგორც ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, მორიგი რევოლუცია ელოდება?

— არ მგონია, რომ ოპოზიციონერებს, რომლებიც უახლოეს წარსულში სააკაშვილის თანამოაზრენი იყვნენ, ახლა კი ბატონ პუტინს ხვდებიან, დაეჯერებინათ, რომ რუსეთის პრემიერ-მინისტრთან მხოლოდ დემონსტრაციული შეხვედრები თბილისში ხელისუფლების ცვლას გამოიწვევდა.

2007-2009 წლებში ხალხის სამიტინგო ენერჯია გამოიფიტა. არც ნოღაიდელსა და არც ბურჯანაძეს, პუტინის ფონზე მოკეკლულ ციტატაში, საკუთარი პოლიტიკური ფიგურის მნიშვნელოვნებას ამით რომ უსვამენ ხაზს, უნარი არ შესწევთ, ახალ დემონსტრაციებსა თუ არჩევნებში აქტიურ მონაწილეობაზე დაიყოლიონ ხალხი. ამ ხელისუფლების შეცვლის სხვა მექანიზმი კი არ არსებობს. მისი შეცვლა რუსეთის შეეძლო 2008 წლის აგვისტოში, მაგრამ პუტინმა, დანაპირების მიუხედავად, შეიბრალა შიშით დაზარალებული სააკაშვილი და, ქართველების გასახარად, კვერცხები არ დაუზიანა; ამასთან, დამატებით „ანაპნა“ ტერიტორიები სამხრეთ ოსეთში ქართული ანკლავების სახით, ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობა. რუსეთმა სეპარატისტული რესპუბლიკები „დამოუკიდებლად“ აღიარა და ამით დაასრულა ისტორია, რომელსაც, შესაძლოა, „ქართველი ხალხის დასჯა“ ეწოდოს. საქართველოს მტრები ზეიმობენ. თუმცა რუსეთიც არაფერს გამოიჩინა, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

— რა პოტენციალს ფლობს მალხაზ გულაშვილის „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობა“, გულბატი სანიკიძისა და კახა შარტავას „ეროვნული ფორუმი“ და სხვა ძალები, რომლებიც ტრადიციული ქართული ფაქტობრივად აპელირებენ? — რაც შეეხება მალხაზ

გულაშვილის მოძრაობას, ის, ფაქტობრივად, განადგურებული სახელმწიფოს უხეში, რეპრესიული ძალი. სანიკიძე შარტავასთან ერთად, რომლებმაც პოლიტიკური მოღვაწეობა 2005-2006 წლებში დაიწყეს საქართველოს ნეიტრალიტეტისა და რუსეთთან კეთილმეზობლობის იდეით, სულ უფრო მეტად შორდება ამ პოზიციებს. ისინი უკვე პარტიის ბანალურ მდგომარეობამდე მივიდნენ, რომელიც საქართველოს დასავლელი პარტნიორების გონიერებაზე აპელირებს, ვინც თურმე ლაგამი უნდა ამოსდოს ცოფიან მიშას. ამასთან, თავად პარტია ამერიკული ორგანიზაციებისგან ფინანსდება. სანიკიძე-შარტავას მხრიდან ასეთ სიტუაციაში ქართულ სულიერ ღირებულებებზე ლაპარაკი, უბრალოდ, ლამაზი ლირიკაა.

— როგორია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები უახლოესი პერსპექტივაში?

— უახლოეს ხანში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების არავითარი პერსპექტივა არ არსებობს. სანამ სააკაშვილი პრეზიდენტი, სიტუაციის გაუმჯობესებაზე ლაპარაკი ზედმეტია. კონფორტული სააკაშვილია დაინტერესებული, რაც პოლიტიკური ენერჯით რადიკალური ანტირუსული რიტორიკის ნიშნად იკვებება. მისი რეპრეზენტაცია არ დაელოდა არაფერს, რომ ამ სახმედრო დამნაშავეს არ დაელოდა არაფერი, რომ ალლოფი არ შედეგება.

— შესაძლებელია თუ არა იმაზე ლაპარაკი, რომ ანტირუსული განწყობა დაიხასიათებელი არ არის რიგითი ქართველისათვის თუ რუსეთისათვის უარყოფითმა დამოკიდებულებამ უკვე მოსახლეობის ფართო ფენებში მოიცვა?

— მტერი — რუსეთის ხატება სატელევიზიო პროპაგანდით საქართველოში ინერგება, მაგრამ რუსებს, როგორც ხალხს, ჩვენთან უნინ-

დებურად ნორმალურად ეპყრობიან.

უბრალო ხალხს ალერგია არ აქვს რუსულ ენაზე. ჩვენთან საიმოცნებო უყურებენ რუსულ ფილმებს, უსმენენ რუსულ მუსიკას, იძენენ რუსულ საქონელს. გაიხსენეთ, რა ხდებოდა აგვისტოს ომის დროს: საქართველოს მოსახლეობას არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია რუსული ჯარებისათვის; იყო შემთხვევები, როცა ადგილობრივი მოსახლეობა რუს ჯარისკაცებს სახლებში ეპატივებოდა და უმასპინძლებოდა. ამას შიშით კი არა, გულით, სავსებით ბუნებრივად აკეთებდა, როგორც კარგ მასპინძელს შეეფერება.

რუს მშვიდობისმყოფელებს (ისევე, როგორც ცხინვალის კვარტლებს) 2008 წლის 7 აგვისტოს ღამეს ერთი მუჟა შეიარაღებული ქართველები ესროდნენ, რომლებსაც ქართველებსაც ვერ უნოდებ — ამ საბრალო ბიჭებს ამერიკელმა სამხედრო ინსტრუქტორებმა ამერიკული მეთოდებით ტვინი მოლინა და გამოურცხეს. მთლიანობაში კი რუსეთისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია არც ქართულ არმიას და, მით უფრო, არც მოსახლეობას. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, საქართველოში სხვა რომელიმე მეზობელი ქვეყნის ჯარები რომ შემოსულიყვნენ... ცოდნა და პოლიტიკური ინტელუცია მკარანაობს, რომ ამ სახელმწიფოს ჯარებისადმი დამოკიდებულება სრულყოფილად იქნებოდა — როგორც მინიმუმ, ჯარისკაცებს ნამდვილად არ გაუმასპინძლდებოდნენ. სავარაუდოდ, პარტიზანული ბრძოლაც გაიმართებოდა.

მაგრამ რუსეთსა და რუსებს ჩვენში მტრებად არ აღიქვამენ — ეს ჩვენი ხალხის გენეტიკური მემკვიდრეობაა. რუსი მაინც „ჩვენიანია“, ერთმორწმუნე, მეორე მხრივ, ვალიანობა, რომ ხალხში რუსეთის მიმართ გარკვეული ვერსიაც, რომ სააკაშვილი რუსეთთან გარიგებულია და ან „ყიდის“, ან „ჩუქნის“ რუსებს უძველეს ქართულ მინებს. თუმცა, როგორც ნებისმიერ მთლიან სააკაშვილისა და არა რუსეთისადმი, რომელიც თავის ინტერესებს ატარებს.

მიუხედავად ამისა, რუსეთმა, არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, საქართველოში მაქსიმალურად აქტიურად უნდა იმუშაოს ამერიკელების მიერ აპრობირებული მეთოდების გამოყენებით, ხელი შეუწყოს საკუთარი პოზიტიური იმიჯის შექმნას. არ უნდა უგულვებელყოფილიყვნენ პატარა და სუსტი

საქართველოს საზოგადოებრივი აზრი. ამას ძლიერი შეერთებული შტატებიც კი არ აკეთებს — დაე, ამ ფაქტზე რუსეთშიც დაფიქრდნენ.

— მოდი, რეგიონში არსებულ სიტუაციაზე ვილაპარაკოთ. რამდენად მოსალოდნელია ყარაბაღის კონფლიქტის სამხედრო სტადიაზე გადასვლა, რაზეც ბოლო ხანს შეშფოთებით ლაპარაკობენ არა მარტო კავკასიაში, არამედ მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოთა დედაქალაქებშიც?

— ძირითადი სამუშაოთი დატვირთვის გამო, ყარაბაღში სიტუაციის განვითარებას მხოლოდ ზედპირულად ვადავებებ თვალს. თუმცა, არა მგონია, რომ აზერბაიჯანმა ტოტალური სამხედრო მოქმედებები წამოიწყოს. ამისათვის სომხეთის წინაშე თანის სამხედრო უპირატესობის კრიტიკულ ზღვარს უნდა მიაღწიოს, ხოლო აზერბაიჯანში ვეთქვამისაში სოციალ-პოლიტიკური სიტუაცია უნდა შეიქმნას, რომელიც აზერბაიჯანის ხელისუფლებას აიძულებს, ჯარები ყარაბაღისკენ მიმართოს, რათა ხალხის ყურადღება შიდა პრობლემებიდან გადაიტანოს და საერთო მტრის წინააღმდეგ დარაზმოს.

საეჭვოა, რომ აზერბაიჯანში უახლოეს 5-6 წელში ნარმოქმნას პირველ პირობასთან მიახლოებული სიტუაცია, აღარაფერი რომ არ ვთქვათ მეორეზე. ნებისმიერ შემთხვევაში, ყარაბაღის მხარე სამხედრო-სტრატეგიულ უპირატესობას ფლობს — სამხედრო მოქმედების საწარმოებლად და მით უფრო თავდაცვისათვის გაცილებით მოსახერხებელი პოზიციები აქვს. აზერბაიჯანმა ჯარები დაბლოძინა მთისკენ უნდა მიმართოს, მას უდიდესი მსხვერპლის გაღება მოუწევს სომხების მიერ დაკავებული ტერიტორიებიდან მათ გასაძევებლად. ჯერჯერობით აზერბაიჯანი ასეთი მსხვერპლისთვის მზად არ არის. ვფიქრობ, ბაქო არ დაინწყებს ომს, თუკი არ შეიქმნება აზერბაიჯანულ-თურქული სამხედრო კავშირი და სომხეთს აღმოსავლეთიდან — აზერბაიჯანი, ხოლო დასავლეთიდან თურქეთი ერთდროულად არ შეუტევენ. ამ სცენარის განხორცილება უახლოეს მომავალში ძალზე საეჭვოა.

— რა წარმოადგენს ქართულ-სომხური და ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების ძირითად პრობლემას? რა გავლენას ახდენს მათ განვითარებაზე ჯავახეთის სომხებისა და ბორჩლო-ელ აზერბაიჯანელებში არსებული სეპარატისტული ტენდენციები, რამდენად ძლიერია ისინი?

— არ მინდა, ცინიზმით ანიშნის მოგებით ვილაპარაკო, მაგრამ, როგორც



2008 წლის აგვისტო. ცხინვალის ქუჩაში

ანალიტიკოსმა, სიმართლე უნდა ვთქვათ: საგარეუდოდ, სომხეთ-აზერბაიჯანის მტრობამ იხსნა საქართველო — ქვემო ქართლის (აზერბაიჯანელებისთვის — „ბორჩალო“) და ჯავახეთის (სომხებისთვის — ჯავაქი) დაკარგვისგან. არც აზერბაიჯანსა და არც სომხეთს ამ ტერიტორიების გამო ხელს არ აძლევთ კონფლიქტი საქართველოსთან. საქართველოს ნეიტრალიტეტი სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში ერთობ მნიშვნელოვანია ორივე მხარისთვის. ამ უპირატესობის წყალობით, საქართველომ, მიუხედავად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში კატასტროფული პროცესებისა, შედარებით უმტკივნეულოდ შეინარჩუნა ჯავახეთი და ქვემო ქართლის შემადგენლობაში. თუმცა ფაქტია ისიც, რომ ჯავახეთის სომხებისა და ქვემო ქართლის აზერბაიჯანელების მასებში სეპარატისტული განწყობა არც არსებობს. ცენტრალურმა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს მოახერხა ძირითადი პოლიტიკური პროცესებიდან იმ ერთი მუჭა ადგილობრივი პოლიტიკოსების მარგინალიზება და იზოლირება, რომლებიც პოლიტიკურ ავტონომიას ან ამ რეგიონების საქართველოსგან გამოყოფას მოითხოვდნენ. სომხები და აზერბაიჯანელები ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ არჩევნებში. ეს ნამდვილად არაა სეპარატისტიზმი.



რუსთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი კავკასიურ პოლიტიკას განსაზღვრავენ, რეგიონში საქართველოს ადგილი კი კვლავს გაუკვავდება...



შეგვიძლია ვილაპარაკოთ მეგრულ სეპარატულზე, როგორც საქართველოს ერთიანობის პოტენციურ საფრთხეზე?

— საესებო უადგილოა. მეგრელები ყველაზე მრავალრიცხოვანი, თავისებური და პოლიტიკურად მტკნარად დაჯერებული ქართული სუბეტიონია, რომელიც შიდაქართულ პოლიტიკურ მიზნებს დომინირებას ცდილობს. პოლიტიკური აქტივობის ასეთი მიმართულება სეპარატისტიზმის სანინაღმდეგო მოვლენაა. ისტორიულად იყვნენ მეგრული სეპარატისტებიც, დანარჩენი საქართველოსგან სამეგრელოს გამოყოფას რომ მოითხოვდნენ, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ლაგრეტი ბერიამ გაანადგურა, რომელსაც ყველა საკუთარი თავის პატივსმცემელი მეგრული პატივსცემს. სეპარატისტული ტენდენციების რეანიმაცია სამეგრელოში დღეს ძალზე საეჭვოა.

თქვენ გიცნობენ, როგორც საქართველო-ირანის კავშირების განვითარებისა და გამტკიცების მომხრეს. რითაა მოტივირებული თქვენი ინტერესი არც თუ უპრობლემო (მხედველობაში მაქვს აშშ-თან საგარეუდო ომის დაწყება) მეზობლისადმი, რომელიც ამავდროს ისლამური სახელმწიფოა?

— ირანთან ბევრი რამ გვაკავშირებს. სპარსელებმა დიდი გავლენა მოახდინეს ქართულ ენასა და კულტურაზე. ჩემი სახელი — გულბათი სპარსული წარმოშობისაა, თუმცა, ცხადია, ირანთან ურთიერთობით ამის გამო არ დავინტერესებულვარ (იყინის). საქართველოს მჭიდრო კავშირები უნდა ჰქონდეს მდიდარი ენერგორესურსების მქონე, დინამიურად განვითარებად მეზობლებთან, სხვადასხვა სანქციისა და ემბარგოს მიუხედავად. ამასთან, რაკი თავს ევრაზიულ ვთვლი, ირანს, სადაც მოუს-

ყიდავი და დასავლეთისთვის უკონტროლო სულიერი რეჟიმი სუფევს, დიდი და შესაძლო ევრაზიული კავშირის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლად მივიჩნევ.

მოსკოვი-თერანის ღერძი იმ საფუძვლად უნდა იქცეს, რომელსაც დაყრდნობა მართლმადიდებლური ცივილიზაციის საყრდენს, მუსლიმანებთან მეგობრულ კავშირებს აგრერიგად რომ საჭიროებს. თანაც აშშ-თან საგარეუდო ომის დაწყება) მეზობლისადმი, რომელიც ამავდროს ისლამური სახელმწიფოა?

— ირანს მიმზიდველად მივიჩნევ სწორედ იმის გამო, რომ ის ისლამური სახელმწიფოა. ნამდვილი მუსლიმანები

ქრისტიანობას პატივს სცემენ, როგორც მონოთეისტურ მრწამსს. ირანის პრეზიდენტს ამჟამინდელს თავის გამოსვლებში არაერთხელ უხსენებია სიტყვათშეთანხმება „მონოთეისტური რელიგიები“. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ქრისტიანებს, მუსლიმანებსა და იუდეველებს შორის არსებითი დოგმატური წინააღმდეგობები და განსხვავებულობა, საესებო განსხვავებული მრწამსია, თუმცა საძირკველი ერთი აქვთ — ყველა მონოთეისტურია და ერთი ფესვიდან ამოზრდილი. ამ სამ მსოფლიო რელიგიას „აბრამისას“ უწოდებენ, ანუ ისინი ბიბლიური აბრამიდან და მისი მემკვიდრეებიდან მოდიან. ჩვენი ქრისტიანული ეთიკა მუსლიმანურთან უფრო ახლოა, ვიდრე თანამედროვე დასავლურ-კერძოყვანისმცემლურთან. რელიგიური საკითხებიც რომ იქით იყოს, ირანთან მჭიდრო კავშირების დამყარების წმინდა გეოსტრატეგიული ინტერესიც არსებობს.

როგორ შეაფასებდით მშვიდობისა და სტაბილურობის კავკასიურ პლატფორმას, რომელიც ანკარამ მოსკოვის მიერ მხარდაჭერილი „ხუთდღიანი ომის“ დასრუ-

ლებისთანავე წამოაყენა, მაგრამ შემდგომ არც კი განვითარებულა. შესაძლებელია თუ არა მისი რეალური შინაარსით დატვირთვა?

— ჯერჯერობით ასეთი პროექტის განხორციელება შეუძლებელია, რადგან ერთობ დიდ რეგიონში მხარეთა დაპირისპირებაა. საეჭვოა, თურქებს მათ მიერ წამოყენებული იდეის რეალიზაციის მოლოდინი ჰქონოდათ. უბრალოდ, „კავკასიური პლატფორმის“ იდეას ბერკეტის როლი უნდა შეესრულებინა კავკასიის რეგიონში თურქეთის გავლენის აქტივაციისა და ზრდისათვის. შედეგად, ზუსტად ასე მოხდა: **ერდოღანი** საკმარისად ჭკვიანურ თამაშს ეწევა, თუმცა ყველაფერი არ გამოსდის. ნებისმიერ შემთხვევაში, პოზიტიურად ვუყურებ იმას, რომ თურქეთი და რუსეთი მჭიდრო პარტნიორები ხდებიან. საქართველომაც უნდა იმეგობროს თურქეთთან, თუმცა მეტისმეტად მჭიდრო კავშირები მისთვის სახიფათოა. იმეტი კი არა, რომ თურქეთს ჩვენი წინააღმდეგ რაიმე ავი განზრახვა ამოძრავებს, — გეოპოლიტიკას თავისი კანონები აქვს: არ შეიძლება მეტისმეტად დაყრდნო

ძლიერ მეზობელს, მეტისმეტად ფართოდ გაულო კარი, განსაკუთრებით — აჭარის მაგარო სასაზღვრო ზონებში.

ჩაბარდა თუ არა არქივს პანისლამისტური და პანთურქული პროექტები თუ მათ უნინდებურად აქვთ მომავალი?

თურქეთმა, ვგონებ, უარი თქვა პანთურქულ და პანისლამისტურ პროექტებზე, მაგრამ ეს მაინც სხვა რელიგია, კულტურა და ცივილიზაციაა და, ამასთან, საქართველოს მასშტაბებისთვის — ერთობ ძლიერი. მახსოვს, რაც ზემოთ ირანზე ვთქვი, მაგრამ ირანი საქართველოს მომიჯნავე არ არის, ხოლო თურქეთი ესაზღვრება და ძალზე აქტიურია საქართველოში. პოსტსაკავშირებისული პერიოდში (რომელიც ბოლოსდაბოლოს დადგება) საქართველო რუსეთს უნდა დაუახლოვდეს და მხოლოდ ამის შემდეგ გააღრმავოს ურთიერთობები თურქეთთან. არსებობს მაგალითი, რომელიც მაფიქრებს (თუმცა არ აფიქრებს სააკაშვილს): საქართველოსთვის იმ ნებართვის მიცემის სანაცვლოდ, რომლის თანახმადაც თანამედროვე ჩრდილო-აღმოსავლეთი თურქეთში ქართული ისტორიული მონასტრების რესტავრირება მოხდება (ამ ძეგლთაგან ზოგიერთი იუნესკოს მიერ კაცობრიობის მსოფლიო მემკვიდრეობადაა გამოცხადებული), ანკარა საქართველოს ტერიტორიაზე ახალი მეჩეთების მშენებლობასა და რესტავრირებას ითხოვს. საქართველოში უკვე ფუნქციონირებს 200-მდე მეჩეთი, მედრესი და მრავალი თურქული სკოლა (ამასთან, თურქეთში არ მოქმედებს არც ერთი ქართული ტაძარი და სკოლა). ჩვენი მეზობელი მადას ამკარად არ უჩივის.

მინდა, გკითხოთ თქვენ მიერ ნახსენები ევრაზიული კავშირის შესახებაც, რომელსაც შეუძლია როგორც რუსეთისა და მოსტსაბჭოური ქვეყნების, ასევე თურქეთისა და ირანის გაერთიანება. რეალური თუ ეს და რა პირობებში?

სასურველია, რომ ევრაზიული პროექტი სწრაფად განხორციელდეს. კომუნიზმის კრახის შემდეგ მოსტსაბჭოთა სივრცე და მთელი მართლმადიდებლური სამყარო იდეოლოგიურ ვაკუუმში აღმოჩნდა. მართალია, დასავლეთსა და მის იდეოლოგიას სრული ტრიუმფისთვის არ მიუღწევია, მაგრამ დასავლური იდეოლოგიის გავლენა მოსტსაბჭოთა მუსლიმურ სამყაროზე უზარმაზარია. აღარაფერი რომ არ ვთქვათ ბლკანეთის ქვეყნებზე, რომელთა ელიტამაც ისინი ნატოში შეათარია, თავად რუსეთი და ყველა სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა (ცენტრალური აზიის ზოგიერთი ქვეყნის გამოკლებით), დასავლური მაგალითის მიხედვით, ლიბერალურ დემოკრატიებთან თვითდენტიფიკაციას ახდენენ. თავად ლუკაშენკოც კი სიტყვიერად სულაც არ ეწინააღმდეგება თავისი ქვეყნის ამგვარ გაგებას. და ესაა სწორედ ყველა უბედურების სათავე. როცა რუსეთი, ბელორუსი და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნები, თუნდაც ნომინალურად, დასავლური ღირებულებების პრიორიტეტულობას აცხადებენ და ისინი „საკაცობრიოს“ რანგში აწყავთ, დასავლეთს, დასავლურ თვისივე ღირებულებებისა და პოლიტიკური ლექსიკონის ინტერპრეტაციით, საშუალება ეძლევა, აქტიურად ჩაერიოს ჩვენს შიდა პროცესებში. ჩვენ განსხ-

ვავებით, ჩინეთის ხელმძღვანელობა მკაფიოდ აცხადებს, რომ ჩინეთი განსხვავებული, თვითკმარი ცივილიზაციაა, დამოუკიდებელი კულტურა, სულ სხვა სამყაროა, რომლისთვისაც დასავლეთის იდეოლოგიური დიქტატი მიუღებელია. ასეთ პოზიციებზე მყოფი ჩინელებს მშვიდლად შეუძლიათ მოუსმინონ დასავლეთის კრიტიკას „დამიანის უფლებათა დაცვაზე“. ასეთი კრიტიკა დასავლელი პოლიტიკოსების პირიდან მნიშვნელოვნად როდი უღერს და ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს ჩინეთის პოლიტიკაზე.

დღეს ვხედავ, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა სულმოუთქმელად ელოდა ამერიკელების სიგნალს „გადადართვის“ შესახებ. როგორც ჩანს, მოსკოვი შევითამოხსუნტქეს იმის გამო, რომ ირანს ადმინისტრაცია, თავისი წინამორბედისგან განსხვავებით, არ იწინებდა „ფერად რევოლუციებს“. რუსეთი ამერიკის გულის მოსაგებად ირანს ხელს უჭერს და გაუგებარია, რას იღებს სასაცვლოდ. იქნებ, ფრანგული „მისტრალის“ შეძენა ირანის გეოპოლიტიკურ ღირებულებას გადასწორის? — სასაცვლოა. ხოლო უფრო სასაცვლოა, როცა რუსეთში სრული სერიოზულობით იმედოვნებენ, რომ აშშ რუსეთს სილიკონის ევლის მალა ტექნოლოგიებს გაუზიარებს და რომ ამ დაბლობის სპეციალისტები — რუსები უკან აღბრუნდებიან.

ეს ხომ იმდენად სასაცვლოა, რომ შეიძლება ცრემლები წამოგვცივდეს. რუსული პრესა აღბრუნდებიან... ილია იმით, რომ მედვედევი თურმე, ამერიკელებს მოეწონათ. ვფიქრობ, ამერიკელებს ის უფრო მოეწონათ, რომ რუსეთმა ხელი მოაწერა ამერიკული „ბოინგების“ ყიდვის მრავალმილიონიან კონტრაქტს...

აშშ-ის გულწრფელობა არ გჯერათ. საგარეუდო ევრაზიული კავშირი შესაძლებელია, მსოფლიოსა და ამ რეგიონში დასავლეთის საპირიწინედ იქცეს?

— თავდაპირველად ამ სნობიზმისგან გათავისუფლება გვმართებს და დიდი მიზნებიც უფრო მეტად რეალისტური გახდება. თუ ევრაზიის შუაგული — რუსეთი ამგვარ წინააღმდეგობრივ პოლიტიკას გაატარებს, ევრაზიული იდეებსა და დასავლურ ლიბერალიზმს შორის იწინააღმდეგობა იქნება. დიდი პროექტები ძლიერ პოლიტიკურ ნებსასა და დაუიწინებლად მოითხოვს. ჯერჯერობით ვერც ერთს ვერ ვხედავ. ბოლოსდაბოლოს, „გაზპრომის“ ალექსანდრე ლუკაშენკოს „იპონზე“ დაანენს და გაზით დემოკრატიულად მოამარაგებს რომელიმე დემოკრატიკოზულის, რომელიც ბელორუსთან ერთად ნატოკენ და ევროკავშირისკენ მიიღვებს. არ მინდა, ყურადღება მხოლოდ უარყოფითზე გავამახვილო და რუსეთის ხელმძღვანელობის კრიტიკოსად ვიქცე. არის ძალიან პოზიტიური ძვრებიც; მაგალითად, რუსეთმა და უკრაინამ მაინც გამოახეს საერთო ენა და ყველადასავლეთის მისაღვი ფორმით ინტეგრაციის შანსებიც გაჩინდა. თუმცა ეს საკმარისი როდია. რუსეთი გლობალურ პროცესებს უფრო ენერგიულად უნდა ეხმარებოდეს.

ვეიკანტას რეაქციები გაიხსნა?



უცხოეთში წასულ საქართველოს მოქალაქეებს, სავარაუდოდ, რეზერვში გამოძახება მოუწევთ. სარეზერვო სამსახურის შესახებ მოქმედი კანონმდებლობით, უცხოეთში სამუშაოდ ან სასწავლებლად წასული მოქალაქეები იმ წესსავე არიან შეყვანილი, რომელთაც რეზერვში განწვევა არ ეხებათ. სარეზერვო სამსახურის ახალ კანონპროექტში კი უცხოეთში სამუშაოდ ან სასწავლებლად წასული ადამიანები ამ მუხლიდან ამოღებული არიან. კანონპროექტის ავტორები ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებენ, მართლა შეეხება მათ განწვევა თუ არა და, თუ შეეხება, რა მექანიზმით მოხდება ყოველივე („ინტერპრეტაცია“).

„Корнет-Э“ თურქულ იყვანა

რუსეთმა თურქეთს 80 ტანკსანიონალდემო-გო სარაკეტო კომპლექსი „Корнет-Э“ მი-ანოდა. ამას 2008 წელს დადებული კონტრაქტი (70 მილიონი დოლარი) ითვალისწინებდა; მაშინ ჩატარებულ ტენდერში „Росс-сориакспорт“-მა აჯობა სამხრეთაფრიკულ „Denel“-ს, ისრაელის „Rafael“-სა და ამერიკულ „Raytheon“-ს. „Корнет-Э“-მ სახელი გაითქვა ლიბანის 2006 წლის კამპანიის დროს, როდესაც ისრაელის სატანკო ნაწილებისთვის უდიდესი პრობლემები შექმნა; მისი მოქმედების სიშიორე 5500 მეტრს აღწევს. „თურქების ძალიან ემპოფილები არიან“, — აღნიშნა რუსეთის სახმელეთო ჯარების წარმომადგენელმა ალექსანდრე ემელიანოვმა „ინტერფაქსთან“ საუბარში.



კოალიციის დანაშაულები იზრდება



იგნისში საერთაშორისო კოალიციის დანაშაულებმა ავღანეთში 102 ადამიანი შეადგინა. მათ შორის 60 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეა. ყველაზე ინტენსიური საბრძოლო შეტაკებები კვლავინდებურად ქვეყნის სამხრეთსა და აღმოსავლეთში ხდება, თუმცა სიტუაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით უარესდება. მძიმე შეტაკებები ავღანეთის ჩრდილოეთ პროვინციებში — ბაგლანსა და კუნდუზში დაიწყო, სადაც ადრე ვითარება შედარებით მშვიდი იყო.

ქალა თურქე ერთობაშია



სერბეთისა და ხორვატიის თავდაცვის უწყებებმა ჩაატარეს კონსულტაციები ტანკის „M-84“-ის მოდერნიზაციის საქმეში თანამშრომლობის თაობაზე. ამ ტანკის წარმოებაში 80-იან წლებში იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკებში მიმოფანტული 240-მდე სანარმო იყო ჩართული. ბიძგი ამ მოლაპარაკებებს ქუვეციის გადანყვებილებამ მისცა, მისი კუთვნილი 200 „M-84“-ის მოდერნიზაცია მოახდინოს. უფრო „ობდრანას“ ცნობით, „M-84AB1“ აღიჭურვება ახალი 125 მმ. ქვემეხით, ცეცხლის მართვის ახალი სისტემით, უფრო ძლიერი ძრავით, დინამიური დაცვით, ნაღმების აღმოჩენის ელექტრომაგნიტური სისტემით, კომპლექსით „Шторა“; მთელი რიგი სხვა, ახალი ან გაუმჯობესებული სისტემებით.

ემბარგო: საქართველო იარაღს ვეღარ ყიდულობს

„მინდა, მკაფიოდ განვახადო, რომ ჩვენ არ დავგინებთ იარაღის ემბარგო საქართველოსთვის“, — აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის — ფილიპ გორდონის ეს განცხადება ფორმალურად სიმართლეს შეესაბამება, თუმცა, ფაქტობრივად, „გამოუცხადებელი ემბარგო“ როგორც აშშ-ის, ისე იარაღის სხვა წამყვანი მწარმოებლების მხრიდან მაინც არსებობს.

გასულ კვირას ამ თემას „Jane’s Defence Weekly“ შეეხო; გამოცემის ცნობით, საფრანგეთში, შეიარაღების გამოფენა „Eurosatory 2010“-ზე ჩასული საქართველოს წარმომადგენლები გულისხმობით აღნიშნავენ, რომ მათი ქვეყანა ვერ ახერხებს შეიარაღების შეძენას, ხოლო მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ ეს ორი ფაქტორის: „შევრთებული შტატების პოლიტიკისა და რუსეთის ზენოლის“ გამო ხდება.

რა პრინციპს ეფუძნება აშშ-ის პოლიტიკა ამ შემთხვევაში? ამაზე პასუხი ისევ ფილიპ გორდონმა გასცა, იმავე 29 ივნისის ბრიფინგზე, მას შემდეგ, რაც დაასრულა ვრცელი წინასიტყვაობა, რომ ემბარგო არ არსებობს, და საქართველოს თავდაცვის უფლება აქვს: „ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ იარაღისა



და სამხედრო აღჭურვილობის მიყიდვა არის გზა იმ ვითარებისკენ, რომლის მიღწევას ჩვენ საქართველოში ვცდილობთ“.

„აქტიურად ვთანამშრომლობთ ჩვენს მეგობრებთან საქართველოში, რათა განვაერთოთ მათი დემოკრატია და კეთილდღეობა, რადგან მიგვაჩნია, რომ სიტუაციის გრძელვადიანი გადაწყვეტა სამხედრო გზით ვერ მოხერხდება, ისევე, როგორც სამხედრო აღჭურვილობის მიყიდვით“, — განაცხადა გორდონმა. სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიცია, რომელიც, ერთის მხრივ, ეფუძნება ემბარგოს არსებობის უარყოფას, ხოლო, მეორეს მხრივ,

ქვეტექსტად გასდევს აზრი იმის თაობაზე, რომ საქართველოსთვის იარაღის მოწოდება მაინცდამაინც სასურველი არ არის, ორატორი სიტუაციას ქმნის. ცხადია, ასეთ ვითარებაში რესპექტაბელური კომპანიების უმრავლესობა, სავარაუდოდ, თავს შეიკავებს საქართველოსთან თანამშრომლობისგან, მითუმეტეს, რომ ის მათთვის რუსეთთან ურთიერთობის განწყვეტის საფრთხეს მოასწავებს.

რამდენიმე მაგალითი: რუსეთი აწარმოებს მოლაპარაკებებს ფრანგულ „Sagem Defense Securite“-სთან მოდერნიზებული „Смерч“-ებისა და „Ирэд“-ების (ცნობისათვის: სრლის სიშორე 40-იდან

50-60 კილომეტრამდე გაეზარდა) ცეცხლის მართვის სისტემის შექმნაზე, კომპოზიტური ჯავშნის შექმნას ავტომობილებისთვის და ჯავშანტექნიკისთვის მოსკოვი გერმანიაში გეგმავს, უკრაინელი გემთმშენებლები ელოდებიან შეკვეთას რუსეთისგან 15 ახალ ხომალდზე, ხოლო ორი ქვეყნის ავიამწარმოებელი კომპლექსები, ფაქტობრივად, ერთიანდებიან; „IVECO“ იმდენებს, რომ კონტრაქტი 3000 მისი ჯავშნიანი ავტომობილის — „LMV“-ის „KAMAZ“-ის ქარხანაში აწყობით განხორციელდება; ისრაელის კომპანიები გააფრთხილები იბრძვიან 300-მილიონიანი კონტრაქტისთვის, რომელიც რუსეთთან უპილოტო საფრენი აპარატების ერთობლივ წარმოებას ითვალისწინებს, ესპანელებს ჯერ არ გადაეწურათ იმედი, რომ „მისტრალის“ ნაცვლად (ან მასთან ერთად) რუსები „ხუან კარლოს I“-ს იყიდიან, რომელიც ფრანგულ ხომალდს მახასიათებლებით ნამდვილად არ ჩამოუვარდება და, შესაძლოა, რაც კომპონენტებში ჯობის კიდევ. ფაქტია, დღევანდელ, კრიზისით გათანაფრთხილ მსოფლიოში ძალიან ძნელია, მოძებნო კომპანია ან სახელმწიფო, რომელიც უარს იტყვის უაღრესად მომგებიან თანამშრომლობაზე რუსეთთან იმის გამო, რომ საქართველოს იარაღი მიაწოდოს.

„Jane’s Defence Weekly“-ს მოჰყავს თავდაცვის მინისტრის მოადგილის — ნოდარ ხარშილასის სიტყვები, რომლის თანახმად, საქართველოს, უპირველეს ყოვლისა, „სჭირდება რადიოსალოკაციო სადგურები, რომლებიც უზრუნველყოფს ადრეულ გაფრთხილებას რუსების მიერ საზღვრის გადალახვის შესახებ, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია სამხრეთ ოსეთსა და გორს შორის მანძილის გათვალისწინებით“.

სნაიპერები სტალინგრადში — რეალურა და შიშობი

გასულ კვირას ტელევიზიამ კიდევ ერთხელ აჩვენა ფან-ჟაკ ანოს ფილმი „Enemy at the Gates“ („მტერი კარიბჭესთანაა“), რომელშიც ასახულია ორი სნაიპერის — ვასილი ზაიცევისა და ჰეინც ტორვალდის (და არა ერვინ კენიგის, როგორც ეს ფილმშია) ლეგენდარული დუელი სტალინგრადში. ვინაიდან ფილმში უამრავი ისტორიული შეუსაბამობაა, ურიგო არ იქნებოდა, გაგვერკვია, რა მოხდა იქ სინამდვილეში.



ჰეინც ტორვალდი

ამონარიდი ვასილი ზაიცევის მოგონებებიდან: „...ყველა სნაიპერს, გამოცდილსა და ახალბედსაც, ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ საქმე ტაქტიკურად მომნიშვნელოვანია, გონიერ მოწინააღმდეგესთან აქვს. შენი ამოცანაა, მოატყუო იგი და რთულ ორთაბრძოლაში ჩაითრიო. როგორ ხდება ამის მიღწევა? მოიფიქრე დამაბნეველი სვლები, გაფანტე მისი ყურადღება, გზა-კვალი აუბნე, დალაღე იგი. მე სნაიპერის ფუნდამენტური პოზიციის წინააღმდეგე ვარ; სნაიპერი მომთაბარეა, იგი ჩნდება იქ, სადაც მტერი არ ელოდება. ასე ვიპოვე ჩემს გამოცდილებას და მეგობრებთან ერთად ვეძებდი გზას გამწვევითი ორთაბრძოლისთვის გამოცდილი ბერლინელ სნაიპერთან, რომელიც ჯერჯერობით მოხერხებით გვეჯობინდა.“

ერთი დღის განმავლობაში მან ერთ სნაიპერს ტყვია საშიზნეში მოარტყა, ხოლო მეორე დაჭრა. ისინი გამოცდილი მსროლელები იყვნენ და ხშირად ურთულესი შეტაკებებიდან გამარჯვებულები გამოდიოდნენ. ეჭვი ალარ მქონდა, ისინი შეეჩვენენ იმ ფაშისტს, რომელსაც მე ვეძებდი. გამათენიასს ნავედი პოზიციაზე, სადაც წინა დღეს ჩვენი მეგობრები იყვნენ; ნაცნობი, მრავალი დღის განმავლობაში დეტალურად შესწავლილი მოწინააღმდეგის წინა ხაზი. ყველაფერი ისეთი იყო, როგორც ყოველთვის. დღე ილეოდა. მაგრამ აგერ, ფაშისტების სანგრის თავზე, მოულოდნელად ჩაფხუტი გამოჩნდა და თხრილის გასწვრივ მოძრაობა დაიწყო. ვესრო-

ლო? არა. ეს ფანდია: ჩაფხუტი არაბუნებრივად მოძრაობს, ის, ალბათ, სნაიპერის თანაშემწემ ჯოხზე ამოაცვია და მიაქვს, თავად სნაიპერი კი ელოდება, როდის გავისვრი და თავს გამოვამყლავნებ. ჩვენს მოწინააღმდეგეს მთელი დღის განმავლობაში თავი არაფრით გამოუვლენია და ამის გამო დარწმუნებული ვიყავი, რომ ბერლინელი სნაიპერი სწორედ აქ იყო. აუცილებელი იყო, ყურადღებით ყყოფილიყავი.

მესამე დღეს ჩვენთან ერთად პოლიტბელი დანილოვი წამოვიდა. განუწყვეტლად ვადევნებთ თვალს იმას, რაც ჩვენ წინ ხდებოდა. „აგერ იქ არის! თითქმის გიჩვენებ!“, — უცებ იყვია პოლიტბელმა. იგი სულ რაღაც ერთი წამით აინია, მაგრამ ეს საკმარისი

აღმოჩნდა, ტყვია მოხვედროდა. საბედნიეროდ, იგი მხოლოდ დაიჭრა (ფილმში დანილოვი მოკლეს — რედ). ასეთი სროლა მხოლოდ გამოცდილ, ნავარჯიშებ სნაიპერს შეეძლო. დიდხანს ვაკვირდებოდი მოწინააღმდეგის წინა ხაზს, მაგრამ მის პოზიციას ვერ ვპოულობდი. მრავალი დღის განმავლობაში ისე შევისწავლე წინა ხაზი, რომ ნებისმიერ ახალ ღრმულსა და ბორცვს ვამჩნევდი. ვნახე, რა სწრაფი და ზუსტი იყო გასროლა და დავრწმუნდი, რომ სნაიპერი სადაც ჩვენ წინ იყო. ისევე ვუყურებ — მარცხნივ დამწვარი ტანკია, მარჯვნივ — გამაგრებული საცეცხლე ნერტილი. ფაშისტები ტანკშია? არა, გამოცდილი სნაიპერი იქ არ ჩაჯდება. საცეცხლე ნერტილებია? არა, მისი

საქართველო

გაზეთი, გაზეთიეროთი თქვენი მოსახრებები? დაზარალებულნი: 38-41-97, ან მოგზაურთა: info@geworld.net

მეორე: ვინაიდან საქართველოსთვის, საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, ეს იქნება თავდაცვითი ომი, დრო რომ მოვიგოთ, ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ახალი მოლაპარაკებების დაწყებამდე, ჩვენს სახმელეთო ქვედანაყოფებს დასჭირდება საუკეთესო ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები, რუსების სატანკო იერიშის შესაჩერებლად; მესამე: ჩვენ გვჭირდება თანამედროვე ტექნიკური რადიოსადგურები იმ შემთხვევისათვის, თუ სახმელეთო კომუნიკაციებს გადაჭრიან (აქ, უპირველესად, იგულისხმება ვითარება, როდესაც გორთან, როგორც საავტომობილო და სარკინიგზო, ისე მის გაყოლებზე გამავალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი გადაიჭრება).

ჩამოთვლილთაგან ვერც ერთი სისტემის შექმნა საქართველოში ვერ მოახერხება. ამას ადასტურებს აშშ-ისა და ნატოს წარმომადგენლები თბილისში, აგრეთვე, ისრაელისა და აშშ-ის კომანდოების წარმომადგენლები, რომლებმაც „Eurosatory“-ში მონაწილეობა მიიღეს“, — ნერს „Jane's Defence Weekly“.

ბოლო წლების განმავლობაში მრეწველობამ საქართველოში ისეთი დეგრადაცია განიცადა, რომ დამოუკიდებლად ლურსმნების წარმოებაც კი გვიჭირს, ყოველივე ჩამოთვლილის ნულიდან წარმოების დაწყებაზე რომ არაფერი ვთქვათ. თუმცა რომელიმე ქვეყანასთან კოოპერაციაში იგივე ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების წარმოება ან მათი მიღება გარკვეული მომსახურების სანაცვლოდ, მაგალითად, „თბილისის შეკეთების ან მოდერნიზაციისთვის, საკვებით შესაძლებელია. რევიონში ხომ ირანიც არსებობს, რომელსაც სანქციები ადევს. იგი მტრობს

შტატებს და რუსეთზეც საკმაოდ განაწყენებული ჩანს.

ირანი არცთუ ულტრათანამედროვე, თუმცა საკმაოდ გამოსადეგ ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებს აწარმოებს: ეს არის რუსული „9M14M **Малютка**“-ს ირანული მოდიფიკაციები „RAAD“-ი და „RAAD-T“-ი, „9M113 **Конкурс**“-ი, აგრეთვე, ამერიკული „BGM-71A **TOW**“-ს და „BGM-71C **Improved TOW**“-ს ასლები. ამავე დროს, ირანს აქვს რამდენიმე ათეული „**CS**“ და „ზოგადად, მისი საავიციო მრეწველობისთვის, თბილისის „სიმლაგრე“-ების ათვისება საკმაოდ დიდი შედეგია იქნებოდა. **თუმცა, ცხადია, ამ ქვეყანასთან თანამშრომლობა და მისგან იარაღის შექმნა მნიშვნელოვან პოლიტიკურ რისკს უკავშირდება.** ნავა თუ არა ფაქტობრივი ემბარგოს პირობებში ხელმოწინილი სააკაშვილის ხელისუფლება ამ გზით? იმოქმედებს თუ არა ის ასეთი სქემით: **რამდენიმე დემონსტრაციული ნაბიჯის გადადგმა ირანთან თანამშრომლობისაკენ, იმისთვის, რომ შტატებმა ანგარიში გაუწიონ მის სურვილს — ახალი იარაღი და აღჭურვილობა შეიძინოს?**

ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას: აშშ-ის კომპეტენტური უწყებები, ძალიან დიდი ალბათობით, ყურადღებით მიადევნებენ თვალს „თბილისის შეკეთება“-ს შემდგომ ბედს, რომელიც გასულ კვირას უცებ დადგინდა ირანის საინჟინერო დაიქვემდებარა. **იმის გათვალისწინებით, რომ დასავლური მედია სულ უფრო მზარდ შემფოთებას გამოთქვამს საქართველო-ირანის სწრაფ დაახლოებასთან დაკავშირებით, შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ ამ ყურადღებას ამერიკელები წამითაც არ მოადრეუნებენ.**

«ტრიანონის» გაშრობის შესახებ

ეს მოსკოვის მიერ განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ოპერაცია იყო, იმიტომ შემთხვევა, როცა სრული მარცხი უცებდნენ წარმატებად იქცა. შედეგად, კა-გე-ბემ ერთობ ღირებული ცნობები მიიღო ცსს-ს მიერ ჯაშუშური ოპერაციების ჩატარებისას გამოყენებულ ტექნოლოგიებზე.

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ტელევიზორებზე ჯაშუშური მრავალსერიანი ტელეფილმი გამოჩნდა, რომელიც ი. სემიონოვის ნოველის „ტასი უფლებამოსილია განაცხადოს“ მოტივებზე შეიქმნა. თუმცა მაშინ ცოტა თუ იცოდა, რომ სიუჟეტს საფუძვლად რეალური ისტორიული მოვლენები და ე.წ. აგრონომის საქმე დაედო. ასევე, უცნობი იყო კა-გე-ბეს მიერ 1970-იან წლებში ჩატარებული ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ოპერაციის გარემოებები.

ოპერაცია „ტრიანონის“ ისტორია 1975 წელს დაიწყო, როცა კა-გე-ბეს მთავარ სამმართველოში კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტიდან მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ სსრკ-ის ერთი მოქალაქე, რომელიც იქ მივლინებოდა იმყოფებოდა, ამერიკის სპეცსამსახურებმა გადაიბირეს. მოკლე ცნობა ზუსტ დეტალებს არ შეიცავდა, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა სავარაუდო ჯაშუშის გამოშვარავეც. ცნობილი მხოლოდ ის იყო, რომ გადაბირებული აგენტი კლუბ „ჰილტონის“ ნევირ იყო, რომელიც მცირე ხნის წინათ ავარიში მოყვა.

ინფორმაციის მიღების შემდეგ კა-გე-ბემ საელჩოსა და ბოგოტაში სსრკ-ის საგარეო წარმომადგენლობის ყველა თანამშრომლის გულდასმით შემოწმება დაიწყო. მალე გამოიკვთა ეჭვიშაობილი ვაჭრებიც.

თავიდან მასში საელჩოს თანამშრომელთა დიდ ნაწილი შედიოდა — **ერთი მეტისმეტად ხშირად ურთიერთობდნენ უცხოურ საქონლით სპეკულაციას ეწოდნენ, მესამე კი სპირტიან სასმელებს ეტანებოდნენ, ანუ ყველა მათგანს გარკვეული სისუსტე ჰქონდა, რომლის გამოყენებაც აგენტის გადასაბრებლად უცხოურ დაზვერვას იოლად შეეძლო. თუმცა, კიდევ უფრო გულდასმით შემოწმების შემდეგ, ეჭვქვეშ დარჩა ერთადერთი კაცი — ვინმე ალექსანდრე ოგოროდნიკი, ლათინური ამერიკის კულტურის, ისტორიისა და ეკონომიკის სფეროში ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, რომელიც საელჩოში მდივნად მუშაობდა და ბანკოკში მგზავრობისას ავტოკატასტროფაშიც მოყვა.**

მართალია, ალექსანდრეს მშვენიერი ოფიციალური დახასიათება ჰქონდა საგარეო საქმეთა სამინისტროს საკადრო სამსახურიდან, ანუ პოლიტიკურად განათლებული, იდეურად მყარი და მოტივირებული მტკიცე იყო, მაგრამ ვინც მას კარგად იცნობდა, სრულყოფილად განათლებულ და პარაკოდა.

არაოფიციალური წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით, ცნობილი შეიქმნა, რომ ოგოროდნიკი მექალთანე იყო და საელჩოს რამდენიმე



მოგორდნიკ-ტრიანონი



კომენტარი — ჩხოსლოვაკიელი აგენტი, რომელმაც მოსკოვს ტრიანონის შესახებ აცნობა

დრის შემდეგ უბის წინააღმდეგ რაღაცას ინიშნა. მაშინ უშიშროების თანამშრომელმა მალულად გაჩხიკეს სასტუმროს ნომერი, რომელიც ოგოროდნიკი ცხოვრობდა. შედეგად მოლოდინს გადააჭარბა: ალექსანდრეს პირად ნივთებში ავტომატის ფორმის პისტოლეტი და გერმანული წარმოების თავდაცვის სხვა საშუალებები აღმოაჩინეს. ასე რომ, კა-გე-ბეს ეჭვი აღარ ეპარებოდა ალექსანდრე ოგოროდნიკის ჯაშუშურ საქმიანობაში. თუმცა, სამსუხაროდ, მის წინააღმდეგ შეკრებილი ყველა სამხილი ირიბი იყო, რადგან ალექსანდრეს შეეძლო ეთქვა, რომ ეს ნივთები კოლუმბიაში მუშაობისას შეიძინა.

ამიტომ კონტრდაზვერვამ თვალთვალი განაგრძო, მაგრამ ძალისხმევების მიუხედავად, „აგრონომის“ გამოშვარავება ძალიან ძნელი გამოდგა, რადგან იგი დიდ სიფრთხილას იჩენდა. ბოლოსდაბოლოს, მეთვალყურეებმა დაადგინეს, რომ ოგოროდნიკი ხშირად სტუმრობდა გამარჯვების პარკს მოსკოვში, თავის „კოლგას“ გამოსაჩენად ადგილას ტოვებდა და დიდხანს სეირნობდა პარკის ბილიკებზე. მალე დადგინდა, რომ ასეთ დღეებში პარკში ამერიკელი დიპლომატების სიუხვე შეინიშნებოდა, რომელთაგან ბევრი კა-გე-ბეს კარტოთეკებში ამერიკის დაზვერვის თანამშრომლებად ირიცხებოდა.

ოგოროდნიკის ქალაქში არყოფნისას კონტრდაზვერვებმა მის ბინაში სპეციალური აპარატურა დაამონტაჟეს. ჩხრეკისას პორტატიული რადიომიმღებიც აღმოაჩინეს, რომელშიც კასეტის ჩანსა და ბათუმში ვიზიტებისას ალექსანდრე საპასუხე მთავარ პირებს ხვედროდა და თითოეული შესვე-

ამბრაზურა დახურულია

მათ შორის კი დაგდებულია რკინის დიდი ფურცელი და რამდენიმე დამსხვრეული აგური. დიდი ხანია, იქ დევს, ყურადღებასაც არ მიაქცევს. ვაყენებ საკუთარ თავს მონინააღმდეგის ადგილას: სად ჯობს პოზიციის დაკავება? იმ რკინის ქვეშ ხომ არა? (ფილმში მსგავსი პოზიცია სხვა და არა ფინალურ ეპიზოდშია ნაჩვენები — რედ.) გადავწყვიტე, შემომოწმებინა: ფიცარზე ხელთათმანი მივაშარგე. ფაშისტი წამოვიღე! მშვენიერია. ფრთხილად ვუშვებ ფიცარს სანგარში, ისევე, როგორც ავნიე, ნატყვიარს ვათვლიერებ. ეჭვი აღარ მაქვს იგი რკინის ქვეშ არის. ახლა საჭიროა, გამოვიტყუოთ. ნეტავ, ოდნავ მაინც გამოაჩინოს თავი. ახლა ამას არ გააკეთებს. ამ მომენტებში პოზიციიდან იგი, ალბათ, არ წავა; მისი ხასიათი უკვე ვიცო...

ვასილი ზაიცვი



ანევა. ფაშისტმა გაისროლა. კულიკოვი წამით ზევით აინია, ხმაბალია იყვირა და დაცვა. „ბოლოსდაბოლოს, საბჭოთა სნაიპერი, რომელმაც ცოტა ხნით დღე ვაფირობდა, მოკლულია“, — იფიქრა, ალბათ, გერმანელმა და თავი ასწია. მე გვეროლე“.

გერმანელებს დიდი ხნის განმავლობაში არ სურდათ იმის აღიარება, რომ რაინის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი ჰენრი ერვინ კენიგზე, რომელიც შესახებ ცნობები გერმანულ არქივებში არ მოიპოვება. მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ დადგინდა, რომ სტალინ-გრადში ზაიცვიმ სს-ის სავლელ ჯარების სნაიპერთა სკოლის ხელმძღვანელი, შტანდარტენფიურერი ჰენრი ტორვალდი მოკლა.

პოზიცია ლამით მოვაშხადეთ. ჩავჯექით. კოლიამ (კულიკოვი, ზაიცვის მეწყვილე; ფილმში ამ მომენტისთვის იგი უკვე მოკლულია. — რედ.) უმისამართოდ გაისროლა, საჭირო იყო სნაიპერის დანტრიგება. გადავწყვიტეთ, დავლოდებოდით. ამ დროს ჩვენი ოპტიკა მზეზე ბრჭყვიალებდა, ხოლო სადილის შემდეგ ჩვენი შაშხანები უკვე ჩრდილში იყო. მზის სხივები პირდაპირ გერმანელის პოზიციას ანათებდა. რკინის ფურცლის სიახლოვეს რაღაცამ გაიბრწყინა. მუშის ნამსხვრევებია თუ სნაიპერის სამიზნე? კულიკოვმა, როგორც ყველაზე გამოცდილმა სნაიპერმა, ფრთხილად დაიწყო ჩაფხუტის

მოამზადა
ნანა ჩარკვიანი
დასასრული
შედეგ ნომერი

მოკრძალებული პროფესორის დიქტატურა

1926 წელს პორტუგალიის ხელისუფლების სათავეში სამხედროები მოვიდნენ. ამას მორიგი სამხედრო გადატრიალება ერქმეოდა, პუტჩისტებს სახელმწიფოს მმართველად მოკრძალებული პროფესორი ანტონიუ დი ოლივეირა სალაზარი რომ არ მიეწვიათ. სალაზარმა ქვეყანაში წესრიგი დაამყარა და ხაზინაც შეავსო. თუმცა მცდელობა, პორტუგალია მძლავრ სახელმწიფოდ ექცია, კრახით დასრულდა...

ანტონიუ დი ოლივეირა სალაზარი, რომელსაც პორტუგალიის ისტორიაში ყველაზე წინააღმდეგობრივი და წარმატებული დიქტატორის ხვედრი ერგო, 1889 წლის 28 აპრილს სანტა-კომპას მახლობლად მდებარე სოფელ დორფ-ვიმეირაში, მეტრატორის ოჯახში დაიბადა. იმ დროისათვის პორტუგალია ჩამორჩენილი მრეწველობის, სუსტი არმიისა და ფლოტის მქონე წყნარი პატრიარქალური სამეფო იყო. სოფლის სახალხო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1900 წელს სალაზარმა უფასოდ ადგილი მიიღო ვიზეუს სასულიერო სემინარიაში. 24 წლისა მღვდელი გახდა და თითქმის მამინვე უარი თქვა საეკლესიო კარიერაზე. თუმცა თომა აქვინელის სწავლებამ სალაზარზე წარუშლელი კვალი დატოვა. რკინის ნებისყოფით, ნათელი გონებითა და სრული სიმშვიდით იგი ადრეული ასაკიდან გამოირჩეოდა. სამაგიეროდ, ძალზე გულგრილი იყო ადამიანების მიმართ.

1908 წლის 1 თებერვალს ანარქისტებმა მეფე კარლუშ I და მისი ვაჟი ლუიშ ფილიპე მოკლეს, ხოლო 1910 წელს პორტუგალიის მონარქია რესპუბლიკად შეცვალა. კომიზრას უნივერსიტეტში სტუდენტებმა პორტუგალიის ყველა მეფის პორტრეტი დაცხრილეს. იმავე წელს სწორედ ამ უმალეს სასწავლებელში დაიწყო სალაზარმა სამართალმცოდნეობისა და ეკონომიკის შესწავლა.

მასზე დიდი პოლიტიკური გავლენა მოახდინა პაპის — ლევ XIII-ის სოციალურმა სწავლებამ, რომელიც ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევასა და მუშათა კლასისთვის სოციალური სამართლიანობის დამყარებას ითვალისწინებდა. სალაზარი ქრისტიანული დემოკრატიის აკადემიურ ცენტრს შეუერთდა, უარყო რეაქციული მონარქიზმი და მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის დამკვიდრდა.

დიდი ხნის განმავლობაში პორტუგალიის რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი იყო შიდაპოლიტიკური არასტაბილურობა — 1910-დან 1926 წლამდე ქვეყანაში 9 პრეზიდენტი, 44 პრემიერ-მინისტრი და 3 დიქტატორი შეიცვალა. საპრობლემაში 2000-მდე

პოლიტიკური პატიმარი ივდა, ემიგრაციამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ქვეყანაში სიღატაკე სუფევდა.

1914 წელს სალაზარმა გამოცდები ჩააბარა და კომპარამი — სამართალმცოდნეობის დოქტორის, ხოლო 1917 წელს ეკონომიკის დოქტორის თანაშემწის წოდება მიიღო. მოკლე ხანში დოქტორის წოდებაც მიენიჭა, მერე პროფესორი გახდა. პორტუგალიური ეკლესიის მომავალ კარდინალ სერეიერასა და ცნობილ მათემატიკოს პაჩეკო დი ამორისთან ერთად მან ინტელექტუალური წრე დააარსა, რომლის წევრებიც ავითარებდნენ იდეას, რომ ნაციონალური სულიკვეთებისა და სახელმწიფოებრივი კუთვნილების გრძობის გადვივებას მასების აღზრდა სჭირდებოდა.

1921 წელს, საპარლამენტო არჩევნებისას, სალაზარმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა და 21 ნოემბერს აირჩიეს კიდევ.

1925 წლის 17 აპრილს მარცხი განიცადა სამხედრო პუტჩმა, რომელიც რესპუბლიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. პუტჩის კულმინაციაში მყოფი ხელმძღვანელების წინააღმდეგ გამართული პროცესის მიმდინარეობისას სახელმწიფო ბრალდებულმა, გენერალმა კარმონამ, ყოფილმა სამხედრო მინისტრმა განაცხადა: „თუკი ასეთი მალალი მოქალაქეობრივი თვისებების მქონე ადამიანებს დამსავევთა იარაღი მიენებათ, მასადაამე, რაღაც რიგზე ვერა... ქვეყანა დასნეულებულია“. შემდგომში ოფიცერთა ჯგუფი კოლონიალური ომების ვეტერანისა და პორტუგალიის ჯარების ყოფილი მთავარსარდლის, გენერალ გომეს დი კოსტას გარემოში შემოიკრიბა. 1926 წლის გაზაფხულზე ოფიცერთა ჯგუფმა მანუელ გომეს დი კოსტას ხელმძღვანელობით, სახელმწიფო გადატრიალება მოახყოფა და დაიწყო „ქვეყანაში წესრიგი უნდა დამყარდეს“, დაიხოვე პარლამენტი და აკრძალა პოლიტიკური პარტიები. ოფიცრებმა ზუსტად იცოდნენ, როგორ უნდა ჩაეგდოთ ხელში ძალაუფლება, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდათ, როგორ უნდა ემართათ ქვეყანა. ამიტომ პუტჩისტებს სასწრაფოდ დასჭირდათ პოლიტიკური წარსულის არმქონე სპეცია-



ანტონიუ დი ოლივეირა სალაზარი



სალაზარი და დუანიტ იიზანსაური

ლისტები და გომეს დი კოსტამაც ფინანსთა მინისტრის პოსტზე სალაზარი მიიწვია.

გაკვირვებული პროფესორი ლისაბონში ჩავიდა, რათა საქმეს შესდგომოდა, მაგრამ არ დასცალდა — მთავრობის ერთ-ერთ პირველ სხდომაზე მან სრული ძალაუფლება მოითხოვა ყველა სამინისტროსა და უწყების ბიუჯეტზე და, როცა უარი მიიღო, იკითხა: „კომიზრისკენ უახლოესი მატარებელი როდის გადის?“ არავითარი ძალაუფლება, გარდა აბსოლუტური, მისთვის ხელსაყრელი არ იყო.

რაკი ხუნტას ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრამები არ ჰქონდა, ქვეყანაში სიტუაცია ვერც 1926-1927 წლებში გაუმჯობესდა. 1928 წელს კი

დი კოსტა გენერალმა ანტონიუ კარმონამ შეცვალა, რომელმაც სალაზარს უკან დაბრუნება სთხოვა და ქვეყნის ფინანსებზე სრული კონტროლიც მიანიჭა. უპირველეს ყოვლისა, ფინანსთა ახალმა მინისტრმა ფინანსური დიქტატურის რეჟიმი დაამყარა. ფინანსური დისციპლინა ერთობ ქმედითი ღონისძიება აღმოჩნდა. 1929 წლისათვის ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტი პროფიციტით შეიცვალა. 1939 წლამდე პერიოდში მან 20 მლნ ესკუდო შეადგინა, რაც ლატაკი პორტუგალიისთვის ნამდვილი ოქრის წვიმა იყო. მოკლე ხანში პორტუგალიური ესკუდო ისე გამყარდა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ვალუტად იქცა. ნაციონალური ვალი შემცირდა. ეკონომიკური მიღწევების

წყალობით, ანტონიუ სალაზარის პოპულარობა მკვეთრად გაიზარდა და მალე პოპულარობა „კორპორატიული სახელმწიფოს“ მშენებლობის კონცეფცია წარმოადგინა. ამ თეორიის მიხედვით, მოქალაქეები კლასებად და პარტიებად კი არა, კორპორაციებად იყოფილები, რომლებშიც რამდენიმე საწარმო ერთიანდებოდა. ამ კორპორაციებს ერთმანეთთან უნდა ეკონტაქტათ და სახელმწიფოს შუამავლობით სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების საკითხები გადაეჭრა.

რაკი პორტუგალიაში ყველას არ ხიზავდა ტრადიციული პარლამენტარიზმის უგულბელებოება, სალაზარს საკუთარი პარტიის შექმნა მოუხდა, რათა არანაირ სხვა პარტიას მეტად აღარ ეარსება. 1930 წელს დაუცხრომელმა მინისტრმა ხელისუფლების ვერტიკალი გაამყარა, გამოსცა „კოლონიური აქტი“, რომლის მიხედვითაც ყველა გუბერნატორი ცენტრალურ ხელისუფლებაზე გახდა დამოკიდებული. 1932 წლის 5 ივლისს კარმონამ სალაზარი პორტუგალიის პრემიერ-მინისტრად დანიშნა, ხოლო 1933 წლის 19 მარტს პრემიერმა ქვეყნის კონსტიტუციის შეცვლილი პროექტი წარმოადგინა — შემოიტანა „ახალი სახელმწიფოს“ კონცეფცია (Estado Novo), რომელიც კორპორატივიზმის დოქტრინას ეფუძნებოდა. თავისი დიქტატურის მიზნად მან სტაბილიზაცია გამოაცხადა. სალაზარს თავისი საიდუმლო პოლიცია ჰყავდა, რომელიც დისიდენტებს დევნიდა. ამასთან, სხვა დიქტატორული რეჟიმებისგან განსხვავებით, პორტუგალიაში გაუქმებული იყო სიკვდილითი დასჯა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ პორტუგალია დიდი ბრიტანეთის მოკავშირედ რჩებოდა, თუმცა ომში მკაცრ ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებდა. ამ სტატუსში პორტუგალიას არა მარტო მშვიდობა, არამედ სოლიდური შემოსავალიც მოუტანა მისი გაზრდის გამო. თანამედროვეთა მონაპოვით, ომის წლებში პორტუგალია გიგანტურ შავ ბაზრად გადაიქცა. ერთ-ერთი ინგლისელი სტუდენტი ნერდა: „ომში ჩართული ქვეყნიდან ჩამოსული მოგზაურისთვის პორტუგალია ნამდვილ ოაზისს წარმოადგენდა: აქ არ თიშავდნენ ელექტ-

როენერგის, არ ანაწილებდნენ პროდუქტს ბარათებით, მალაზიები სავსე იყო სურსათ-სანოვავით...“

ომის შემდეგ სალაზარმა კურსი აიღო საერთაშორისო ინსტიტუტებში ინტეგრაციაზე და ნატოში გაწევრებას მიანდნა. 1955 წელს კი ქვეყანა გაეროშიც მიიღეს. მაგრამ წევრობას თავისი მინუსებიც აღმოაჩინა: 1950-იან წლებში მსოფლიოში დაიწყო დეკოლონიზაციის პროცესი. საფრანგეთის, ბრიტანეთისა და პორტუგალიის კოლონიებით დაინტერესდნენ ბიპოლარული მსოფლიოს ლიდერები. ბრიტანეთმა და საფრანგეთმა უარესესად უხალისოდ დაიწყეს თავიანთი კოლონიალური იმპერიების დამლაშობა, ლისაბონს კი ეს აზრადაც არ მოსვლია, რადგან კოლონიებიდან დიდი შემოსავლები მოედინებოდა. გარდა ამისა, კოლონიალიზმის საყოველთაო უგულბელებოება ლისაბონის ოფიცრობი პორტუგალიის უმძლავრეს სახელმწიფოდ გადაქცევის საფუძველად მიიჩნეოდა. სალაზარმა საერთო ვნა გამოწახა ბრაზილიის პრეზიდენტთან, ჟოაო კაფე ფილიოსთან და 1955 წელს მათ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ბრაზილიისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა პორტუგალიის კოლონიები, ხოლო პორტუგალიისთვის — სამხრეთ ამერიკელი გიგანტის შუეზლუდავი ბუნებრივი ადამიანური რესურსები. პორტუგალიის დიად სახელმწიფოდ გადაქცევამდე ერთი ხელის განვადენა აღჩებოდა, მაგრამ... 1960 წელს აშშ-ის პრეზიდენტად პრინციპული ანტიკოლონიალისტი ჯონ კენედი აირჩიეს, ხოლო ბრაზილიის სათავეში ფულვიო კულარეჟი მოვიდა, რომელსაც „ლუზობრაზილიური“ კავშირი უტოპიად მიიჩნდა.

სალაზარის პროექტი ჩავარდა. პრემიერ-მინისტრის რეჟიმი ოდიოზური დიქტატორების წუსხაში მოხდა, ამასთან, მყარი ეკონომიკური განვითარება პორტუგალიელებს, რომლებიც ცივილიზაციის სხვა ხიზლაც ეზიარნენ, აღარ აკმაყოფილებდათ.

სალაზარის მმართველობა ისევე სწრაფად დასრულდა, როგორც დაიწყო. 1968 წელს მოხუცი დიქტატორი სკამიდან ჩამოვარდა და ისეთი ძლიერი თავის ტრავმა მიიღო, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა, რომელიც უნდა მისი მორჩილი მარიონეტი იყო, პრემიერი გადააყენა. მოხუცი საავადმყოფოში მოათავსეს. 1970 წლის 27 ივლისს იგი გარდაიცვალა... 1974 წელს, მორიგი გადატრიალების შედეგად, „ახალი სახელმწიფო“ დაემხო. ლისაბონის მოსახლეობა გამარჯვებულ პუტჩისტებს ყვავილებით შეეგება და გადატრიალება ისტორიაში „მიხაკების რევოლუციის“ სახელით შევიდა. ამ „ფერადი რევოლუციის“ შემდეგ პორტუგალიამ დაიწყო ოაზისს წარმოადგენდა: აქ არ თიშავდნენ ელექტ-



„მიხაკების რევოლუცია“



სალაზარი

ალი ალჯა და «ფატიმას მესამე საიდუმლო»

ისტორიულად რელიგიურ ნიადაგზე ყოველთვის წარმოიშობოდა კონფლიქტები. განსხვავებული მონათესავე ადამიანები მრავალი საუკუნის განმავლობაში იარაღით ლაშობდნენ, თავიანთ სარწმუნოებაზე მოქცეით ურწმუნოები. იდეა, რომლისთვისაც ათი და ასი ათასობით კაცი იღუპება, ამ შემთხვევაში ნათელია. სამაგიეროდ, დღემდე უცნობია, რა მიზანი ჰქონდა მუსლიმან მეჭემდ ალი ალჯას, რომელმაც კათოლიკეთა წინამძღვარს — რომის პაპს ესროლა.

ალი ალჯა 1958 წლის 9 იანვარს დაიბადა თურქეთის სოფელ ჰეკიმპანში, ლარიბი გლენის ოჯახში. ადრეული ბავშვობიდან ეპილეფსიის შეტევებით იტანჯებოდა. რვა წლისას მამა დაეღუპა და, მიუხედავად მცირეწლოვანებისა, ოჯახის გამოკვებზე ზრუნვა მას მოუხდა. ჯერ წყლის მზიდვად მუშაობდა, შემდეგ — მშენებლობაზე დამხმარე მუშად. გულჩათხრობილი ბავშვი იყო, მეგობრები თითქმის არ ჰყავდა, სამაგიეროდ მდიდარი ფანტაზია ჰქონდა და სკოლაშიც წარჩინებით სწავლობდა. ვანსაკუთრებით კარგად წერდა თხზულებებს. ამასთან, თვითგანათლებლაც ენდობდა. ბეჭეითობისა და ნიჭიერების წყალობით, სტიპენდიაც მოიპოვა პედაგოგიურ სასწავლებელში. სწორედ მაშინ პირველად მოხვდა პოლიციის განყოფილებაში ანტი-სომხური ლექების შეთხზვისთვის. კერპად კარლოსი (ცნობილი ტერორისტი ილიჩ რამიზის საჩუქარი, მეტსახელია «ტურა») და პიტლერი შეარჩია.

1978 წელს იგი სტამბულის უნივერსიტეტთან არსებულ ეკონომიკისა და ვაჭრობის უმაღლეს სკოლაში ჩაირიცხა. იმხანად თურქეთი სამოქალაქო ომის მიჯნაზე იმყოფებოდა, აქტიურად იქმნებოდა ტერორისტული ორგანიზაციები, რომელთაგან ერთ-ერთი — «რუხ მგლებში» ალი ალჯაც გაწევრდა. ეს 7-8-კაციანი ტერორისტული დაჯგუფება იყო, რომელსაც განსაკუთრებით რთული დავალებები ეკისრებოდა. არსებობს დაუდასტურებელი ვერსია, რომ ალი ალჯა ამ ელიტარულ ჯგუფში მას შემდეგ მოხვდა, რაც 1977 წელს თავისი ფილოსოფიის ლექტორი «მართებულად» მოკლა იმის გამო, რომ მან პიტლერი უკმბედად მოიხსენია.

ფართო საზოგადოებისთვის ალი ალჯას სახელი 1979 წლიდანაა ცნობილი. 1 ივლისს სტამბულში, კარაკალის ქუჩაზე, საკუთარი სახლის წინ მოკლეს პოპულარული თურქული აბი იპეჩი, რომელიც აქტიურად გამოდიოდა ტერორიზმისა და კერძოდ, თურქი მემარჯვენე ექსტრემისტების წინააღმდეგ. ამ მოვლენის შემდეგ «რუხ მგლებში» ალჯა №1 ტერორისტად შერაცხეს და «მართლაც მგელი» შეარქვეს. მკვლელის შესახებ ინფორმაციისთვის პოლიციამ ჯილდო — 200.000 დოლარი დაანება. მოკლე ხანში, ანონიმური ზარის შედეგად, ალჯა დააპატიმრეს. საგულისხმოა, რომ ჯილდოს მისაღებად არავინაც გამოცხადებულა. ტერორისტი სამარ-

თალდამცავებს არ შეინაღმდეგებია და საკმაოდ მშვიდადაც იქცეოდა. თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომელიც დაკითხვებს ესწრებოდა, იგი ასე დახასიათა: «ჭკვიანი ყმანვილია. იცის, რას აკეთებს და რას ამბობს. თურქეთის ტერორისტული ორგანიზაციები ასეთი საქმეებისთვის, ჩვეულებრივ, გაუნათლებელ ბანდიტებს ქირაობენ ხოლმე. ალჯა ერთ-ერთი მათგანი როდია. ძლიერი და გამბედავია, არაჩვეულებრივად გამოწვრთნილი და დისციპლინირებული. მაინცდამაინც არ ზრუნავს თავის დაცვაზე. ის უფრო ალელეებს, რომ მისი კავშირები არ გამოვლინდეს». ადვილი წარმოსადგენია, როგორ აფასებდნენ ამ კაცს «რუხ მგლებში» თუკი თავად მინისტრმა ასეთი სიტყვები წარმოთქვა.

თავდაპირველად ალჯამ აღიარა ჩადენილი დანაშაული, თუმცა მოკლე ხანში უარ თავისივე ჩვენება და განაცხადა, რომ თურქული არ მოუკლავს და არც იცის, ეს ვინ მოიმოქმედა. 1979 წლის 5 ნოემბერს ალი ალჯამ და კიდევ ერთმა პატიმარმა ხელთ ჩაიგდეს მძევლები და კარგად დაცული სამხედრო ციხიდან გაქცევას შეეცადნენ, თუმცა გაქცეულები დააკავეს და უკანვე დააბრუნეს. 22 ნოემბერს კი ექვსი ჯარისკაცის დახმარებით, სამხედრო ფორმაში გადაცმული ალჯა მაინც გაიქცა...

გაქცევიდან ოთხი დღის შემდეგ, თურქეთში რომის პაპის ჩამოსვლის წინა დღეს, გაზეთ «მილიეტში» გამოქვეყნდა ალი ალჯას მიერ ხელმოწერილი სტატია. ავტორი იტყობინებოდა, რომ განზრახული ჰქონდა «ჯვაროსნების ბუღალის, იოანე პავლე II-ის» მოკვლა. სამართალდამცავ ორგანოებს ამ სტატიისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ,



ალი ალჯა



თავდასხმის შემდეგ



ალჯა და პაპი

რადგან ის წვრილმან ხულიგნობად მიიჩნეს. და მართლაც, პონტიფიკოსის ვიზიტმა მშვიდად ჩაიარა. 1980 წლის აპრილში მართლმსაჯულების მიერ ძებნილი ალჯას აბდი იპეჩის მკვლელობისთვის დაუსწრებლად გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი. მაისიდან სექტემბრამდე ტერორისტი, ინდოეთის მოქალაქის იოჰინდერ სინგჰის სახელით ირანსა და ბულგარეთში იმალებოდა. მოგვი-

ანებით ცნობილი შეიქნა, რომ პაპზე თავდასხმის განხორციელებამდე იგი რომში, სოფიაში, ვენაში, ციურიხში, მილანსა ტუნისში იმყოფებოდა და ამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში 50.000 დოლარი დახარჯა. თუმცა, ვერ დადგინდა მისი კონტაქტები ამ პერიოდში. 1981 წლის მაისში ტერორისტი რომში ჩავიდა და ვატიკანის მახლობლად მდებარე პანსონატს «ისაში» ოთახი დაიქირავა.



საპაპში ტერორისტთან



რომის პაპი ხალხს ხვდება

1981 წლის 13 მაისს მომხდარმა ფაქტმა თავზარი დასცა პლანეტის ყველა კათოლიკეს. ოთხშაბათს — საერთო აუდიენციის ტრადიციულ დღეს რომში, წმიდა პეტრეს მოედანზე, წელი სვლით მოძრავ თეთრ ჯიპში მჯდომი პაპი შეკრებილ ხალხს ლოცავდა და ხელს ართმევდა. ავტომანქანამ მოედანს შემოუარა და მეორე წრეზე წავიდა. 17 საათსა და 19 წუთზე პაპმა ხელში აიყვანა პატარა ქერა გოგონა, წუთით გულზე მიიკრა და ბედნიერ მშობლებს უკან დაუბრუნა. იმავე წამს ავტომანქანის გვერდით შეკრებილი ხალხის გუნდიდან ზედიზედ ექვსი გასროლა გაისმა. პონტიფიკოსის თეთრ სამოსზე ნიღბმა ლაქამ გამოიჭინა და იგი თავის პირად მდივანს, ენისკოპოს სტანისლავ ჯივიჩს ხელგებში ჩაუვარდა. 9-კალიბრის ავტომატური ორი ტყვია პაპს მუცელში მოხვდა, მარჯვენა ხელის თითი და იდაყვი გაუკანრა. მცველები ავტომანქანას მისცვივნენ და უშალ ვატიკანისკენ გააქროლეს, სადაც პაპი საკაცზე დააწვინეს და ავუსტინო ჯემელის სახელობის ჰოსპიტალში გააქანეს. მანქანა კლინიკასთან 6 წუთში გაჩნდა. პონტიფიკოსი, რომელმაც გზაში 3 ლიტრამდე სისხლი დაკარგა, მამინვე საოპერაციო მაგიდაზე მოათავსეს. საბედნიეროდ, არც ხერხემალი და არც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვა ორგანოები დაზიანებული არ აღმოჩნდა.

ოპერაციიდან სამი დღის შემდეგ, იოანე პავლე II-მ, საკვირაო წირვისას, რომელიც პირდაპირ ჰოსპიტალში მიმდინარეობდა, თავის არშემდგარ მკვლელს «მა» უწოდა. 23 წლის ალჯა მამინვე დააკავეს, როგორც კი პონტიფიკოსის მანქანა იქაურობას გაეროდა. იოანე პავლესთან შეხვედრის დღეს მოედანზე იმდენი ხალხი იყო, რომ იქიდან გამოსვლა, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახლდათ. მკვლელმა იარაღის გადგებაც ვერ მოასწორო ხელიდან. იგი პოლიციამ წაიყვანა და წმიდა პეტრეს მოედანზე სიჩუმე ჩამოვარდა. ხალხი დაშლას არ ჩქარობდა — ზოგი მუხლებზე დაეშვა და ლოცვა დაიწყო, სხვები — ტიროდნენ.

1981 წლის 22-24 ივლისს რომში მიმდინარე სასამართლო პროცესზე ალი ალჯამ განაცხადა, რომ რომის პაპი მისი რელიგიის წინააღმდეგ გამართული ჯვაროსნული ლაშქრობის ბელადი იყო და ამიტომ პასუხს აგებდა ისლამის მიმართ დასავლეთის მიერ განხორციელებულ გამოსობებზე. იტალიის სასამართლომ თურქი ტერორისტი დამნაშავედ ცნო და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. სასჯელს იგი განცალკევებულ საკანში იხდიდა, სადაც 1983 წლის 27 დეკემბერს იოანე პავლე II მას პირისპირ შეხვდა. პაპმა არ ისურვა საუბრის შინაარსის საჯაროდ გახმაურება, ამიტომ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მან პატიმარს შეუწოდო. იტალიის ციხეში ჯდომისას

ალჯა პონტიფიკოსს სხვადასხვა დღესასწაულსა და ღირსშესანიშნავ თარიღებზე მისალოცებს უგზავნიდა და პასუხად მადლობას იღებდა. თუმცა იტალიის ხელისუფლება პაპისთვის სულგრძელი არ იყო და სურდა, სცოდნოდა, ვინ იდგა თავდასხმის უკან, რის გამოც ტერორისტის დაკითხვებს აგრძელებდა. ზოგიერთი მონაცემით, ალჯამ თავისი დანაშაულის 128 ვერსია წარმოადგინა, რომელთაგან ერთ-ერთის მიხედვით, პაპის მოკვლის ბრძანება სოფიაში, საბჭოთა საელჩოსგან მიიღო.

მოგვიანებით ალჯამ განაცხადა, რომ ეს ვერსია მას იტალიის სამხედრო დაზვერვის თანამშრომელმა მოახვია თავს. ამის შემდეგ კი დაკითხვაზე თქვა, რომ თანამონაწილე ჰყავდა — თურქული მათვის ნათლი-მამა სოფიაში, ბექირ ჩელენკი, რომელსაც კავშირი ჰქონდა გასამხედროებულ მასონურ ლოჯასთან — «პროპაგანდა 2».

ტერორისტი ჩვენებებს იქამდე ცვლიდა, სანამ 2000 წლის 13 მაისს, რომის პაპზე თავდასხმიდან 19 წლის შემდეგ, ე. წ. «ფატიმას მესამე საიდუმლო» არ გამოქვეყნდა. ლეგენდის მიხედვით, 1917 წლის 13 მაისს პორტუგალიის სოფელ ფატიმში სამ მწყემს ბავშვს ქალწული მარიამი გამოეცხადა და სამი წინასწარმეტყველება აუწყა. პირველი იმაზე მეტყველებდა, რომ ჯოჯოხეთი არსებობს; მეორე — პირველი მსოფლიო ომის დასასრულსა და მეორე მსოფლიო ომის დასრულების დანახვას, ასევე კაცობრიობის ისტორიაში რუსეთის როლის გაძლიერებას იუწყებოდა; მესამე წინასწარმეტყველება აღიხანდა იყო გასაიდუმლოებული — მის შემდეგ ჩანაწერები ვატიკანში იხანებოდა იქამდე, სანამ იოანე პავლე II-მ თავად არ მოინახულა ფატიმში ცოცხლად დარჩენილი მესამე მწყემსი. «ფატიმას მესამე საიდუმლო» კავშირით ხალხსა და იმ ეპისკოპოსზე იუწყებოდა, რომლის «თეთრი სამოსი სისხლით შეიღებდა». როგორც კი ეს ცნობა მედიაში გამოქვეყნდა, ალჯამ, რომელსაც მდიდარი ფანტაზია და ცინცხალი გონება ჰქონდა, თავისი დანაშაულის ახალი, მისტიკური ვერსია წარმოადგინა — საკანში პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ თავდასხმის დროს მას რაღაც «ზებუნებრივი ძალა» მართავდა, რომელმაც იგი თავის იარაღად აქცია...

რომის პაპმა არაერთხელ მიმართა იტალიის პრეზიდენტს — კარლო აზელინი ჩამოსვლას შეწყვეტის თხოვნით. 2000 წლის 13 ივნისს ტერორისტი შეინაღმდეგ და თურქეთის ხელისუფლებას გადასცეს. სამშობლოში მას 1980 წელს გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი 10-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს. ამას გარდა, მას კიდევ რამდენიმე წელი სასჯელი ემუქრებოდა სტამბულის ფატიმის შეიარაღებული ძარცვისთვის, მაგრამ ალჯა თავს მაინც ბედნიერად გრძნობდა.

2010 წლის 18 იანვარს ალი ალჯა, რომელმაც სრულად მოიხადა სასჯელი, გაათავისუფლეს. იმ დღესვე მან განაცხადა, რომ ახლოვდება სამყაროს აღსასრული და ამ საუკუნეში ხალხი დაიღუპება. ციხეში ტერორისტმა ქრისტიანობა მიიღო და ირწმუნებდა, რომ «მარადი იესო ქრისტეა» ამბობენ, რომ რამდენიმე წლის წინათ საპყრობილეში მას ფსიქიკური აშლილობა დაუდგინდა...

რის დაგაღვას ხდობოზს აშშ-ის ხენტრალური სადაზვერვო სამსართველო კოლეგიაში



კოლეგიაში
ასალი პრეზიდენტი
მანუელ სანტოსი

ვენესუელაში, ქალაქ ბარინიტასში
ახლახან კოლეგიაში დაზვერვის
(უსაფრთხოების ადმინისტრაციული
დეპარტამენტი) არაღვალური
რეზიდენტირა გაისხნა, რომელიც
ნაყინის ფაბრიკის — Makyelados-ის
საფარქვემ მუშაობდა. სადაზვერვო
ქსელის შეფი ორმაგი მოქალაქეობის
მქონე (კოლეგია და კანადა)
ლუის კარლოს კოსიო იყო. ფაბრიკის
ფურგონით პროდუქციის მიწოდება
ქვეყნის შორეულ კუთხეებში მას
ჯამშური საქმიანობის წარმოების
უნეკალურ შესაძლებლობას აძლევდა.
კოსიო ვენესუელის პოლიციამ
მას შემდეგ დააპატიმრა, როცა
სტრატეგიული მნიშვნელობის
ობიექტების ფოტოგრაფირებისას
მიუსწრო. გაჩხრეკისას რეზიდენტის
სახლში 100 ათასამდე ფოტო
აღმოაჩინეს, რომლებიც
თანამგზავრული კავშირით
კოლეგიაში იგზავნებოდა.
მასალა ცსს-სთვის იყო განკუთვნილი.



კოლეგიაში ყოფილი პრეზიდენტი ალვარო ურიბა,
ლომინიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ლომუნა
ფარნანდესი და პენესუელის პრეზიდენტი უგო ჩაპისი

უსაფრთხოების ადმინისტრაციული
დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ ქვეყნის
პრეზიდენტს ემორჩილება, აღვარო ურიბეს მმართველობის
ნლეში არაერთხელ აღმოჩენილა პოლიტიკური
და კრიმინალური სკანდალების ცენტრში.
ამ სამსახურის სწრაფი დეგრადაცია და მისი
კადრების დემორალიზაცია დიდწილად
გამოიწვია იმან, რომ დეპარტამენტის
ფაქტობრივად, პასუხისმგებელი იყო
ქვეყანაში მყოფი ცსს-ს რეზიდენტურის
წინაშე, რომლის მიზანსაც „კოლეგიაში
გეგმის რეალიზება წარმოადგენდა.
გეგმის მიხედვით, ნამოჭროლა იყო ერთობ
აბოციური ამოცანები: უმოკლეს ვადებში
მოელოთ ბოლო წარუმატებლობებისთვის,
შალუცინოგენების ტრაფიკის მინიმალური
მოხენიანთ აშშ-ში, გადაწყვეტი დარტყმა
მიეყენებინათ FARC-ისა და ELN-ის
მემარცხენე პატრიზანული დაჯგუფებებისთვის.

დეგაია! ამიტომაც უფლებათა
დამცველი ორგანიზაციების შემაშოთებელი ცნობები
კოლეგიაში გენოციდისა და მალული სახელმწიფო
ტერორის შესახებ აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ
იგნორირებული იყო, ხოლო უსაფრთხოების
სახელმწიფო დეპარტამენტისა და თავდაცვის
ულტრამემარჯვენე რაზმების დანაშაულებრივ
კავშირებზე დუმის ამჯობინებდნენ.
დეპარტამენტის აგენტურული
არხების მეშვეობით ინფორმაცია პარტიზანებისა
და ადგილობრივ მოსახლეობაში მათი თანამონაწილეების
შესახებ თავდაცვის ულტრამემარჯვენე
რაზმების მეთაურებს გადაეცემოდათ. სადამსჯელო
ოპერაციები დაუყოვნებლივ და დიდი სიხასტიკით
ხორციელდებოდა. გადამწვარი მიწების ტაქტიკა
ადგილობრივი მოსახლეობის — გლეხებისა და
ინდიელების წინააღმდეგ გამოიყენებოდა, რათა
პარტიზანებს დასაყრდენი პაზები არ ჰქონოდათ.

ბის დემონტაჟსა და უსაფრთხოების
ადმინისტრაციული დეპარტამენტის რეფორმირებით.
აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებზე
ყველაფერი დემოკრატების გამარჯვებაზე
მიუთითებდა, ამიტომ „საქმეების გადაცემა“
ჩქარობდნენ.
ასეთ დელიკატურ საკითხში
კოლეგიაში ხელმძღვანელობისთვის
სათანამშრომლოდ რომ ებიძგა,
თეთრმა სახლმა საკითხი წამოჭრა:
თავისუფალი ვაჭრობის შესახებ
ორმხრივი შეთანხმების მიღწევა
შეუძლებელია ულტრამემარჯვენე
რაზმების ლიკვიდაციისა და დეპარტამენტის
თანამედროვე სპეცსამსახურად
ტრანსფორმირების გარეშე.
გამოიყენეს ფინანსური ფაქტორიც:
დეპარტამენტი ვერ მიიღებს ტრადიციულ
დოკუმენტს „ცსს-ს ხაზში“ მანამდე,
სანამ მისი რეფორმირება არ მოხდება.
მანამდე ეს სახსრები კოლეგიაში
ნაციონალურ პოლიციას მოხმარდება.
პრეზიდენტ ურიბეს მაინც მოუხდა
ულტრამემარჯვენე რაზმების
(ტერორისტული ორგანიზაცია) საჩვენებელი „დემობილიზაცია“, რომლებმაც,
ვიდეოკამერების

ჩაკუნისა და ამერიკელი დიპლომატების
სიტყვიერი აკომპანიმენტის თანხლებით,
„არალი დაყარეს“ და მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდნენ.
მოგვიანებით გაირკვა, რომ პარამილიტარების მნიშვნელოვან ნაწილს უარყოფითი
კოლეგიაში, ნარკოტრაფიკისა და რეკეტის
მომგებიან საქმიანობაზე ისინი უწინდებურად
საბრძოლო მოქმედებათა რაიონებში
იმყოფებოდნენ და მეზობელ ქვეყნებშიც,
უნჩინესად, ვენესუელაში ძირგამომთხრელ
საქმიანობას ეწევიან.
ბოლივიური სპეცსამსახურებისთვის
კოლეგიაში პარამილიტარების მიერ აღ-
გომდებარეობის შეცვლა, ხშირად
დეგნილების სახით, ვენესუელის მომიჯნავე
სტატუსში ნიშნავს, რომ აშშ-ის სამხედრო
დაზვერვა და ცსს ვენესუელის მთავრობის
დამხობად მიზანმართულად ემზადდება;
ყალიბდება ბოვიკოთა არალეგალური
ბირთვები, რომლებიც „კრიტიკული
დეგნილების“ მიხედვით, რეჟიმის
დეგნილიზაციისთვის, გაერთიანებული
სოციალისტური პარტიის აქტივისტებთან,
პროფკავშირების მოღვაწეებთან,
გლეხური კოოპერატივების ხელმძღვანელებსა
და სამართალდამცავი ორგანოების
თანამშრომლებთან ანგარიშსწორებისთვის
გამოიყენება.
ამ „დეგნილიზაციის“ იდეურ-პოლიტიკურ
განწყობაზე მეტყველებს ის ფაქტი,
რომ კოლეგიაში საპრეზიდენტო არჩევნებში
საკონსულაციო არსებულმა საარჩევნო
კომისიებმა დააფიქსირეს, რომ ულტრამემარჯვენე
ძალეების კანდიდატს მანუელ სანტოსს,
ძირითადად, მხარს უჭერდა „დეგნილი“
ელექტორატი. ნუთუ ისინი თავიანთი
საათის მომლოდინე „მეხუთე კოლონა“?

ადგილობრივი პოლიტიკოლები ამ ფაქტზე კვლავაც მსჯელობენ. ბოლივიის მთავრობამ
ყველაფერი ილონა, რეპრესიებსა და ანგარიშსწორებას
გარიდებულ „კოლეგიაში“ ძმებსა და დებს“
აუცილებელი დახმარება და ვენესუელაში
დამკვიდრების უფლება რომ მიეღოთ. პარა-
დოქსული სიტუაცია შეიქმნა — „დეგნილებს“
დახმარების ხელი გაუნოდეს, მათ კი ხმა
ურიბეს „ფაქტობრივ დუბლიორს“ —
სანტოსს მისცეს. ეს ის სანტოსი გახლდათ,
რომელმაც ბრძანება გასცა, დემობილიზაცია
FARC-ის პარტიზანული ბანაკები ეკვადორის
ტერიტორიაზე, მეგობრულ კავშირებს
ინარჩუნებდა თავდაცვის ულტრამემარჯვენე
რაზმების მეთაურებთან და დიდი გავლენა
ჰქონდა უსაფრთხოების ადმინისტრაციის
დეპარტამენტის სტრუქტურებზე. ჰოდა,
როგორ უნდა გასჩენოდათ ნდობა ამ საეჭვო
დეგნილებს მიმართ, რომლებიც ბოლივიელებს
ზურგში ტყვიას ესროდნენ?
თუკი ულტრამემარჯვენე რაზმების
პრობლემა მეტროშია, „დემობილიზაცია“
და ვენესუელაში მათი გადასროლით
გადაწყდა, დეპარტამენტის რეფორმის
თან დაკავშირებით სერიოზული პრობლემა
შეიქმნა. პრეზიდენტი ურიბე ამ რეფორმის
განხორციელებას მოსახლეობას ჯერ კიდევ
2006 წელს ჰპირდებოდა, როცა მედიაში
გაჟონა ცნობებმა იმის შესახებ, რომ დეპარტამენტის
ხელმძღვანელ სტრუქტურებში შეთქმულებები
უარყოფითი გავლენა მოახდინებდა და მის
უახლოეს გარემოცვაზე თავდასხმას ამზადებდნენ.
სკანდალი მიჩქარა — ეს ისტორია „ვეგნილებს“
მოხატულს. ამავე დროს, სულ უფრო მეტად
აშკარავდებოდა დეპარტამენტის თანამშრომლების
უკანონო ქმედებები ნარკოტრაფიკის
სფეროში, პოლიტიკური კვლავილების ორგანიზებაში,
FARC-ისა და ELN-ის ხელმძღვანელთა მიერ
ნაციონალური შერიგების კენ გადადგმული
ნაბიჯების წინა დღეს განხორციელებულ
პროვოკაციულ აფეთქებებში. დეპარტამენტის
კავშირებსა და დისკრედიტაციის აგენტები
ბომბებს დებდნენ, ყუმბარებს ტყორცნიდნენ
ავტოპსებს, ხოლო პროამერიკული პრესა
ცილს სწამებდა მარქსისტ-ტერორისტებს.
დეპარტამენტის ბევრი სპეცოპერაციის
შესახებ ცსს-ს რეზიდენტურა წინასწარ იყო
ინფორმირებული, ხელს არ უშლიდა და ხშირად
მათი ინიციატივასაც კი ახდენდა. არასტაბილურობა
კოლეგიაში ამ ქვეყანაში აშშ-ის სამხედრო-
პოლიტიკური არსებობის გასამართლებლად,
„პოპულისტურ რეჟიმთან“ საბრძოლველად

იმედო პლაცდარმის შესაქმნელად,
„უმართავ“ ბრანზილიაზე გეოპოლიტიკური
ზენოლის მოსახდენად და შორეულ
პერსპექტივაში — ლათინურ ამერიკაში
ჩინეთისა და რუსეთის ექსპანსიის
აღსაკვეთად.

პოლიტიკოლებების ვარაუდით,
კოლეგიაში დაზვერვის „რეფორმის“
ცსს-ს მაკომპრომეტირებული
მასალები ამოიყენებენ. მაინც რის
დამალვას ლამობენ ამერიკელი
მზვერავები? იმის ხომ არა, რომ
კოლეგიაში პარტიზანულ ზონებში
განხორციელებულ მასობრივ
მკვლელობებში მათი ხელიც
ურევიდა? რომ ლათინური
ამერიკის ქვეყნებში ტერორისტული
აქციების ჩასატარებლად
უსაფრთხოების ადმინისტრაციული
დეპარტამენტის აგენტურასა
და საკადრო შემადგენლობას
იყენებდნენ? კოლეგიაში მათი
მეზობლებს: ეკვადორსა და ვენესუელას
შორის შუღლის გაღვივებას
ნამეტივებს ნამეტივებს ნამეტივებს
როგორ ასრულებდნენ?

ამჟამად დეპარტამენტს
6 ათასი თანამშრომელი
ჰყავს, არსებული აპარატურა
ერთდროულად 1700 სატელეფონო
ხაზის გაკონტროლების
საშუალებას იძლევა. დეპარტამენტის
არქივებში დახურული ინფორმაცია
ინახება 28 მილიონ კოლეგიაში
და 700.000 უცხოელზე. სპეცსამსახურების
ყოველწლიური ბიუჯეტი
1600 მილიონი დოლარია.

დეპარტამენტის რეფორმის
მისი ამჟამინდელი დირექტორი
ფელიპე მუნოს გომესი ამზადებს.
იგი საერთაშორისო ფინანსების
ავტორიტეტული ექსპერტი
გახლავთ და მჭიდროდ თანამშრომლობს
სანტოსის ოლიგარქიულ ოჯახთან.
ამასთან, ის ურიბეს მეგობარია.
მუნოსს აშშ-ის საელჩოში
თავისიანად მიიწვევენ. დეპარტამენტის
დირექტორმა უკვე მიიღო ცსს-ს
რეკომენდაციები რეფორმებთან
დაკავშირებით და შესაბამის
გადაწყვეტილებებსაც მიიღებს.
ამერიკელ სპეციალისტებს
შეუზღუდავად მიუწვდებიან
ხელი დეპარტამენტის არქივებს,
რომლებსაც, „ადამიანის უფლებათა
დაცვის“ თვალსაზრისით,
შეისწავლიან.

მუნოსის თქმით, სამუშაო ბევრია
და იმედოვნებს, რომ ამერიკელები
კოლეგიაში „განახლებული სადაზვერვო
სტრუქტურის“ შექმნაში დაეხმარებიან;
შერჩეული აქვთ სახელწოდებაც —
კოლეგიაში ცენტრალური სადაზვერვო
სააგენტო...

ვაშინგტონის სწრაფი შედეგები
სურდა და ამიტომ ყველანაირად უწყობდა
ხელს თავის მოკავშირეს წესების
გარეშე თამაშში. რა პრეტენზიები
უნდა წაყენებინათ პრეზიდენტ
ურიბესთვის, რომელიც ლოიალური და
იმედო იყო და დემოკრატიისა და
თავისუფლების მტრების წინააღმდეგ
საბრძოლველად ცსს-ს არსენალიდან
ყველაზე ეფექტურ, ანუ ყველაზე
დაუნდობელ მეთოდებს მიმართავდა?
ბუშის მმართველობისას ურიბეს
მთავრობის სისხლიანი ექსცესები
ვაშინგტონში ერთობ ბუნებრივად
აღიქმნებოდა: როცა ტყვას ჩეხენ, ნაფოტები
ცვივს! აქაოდა, პრაქტიკა გვიჩვენებს,
რომ შიდა ომებში მოსახლეობის მსხვერპლი
გარდაუვალია და ყველაზე
მთავარი მაინც შე-

„ბუშის ეპოქის“ მინურულს
ვაშინგტონში უყვარს დაინყეს
ზრუნვა თავდაცვის ულტრამემარჯვენე
რაზმების სტრუქტურე-



FARC-ის პარტიზანების ბანაკი ეკვადორის ტერიტორიაზე

«ორქოს მილიარდი» და ტერაქტებით გართული მსოფლიო

საერთაშორისო ტერორიზმი გლობალური პოლიტიკის ინსტრუმენტი. რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ის შესაბამისი სპეცსამსახურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურების მიერ სხვადასხვა სახის პრობლემების გადასაჭრელად იქმნებოდა. ევროპაში „ნითელი ბრიგადების“ ხელით ხორციელდებოდა არასასურველ პოლიტიკოსთა ლიკვიდაცია, აშშ-ის უშუალო მონაწილეობით შიიტური ირანის სანაინალმდეგოდ შექმნილი „თალიბანი“ (ბენ ლადენმა მომზადება ცხს-ს ცენტრებში გაიარა) ავღანეთში საბჭოთა ძალების წინააღმდეგ გამოიყენებოდა, ჩეჩნეთში მოქმედებენ ფორმირებები, რომლებმაც მომზადება სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გაიარეს და რუსეთში სიტუაციის დესტაბილიზაციისთვის გამოიყენებოდნენ. ასეთი მავალით კიდევ უამრავია. ტერორისტულ ორგანიზაციებს უშუალოდ სპეცსამსახურები მართავენ, ოღონდ არა პირდაპირი გზით, არამედ — არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით.



სოციალ-პოლიტიკური პრობლემების კომპლექსის შექმნას. გლობალური მართვის ცენტრები აუცილებლად შეცდებიან, ნებისმიერ ფასად ჩაითრიონ რუსეთი „საერთაშორისო ტერორიზმთან“ „კოლექტიურ“ ბრძოლაში.

მოვლენების განვითარების შესაძლო ვარიანტებია:

ისლამურ სამყაროს ანტიამერიკული დემონსტრაციების ტალღა მოიცავს და სულიერით ძიების მხარდაჭერით მოტივირებული ეს მღვდლები პაკისტანში გადატრიალებას გამოიწვევენ; ბირთვული იარაღი ექსტრემისტების ხელში აღმოჩნდება; შუა აზიის ქვეყნებში დაცხადდება იფეთქება; კონფლიქტში ჩაითრევენ ჩინეთსაც, რაც ამ ოპერაციის ერთ-ერთ უმთავრესი მიზანია. ამდენად, ჩინეთი აუცილებლად აღმოჩნდება შიდა კონფლიქტების ქარცხელშიც, რაც, თავის მხრივ, აუცილებლად გამოიწვევს ეკონომიკური განვითარების შეფერხებასა და ქვეყნის რამდენიმე წლით უკან დაბრუნებას. ეს კი ამერიკას ძალიან სჭირდება.

მსოფლიოში ტერორისტული ქმედებების ბოლო ათწლეულის ანალიზის შედეგად თანამედროვე ტერორიზმის შემდეგი თავისებურებები გამოიკვეთა:

ოპერაციების დაგეგმვა-ორგანიზების, ცალკეულ ჯგუფებსა და შემსრულებლებს შორის ურთიერთკავშირის მაკონტროლებელი გლობალური და რეგიონალური მმართველი ცენტრების ფორმირება;

პოლიტიკური თავშესაფრის უფლებების ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორისტთა დამაგრებისათვის გამოყენება; სახელმწიფოთა საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ძალიან სტრუქტურულში შეღწევა; მთავრობის სტრუქტურებში საკუთარი აგენტების მემკვიდრეობითი თანამოსამზადებელი, იარაღისა და საბრძოლო მასალების შესანახი ბაზების, ცენტრებისა და ქსელის შექმნა. ფორმების, კომპანიების, ფონდებისა და ბანკების მიმდინარე და დაგეგმილი ოპერაციების დაფინანსებისათვის გამოყენება;

ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ნარკობიზნესისა და იარაღთა ვაჭრობის ფართოდ გამოყენება;

ცალკეული ტერორისტული აქტების განხორციელებიდან მასშტაბურ აქციებზე გადასვლის ტენდენცია, რაც ტერორისტულ-დოქტრინული ომის ხასიათს იძენს და რომლის მიმდინარეობისას გავლენისა და ძალაუფლებისათვის ბრძოლის წარმატებულობისათვის ფართოდ გამოიყენება ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდები — საყოველთაო შიში საზოგადოებაში ანტიანთროპული განწყობის ჩამოყალიბების მიზნით.

დავალებების შემსრულებელთა ეროვნული ან რელიგიური კუთვნილება არ ადასტურებს, რომ ისინი კონკრეტულ სახელმწიფოს ან რელიგიურ მოძრაობას განეკუთვნებიან.

ამერიკულ ტერაქტებს ახასიათებს:

დაგეგმვის, მომზადებისა და განხორციელების უჩვეულოდ მაღალი დონე; მოქმედებათა უმაღლესი სინქრონიზაცია; წინსწრებითი თამაშები საფონდო ბირჟებზე და მათი გაუფასურების წინასწარმეტყველება;

ტერაქტების დემონსტრაციული ხასიათი; წერილობით დეტალურად

და გავლენილი საინფორმაციო მხარდაჭერა (მათ შორის წინასწარ დიდი ხნის მანძილზე ისლამური ფუნდამენტალიზმის სიმბოლოების წინა პლანზე წამოწევა);

ტერორისტების მომზადება როგორც თავად აშშ-ის, ასევე მსოფლიოს მთელი რიგი განვითარებული ქვეყნების ტერიტორიაზე. ყოველივე ეს რამდენიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა.

ჯერ კიდევ ტერაქტებამდე საზოგადოება მსოფლიო სისტემური კრიზისის ზღვარზე აღმოჩნდა, სოციალური წყობის არსებულმა მოდელმა ბოლომდე ამონურეს საკუთარი თავი, ხალხის მზარდი უკმაყოფილება კი ნელ-ნელა უკონტროლო ხდებოდა და „მსოფლიო ბოროტების“ განადგურებით იმუქრებოდა.

მსგავსი მასშტაბების დანაშაულის ჩადება, გამორიცხულია, ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციებიდან რომელიმეს მოეხერხებინა. სხვა ყველაფერს რომ თავი დაეხეობოთ, საუბარია ათობით მილიონ დოლარზე. მხოლოდ პილოტი-კამიკაძების მომზადება უზარმაზარ კაპიტალდაზიანებას და დროს ითხოვს. ამ ხნის მანძილზე კი ტერორისტული ორგანიზაციებისათვის, განსაკუთრებით აშშ-ის ტერიტორიაზე, ფულის გადახდის თაობაზე ინფორმაცია სპეცსამსახურებს უნდა მოეპოვებინათ. მით უფრო, რომ მათი აგენტები პრაქტიკულად ყველა მსგავს ორგანიზაციაში მუშაობენ.

იმის აღბათობა, რომ ესოდენ მასშტაბური აქციის განხორციელებას თუნდაც უსამაბენ-ლადენის „ალ-ქაიდას“ მსგავსი მდიდარი და ძლიერი ტერორისტული ორგანიზაცია შეძლებდა, უმნიშვნელოა. ერთადერთი, რისი მტკიცებაც შეიძლება, ტერაქტებში მისი მონაწილეობაა.

მომზადების ხასიათი და ოპერაციის ჩატარების დონე ერთადერთ ვარაუდს აჩვენს — 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები ისეთი საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მხარდაჭერით, როგორცაა ფედერალური საზღვარგარეო სისტემა, მსოფლიო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვა, რომელი-

დაც უძლიერესმა ტრანსნაციონალურმა სტრუქტურამ დაგეგმა და განახორციელა. ეს ირიბად დასტურდება მსოფლიო ფინანსური ელიტის ელვისებური და საოცრად შეჯერებული ქმედებებით ტერაქტების განხორციელებისთანავე; ასევე იმითაც, რომ ტერაქტს, პრაქტიკულად, არანაირი გავლენა არ მოუხდენია აშშ-ის ეკონომიკასა და ფინანსურ სისტემაზე.

აშშ-ის 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტები სხვა არაფერია, თუ არა მსხვილ-მასშტაბიანი პროვოკაცია, რომელიც შემდეგ მიზნებს ემსახურებოდა:

1. ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების პროცესის დაჩქარებას; გლობალური მანქანების ნებისმიერი პრობლემის მოგვარებისას „ორის მილიარდის“ კონცეფციის განხორციელება დემოკრატიიდან ძალიან ნებისმიერ (დექტატურა) გადასვლით; „უფლებების“ და „თავისუფლების“ შეზღუდვა განხორციელდება და უკვე ხორციელდება „საერთაშორისო ტერორიზმთან“ ბრძოლის აუცილებლობის ეგიდით. ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ აშშ-ის უარი, ხელი მოაწეროს უკვე არსებულ და სამომავლოდ შესაქმნელ ნებისმიერ შეთანხმებას, რომელთა მიხედვითაც საერთაშორისო სამართლის ნორმებით რეგლამენტირებული თანამედროვე მსოფლიო წესრიგი გაეგოს (რომლის ავტორიტეტის შელახვა ისევ და ისევ აშშ-ის ინსპირირებულია) ხელმძღვანელობით უნდა ხორციელდებოდეს.

ტერაქტებიდან მხოლოდ ერთი თვის შემდეგ აშშ-შიც და დასავლეთის უამრავ სხვა ქვეყანაშიც საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ეგიდით მიიღეს მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები, რომელთა საფუძველზეც სპეცსამსახურებს უფლებები და შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაუფართოვდა. მათ უფლება მიეცათ, გამოიყენონ საინფორმაციო ომის წარმოების მეთოდებიც.

თავად ის ფაქტი, რომ ამ ქვეყნებში მოსახლეობისა და პარლამენტების პანიკური მდგომარეობა სპეცსამსახურების გავლენის გასაზრდელად გამოიყენება, უკვე შეიძლება შეფასდეს, როგორც სა-

ინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზეწოლა;

2. პრინციპის „გათიშე და იბატონე!“ გამოყენებას საერთაშორისო საბანკო სტრუქტურების მიერ კონტროლირებადი და გლობალური პოლიტიკის ინსტრუმენტად ქცეული ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან „საერთაშორისო ტერორიზმის“ მცენების — „ტერორისტი №1“-დან არაბული ქვეყნების გრძელსაიამდე გაფართოებით;

3. მსოფლიო ფინანსური სისტემის კრიზისის პრობლემში, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის საერთაშორისო საბანკო კაპიტალის მიერ მასშტაბული მოგების მიზნების მიზნით. ეკონომიკის გლობალური მართვის ინსტრუმენტი ომია. ძალთა გაერთიანებისა და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ კოორდინირებული ბრძოლის ეგიდით გლობალიზაციის იდეების განხორციელების მნიშვნელოვანი დაჩქარება იგეგმება. ანტიგლობალიზატების ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და ტერორისტების ხელშემწყობებად გამოცხადდებიან;

4. გლობალური მონათმფლობელთა სისტემის სრულყოფას. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე არღანის „ოქროსი მილიარდის“ და დანარჩენი მილიარდების, ანუ მდიდრებისა და დარღობის შემოსავალთა დონების შორის სხვაობა არა მხოლოდ არ შემცირებულა, არამედ 1960 წლის თანაფარდობიდან (13:1) ახალ თანაფარდობამდე — 74:1-მდე გაიზარდა. გაეროს მონაცემებით, წინა საუკუნის შუა პერიოდშიდან ამ დრომდე სხვადასხვა პროდუქტის მოხმარების ჯამური მაჩვენებელი 6-ჯერ გაიზარდა, მაგრამ ამ გაექცხმაზე ბული მარჩვენებლის 86% პლანეტის მოსახლეობის ერთ მეხუთედზე მოდის, დანარჩენი ოთხი მეხუთედის, ანუ პლანეტის მოსახლეობის 80% საერთო პროდუქტის მხოლოდ 14%-ს მოიხმარს. მსოფლიო შემოსავლის წილი, რომელიც კაცობრიობის ღარიბი ნაწილი ხელშია, არა მხოლოდ მცირეა, არამედ კლებადი ტენდენციაც ახასიათებს. ამჟამად დედამიწაზე დაახლოებით 1,3 მილიარდი ადამიანი უკიდურეს

სიღატაკეში ცხოვრობს და აბსოლუტურად უქონელია. დედამიწაზე, დასავლური მდიდრული ვიტრინის გარდა, არსებობს სხვა სამყაროც, რომელიც მოშმილე მილიარდითაა დასახლებული. სიღატაკე და დისკრიმინაცია უდავოდ ხელს უწყობს ტერორიზმის განვითარებას, მაგრამ მისი უმთავრესი წარმომშობი ეს ვერ იქნება.

საერთაშორისო ტერორიზმის ფენომენის წარმოშობის უმთავრესი მიზეზი ყბადაღებული „ცივილიზაციათა შეჯახებაში“ ან კიდევ უფრო ყბადაღებული „ერთპოლარულობას“ თუ „მრავალპოლარულობაში“ კი არა, პლანეტა დედამიწაზე მსოფლიოს მოწყობის ორი ფუძემდებელი კონცეფციის შეჯახებაა. ეს კონცეფციებია: ბუნებასთან შესაბამისობაში, ყველა ხალხთა თანაცხოვრებისთვის მისაღებ პრობლემში ცხოვრების მოწყობის ჩანაფიქრის რეალიზაცია, ნებისმიერი ადამიანის მიერ მისთვის გენეტიკურად კოდირებული პოტენციალის რეალიზაცია. მსოფლიო წესრიგის დამყარებისას გლობალური ეკოლოგიური კრიზისის გამწვავება, როდესაც ადამიანები საკუთარი ხელით ანადგურებენ ბუნებას, ერთი ცხოვრობენ მეორეთა ხარჯზე და რეალიზდება „ოქროსი მილიარდის“ პარაზიტული პრინციპი. სწორედ ამგვარ კონცეპტუალურ განხორციელებას გაურბიან მთელი ძალით ექსპერტები, პოლიტოლოგები და მიმომხილველები.

შურისძიების ობიექტად ავღანეთის არჩევა (მით უფრო, რომ ტერაქტებში ბენ ლადენის მონაწილეობა მხოლოდ ვარაუდია) მთლიანად შეესაბამება აშშ-ის იმ გეოპოლიტიკურ სტრატეგიას, რომლის მიხედვითაც ევრაზიის კონტინენტი უნდა დაიშალოს, რუსეთი შუა აზიის ჩამომოდეს და არასტაბილური სიტუაციების, დაბალი და საშუალო ინტენსივობის ომების რაკალ-ტი მოექცეს. სახეზეა ამერიკული სტრატეგების მიერ საგანგებოდ მდგომარეობების გამოყენება მსოფლიო ბატონობის საკუთარი გეგმის რეალიზებისათვის. გარდა ამისა, მიზანით გაიყვანეს ზუსახელმწიფოების — რუსეთის, ჩინეთისა და ინდოეთის ხანგრძლივ კონფლიქტებში ჩათრევასა და ამით კონკურენტებისთვის არა მხოლოდ საომარი, არამედ ეკონომიკური და

ხალხის მასების ზეწოლით, მთელი რიგი მუსლიმანური ქვეყნების ხელი-სუფლებით ოფიციალურ მხარდაჭერას გამოუცხადებენ ავღანეთს, ეს კი პირდაპირი გზით გახდება ანტიტერორისტული კოალიციის მხრიდან მათზე იერიშის მიტანის საფუძველი. დარტყმების მთავარი მიზანი რეჟიმების ლიდერთა ფიზიკური განადგურება იქნება, ამის წყალობით კი რეგიონებში „მართვადი ქაოსის“ მდგომარეობა შეიქმნება და მართვის სისტემა უბრალოდ აღარ იარსებებს.

შესაძლოა, მოვლენები სხვა სტენარითაც განვითარდეს. შურისძიების პირველი დარტყმების შემდეგ აშშ მუსლიმანურ სამყაროში ოპოზიციონერი ძალების მხარდაჭერას შეეცდება და ამით სამოქალაქო ომებისა და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების პროვოცირებას განახორციელებს. შედეგად ხელისუფლებაში პროამერიკული რეჟიმები მოვლენ.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ მსოფლიომ საერთაშორისო ტერორიზმისა და მისი წარმოშობის მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლის კონცეპტუალური სიბრტყიდან პრაქტიკულზე გადაინაცვლა. ამ მიმართულებით კი საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობები არსებობს. მხოლოდ ერთობლივმა ძალისხმევამ შეიძლება შექმნას ნამდვილად ეფექტური უსაფრთხოების სისტემები როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე მთლიანად მსოფლიოსათვის.

ეს პრობლემა ვერ გადაიჭრება მხოლოდ სამხედრო-დალოვანი ან სპეცსამსახურების ქმედებითა და შესაძლებლობების სისტემებით. ის კონცეპტუალური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა დონეებზე გადაწყვეტას საჭიროებს.

დიდი გომარეთი

ფურცაქაძე

ზურტაქეტის ცენტრი ყოველთვის გომარეთი იყო და ასეც დარჩა. ალბათ, ამიტომ, რომ მთლიანად ზეგანს გომარეთის პლატოც ჰქვია. ბარათაშვილთა დიდი სახლის გაყოფის შემდეგ, 1536 წლიდან, ეს სოფელი იოთამ ბარათაშვილის შთამომავლებს ერგოთ, 1721 წლის საბუთების თანახმად კი დიდი და პატარა გომარეთი, ისევე, როგორც დასავლეთის მომიჯნავე 2 ურცევანი (ვფიქრობთ, ამჟამინდელი სარკინეთ-დედურბულახი და განახლება-ამბრალო), სადედოფლო სოფლებად ითვლებოდა. დედოფალს ეკუთვნოდა 48 გამოძვლები და 13 ბოგანო ყმა-კომლი, ბარათაშვილებს — 30-მდე გამოძვლები და 12 ბოგანო ყმა-კომლი. ყველის საფეშქაშოდ სოფლებს 41 მარჩილი და 30 კოდი აჯილდის ქერი ჰქონდათ შენერილი. პატარა გომარეთში, სადაც მღვდლისა და მამასახლისის მამულები იყო, ეს ხარკი არ იკრიფებოდა.



ზიგაშიანთა უბნის სტელეები

XIX საუკუნის ბოლოს გომარეთი უკვე დიდი დაბაა, სადაც 1898 წელს ილიასა და სხვა ეროვნულ მოღვაწეთა ძალისხმევით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლა გაიხსნა. ნარმოდიგინეთ, რომ უკვე 1905 წლიდან ამ სკოლაში 50 მოწაფე სწავლობდა. 1913 წელს გომარეთს ახალი მამასახლისი ჰყოლია... ჩვენი მეგობარი მიხეილ თეთრაძე სოფლის ერთ-ერთ შუკაში გვიჩვენებს ლოდს, რომელზეც წერია: „დიდი გომარეთის საზოგადოების კანცელარია. აშენდა რაზმაძის მამასახლისობის დროს 1913 წელს“. ეს ქვა კანცელარიის ძველი შენობის კედელში იქნებოდა ჩასმული.



ქუხის „ღვთისმშობელი“ და მისი რელიეფი

ამ წარწერიანი ქვის ზევით იწებდა სოფლის ერთ-ერთი უბანი შიბაშიანი (თუ შუბაშიანი), სადაც გომარეთის უძველესი ქრისტიანული ძეგლია (ანტიკური ხანის მონაპოვარზე არას ვამბობთ) აღმართული გზის პირას. ეს არის V საუკუნის სხვადასხვა სიმაღლისა და ფორმის 6 სტელა. ზოგიერთზე პალმეტებია გამოხატული, ზოგიერთზე — ყურძნის მტევნები და ბიბლიური სიუჟეტები. ამ დამდნარი რელიეფებიდან ერთ-ერთი ჯვარცმბა.

კაპიტლებს ეყრდნობა. ეკლესია შიგნით შელესილი და მოხატული ყოფილა. დარბაზის ჩრდილო-დასავლეთ მონაკეთში ადგილობრივი დიდგვაროვანი ქალბატონის ბარელიეფიანი საფლავის ლოდია.

ტაძრის უმთავრესი მხატვრული და ისტორიული ღირსება მისი სამხრეთის ფასადია. აქ, კარიდან მარჯვნივ, მზის საათია, ხოლო კარის თავზე, ოდნავ დასავლეთით, ჩუქურთმით ანი ქვა. ახლა, რაც შეეხება კარის ბალავარს: ეს არის სხვადასხვა წნული სამკაულით გარსემონიერი დიდი, ღია ვარდისფერი ლოდი, რომლის ცენტრში გამოსახულია წნული ჯვარი, ხოლო მარჯვენა კიდეში, მთელ სიმაღლეზე, ბიბლიური სიუჟეტი „იონა ნინასწარმოცხველის გადაყლაპვა და ამოფრქვევა ვეშაპის მიერ“. ბალავარის ქვედა მონაკვეთში, მთელ სიგრძეში, გაჭიმულ მედალიონებში სხვადასხვა ცხოველის ფიგურაა ჩანერილი.

ასომთავრული წარწერა, ჯვრის ორ მხარეს და კიდეებზე ბალავარის მარჯვნივ, კედელ-

ში ჩადგმულ ერთ ქვაზეა ამოკვეთილი. ბალავარის ლოდზე ასეთი ტექსტებია:

„ქრისტე ადიდე ღიპარიტ ერისთავთერისთავი და შვილი მათნი. ამინ!“ „სტეფანოს და მამასა და ყოველსა ერსა მათსა წმიდაო ეკლესიაო, სიგრილე ყვე დიდასა მას დედასა“. „სახელითა ღმრთისათა მას ზვიად მარუშიანი, მაშინ ესე ბალავარი დაიდვა ხელითა მიქაელ ხუცესსა გალატონისათა“.

როგორც ექვთიმე თაყაიშვილი დაასკვნის, ტექსტში ნახსენები აფხაზთა მეფე აფხაზ-ქართველთა მეფე გიორგი პირველია, ზვიად მარუშიანი კი ბიზანტიელებთან 1022 წლის ომში მონაწილე ქართველთა მხედართმთავარი ზვიად ერისთავი. ღიპარიტ ერისთავთ-ერისთავი ღიპარიტ III ბაღვაში უნდა იყოს, რომელიც ხსენებულ ომს შეენირა და გიორგი I-ის დიდი ნდობით სარგებლობდა. სტეფანოზი სასულიერო პირია, ხოლო მიქაელი — გალატონთა ხუცესი, ანუ უფროსი (ხუროთმოძღვარი).



მე. გიორგის ორნაშენი ეკლესია



სისუანთ უბნის ტაძრის ბალავარი

ჩარჩობულ ბალავარზე გოლოგოთის ღამაზე ჯვარია გამოხატული. აქვე, კარის წინ, ორი ძალიან საინტერესო საფლავის ქვა მხედრული წარწერებითა და გარდაცვლილთა ბარელიეფებით. ერთი საფლავი ეკუთვნის ვინმე სამადაშვილს, მეორე — ჩოქიას.

ეკლესიის მეორე კარი ჩრდილოეთ ნაგებობის ჩრდილოეთ კედელშია გაჭრილი. აქ წინვოვანის სამკაულეზო მოჩარჩობულ ბალავარის ქვაზე გამოხატულია ცხენოსანი წმ. გიორგი და ორი სხვადასხვა ფორმის ჯვარი. წმინდ გიორგის თავზე არის მოკლე ასომთავრული წარწერა: „წმიდა დიდმონაქმე“. ნარწერაა გადარჩენილი ამვე ჩრდილოეთ ნაგებობის დასავლეთ ფასადზე, ჯვარიანი კოშკების თავზე: „ქრისტე შეიწყალე მიქაელ და შვილი მისნი მონისენე“. საფიქრალია, რომ ეს მიქაელი ტაძრის შვილმკვდარი ქტიტორია.

ნარწერის თვალსაზრისით ძალიან საინტერესო ეკლესიაა შემონახული ე.წ. სისუანთ უბანში, რომელიც სამების სახელზე ყოფილა აგებული. ეს არის რუხი ტუფის ჩინებულად დამუშავებული დიდი კვადრებით ნაგები და უსახურავოდ დარჩენილი ტაძარი, რომლის სამხრეთ კედელთან ჯერ ისევე დგას გრძელ ლოდში ამოკვეთილი ემბაზი. აღმოსავლეთ სარკმელს თავზე აქვს ნატიფი, ჯვარიანი ნარბი. შიდა სივრცე ლოდაა და, ფასადების მსგავსად, კედლები აქაც თლილი ქვისაა. დარბაზში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პილასტრების კაპიტლები უცნაური გაფორმება.

საყდრის ერთადერთი სამხრეთი კარის ბალავარზე არის ასომთავრული წარწერები: „ქრისტე ადიდე სული დიდი ღიპარიტ ერისთავისაი“; „ქრისტე მეუფეო დიდებისაო, ადიდენ ღიპარიტ ერისთავთ-ერისთავი და შვილი მისნი“; „სახელითა ღმრთისა დაიდვა ბალავარი ესე, ადიდენ ღმერთმან, ერისთავთ-ერისთავის ღიპარიტის უფლებასა. ქორონიკონი იყო სნდ“ (ე.ი. 1034 წელი).

ეს ღიპარიტი ღიპარიტ IV ბაღვაშია. როგორც „კუხის ღვთისმშობლის“, ისე ამბრალოს „ელოების“ და „სისუანთ სამების“ წარწერები ნათლად გვეუბნებიან, რომ XI საუკუნის ათიანი წლებიდან ბაღვაშიები თრიალეთისა და ზურტაქეტის უცილო პატრონები არიან და გამოთქმული ექვი, რომ ბაგრატი III-ის მიერ თრიალეთიდან გაძევებული ბაღვაშთა სახლი მხოლოდ 40-იან წლებში დაბრუნდა უკან, სწორი არ არის.

გომარეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში, რომელსაც ხიზანანთ უბანი ჰქვია, დგას XIV საუკუნის კოხტა, ალდგენილი, ეკლესია, რომლის სამხრეთ ფასადის დასავლეთ კუთხეში არის მხედრული წარწერა. მასში ნათქვამია, რომ ალდგომის სახელობის ეს ეკლესია შეუკეთებიათ ვინმე მეუნარგსა და შალვას. პალეოგრაფიულად წარწერა დაახლოებით XVIII საუკუნისაა. ამ ტაძრიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 3 კილომეტრში, ე.წ. ჭოჭიანის ხევის მახლობლად, მშენიერ გარეშე, დგას ასევე მშენიერი ნაგებობა, რომელიც სეიფანთ საყდრის სახელითა არის შემორჩენილი. სეიფანთ საყდარი უმეტესად დაუმუშავებელი ლოდებითაა ნაგები, რის გამოც წყობა ქაოსურია. გამოწაკლია კამარა, რომელიც იმეათის სიხუსტით და სიფაქიზით გათლილი ფილებითაა შეკრული. მისი დამჭერი თალები იმპოსტებს ეყრდნობა. დაახლოებით 7 მეტრის ტაძარს პილასტრები არ აქვს. კამარის, სამხრეთ და დასავლეთ კედლების ნაწილი მორღვეულია. აქვე გვხვდება ილილი კარის ბალავარი, რომლის რელიეფურ თაღებში, ჯვართან ერთად, ასომთავრული ქართული გრაფიკული ნაკვეთი შეინიშნება. მის გვერდით დევს ქვაჯვრის პროფილირებული ბუნის ქვა, რომლის ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერიდან მხოლოდ ეს იკითხება: „სხუცეს...საბა“. სანაცვლოდ სრულიად იკითხება ტაძრის აღმოსავლეთ ფრონტონში ჩასმული მოჩარჩობული ქვის 6-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „თამარ ღმრთისა სწორის სამლოცველი. ქრისტე, შეუნდვენ შიოსა და ძმანი მისნი პეტრე და სვიმონი, რომელთა ალაშენეს ეკლესია ესე. პეტრეს შეუნდვენ ღმერთმან“. დასკვნა ასეთი შეიძლება იყოს: ამ ადგილას მდგარი ძველი ეკლესია თუ ქვაჯვრები (მათგან ერთ-ერთის ბაზისი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეშია ჩადგმული) თამარ-მეფის მოულოცავს. სწორედ ამას უნდა მოჰყოლოდა ძველი სალოცავის ალდგენა-გაფართოება ანდა სულაც ახლის აგება.

საკითხავია, ეს ხომ არ არის ატოციის ის ტაძარი, რომელიც XVIII საუკუნის ზურტაქეტის სოფლების ჩამონათვალშია ნახსენები გომარეთის მახლობლად? ასეა თუ ისე, ჭოჭიანთ ხევის ეს საყდარი 1184-1212 წლებშია აგებული.

გალა ქოჩიაშვილი
ავტორის ფოტოები



სეიფანთ უბნის ტაძარი და მისი წარწერა

ოკეანის ყველაზე დიდი ბინადრები

დღემდე მიაჩნიათ, რომ ხმელეთის ყველაზე დიდი ბინადარი აფრიკული სპილოა, თუმცა ეს გოლიათიც კი ვერ შეედრება ოკეანის ბინადრებს.



ლურჯი ვეშაპი ძუძუმწოვართა კლასს განეკუთვნება. თევზებისგან განსხვავებით, მას ჰაერი სჭირდება, ამიტომ დროდადრო ამოყვინთავს ხოლმე, რომ ჩაისუნთქოს. ამ სახეობის ყველაზე დიდი წარმომადგენელი სიგრძით 30 მ-ს აღწევს და 150-160 ტონას იწონის. ასე რომ, ლურჯი ვეშაპი აფრიკულ სპილოს სიდიდით ოცჯერ აღემატება.

რული მტაცებელი არაა, პლანქტონებით იკვებება.

ყველაზე დიდი თევზი კი ვეშაპის მსგავსი **ზვიბენია**, რომელიც სიგრძეში 18 მ-ს აღწევს და 40 ტონამდე იწონის. ეს თევზი ხორცისმოყვა-

რული მტაცებელი არაა, პლანქტონებით იკვებება. ყველაზე დიდი რეპტილია ოკეანეში ბინადრობს — ეს ორმეტრ-ნახევრიანი **ტყაპ-ვაზარი კუბა**, რომელიც ნახევარ ტონამდე იწონის.

2 კმ სიგანის, 1 კმ სიგრძისა და 200 მ სიმაღლის მღვიმე **კუნძულ ბორნეოზე**, ილის ნაციონალურ პარკში მდებარეობს. ის 1980 წელს აღმოაჩინეს. მანამდე მსოფლიოში ყველაზე დიდ მღვიმედ ლმერთ რუმის გამოქვაბული (დიდი ოთახი) მიიჩნეოდა. ის ამერიკაში, ნიუ-მეხიკოს შტატში, მდებარეობს და მისი სიგრძე 550 მ, ხოლო სიმაღლე 77 მ-ია.

ტორკოდა-კარლისტაში (ჩრდილოეთ ესპანეთი) 1959 წელს აღმოაჩინეს მღვიმე, რომელიც, მართალია, სიგრძით პატარაა, მაგრამ სიმაღლეში 300 მ-ს აღწევს.

გამოქვაბულთა ყველაზე გრძელი სისტემა აშშ-შია. კენტუკიში მდებარე **ფლინტ-რიჯის სისტემას** 5 დონეზე განთავსებული მღვიმეები განეკუთვნება, რომელთა საერთო სიგრძე 228 კმ-ია.

უდიდესი მღვიმეები



ყველაზე უჩვეულო ანდერძი

ყველაზე უხამსი ანდერძი მარსელელმა ხარაზმა დატოვა. მის მიერ დაწერილი 123 სიტყვიდან 94-ის წარმოთქმა მეტ-ნაკლებად შეუძლებელია წესიერ საზოგადოებაში.



ყველაზე მოკლე ანდერძი ლონდონელ ბანკირს ეკუთვნის. ის სულ სამი სიტყვისგან შედგება: „მე მთლიანად გავეკოტრდი!“

ფერმერმა თავის ცოლს 100 ლივრი უანდერძა, მაგრამ ბრძანა, რომ, თუ იგი გათხოვდებოდა, ამ თანხას კიდევ 100 ლივრი დაემატებოდა, რადგან იმ საბრალოს, ვინც მისი ქმარი გახდებოდა, ფული უთუოდ დასჭირდებოდა.

კოსის — ნილს ბგორის ლაბორანტს ეკუთვნის. ანდერძში იმდენად ბევრი სპეციალური ტერმინი და რთული ფრაზოლოგიური გამოთქმა იყო, რომ მის გასაშიფრად ექსპერტ-ლინგვისტთა გამოძახება დასჭირდა.

ყველაზე მეტი ნაღდი ფული, რომელიც ერთმა კაცმა მემკვიდრეობად დატოვა, ჰენრი ფორდის მიერ 4157 სასწავლო და საქველმოქმედო დაწესებულებისათვის წაანდერძევი 500 მლნ დოლარი იყო.

ყველაზე ცნობილი ანდერძი ალფრედ ნობელმა შეადგინა. ის ნათესავებმა გაასაჩივრეს, რადგან მხოლოდ ნახევარი მლნ კრონი ერგებოდათ, ხოლო დანარჩენი 30 მლნ სახელგანთქმული ნობელის პრემიის დაწესებას მოხმარდა.

ყველაზე გასაიდუმლოებული ანდერძი მილიარდერ-

მა მიშელ როტშილდმა დატოვა. მასში ნათქვამია: „კატეგორიულად და ერთმნიშვნელოვნად ვკრძალავ ჩემი ქონების აღწერას, მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სასამართლო ჩარევასა და ქონების ოდენობის გამოქვეყნებას“. ასე რომ, ქონების რეალური ღირებულება დღემდე უცნობია.

ყველაზე დიდი ქონება, რომელიც ძალს უანდერძეს. ამ ანდერძს უკავშირდება ყველაზე სულელური ისტორია მემკვიდრეობის შესახებ. მილიონერმა და კინოპროდიუსერმა როჯერ დორკასმა 65 მლნ დოლარი თავის საყვარელ ძალს მაქსიმოლიანს უანდერძა, ცოლს კი მხოლოდ ერთი ცენტტი დაუტოვა. მაგრამ ქვრივი არ დაიბნა და ცოლად გაჰყვა ძალს, რომლის სიკვდილის შემდეგაც მთელი ქონება დარჩა.

ყველაზე გრძელი ანდერძი აშშ-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამამ თომას ჯეფერსონმა შეადგინა. ქონებასთან დაკავშირებული მითითებები დოკუმენტში ამერიკის ისტორიის განხილვას ცვლიდა. ჯეფერსონის მემკვიდრეები ამ ანდერძის მიხედვით თავიანთ წილს მხოლოდ იმ პირობით მიიღებდნენ, თუ მონებს გაათავისუფლებდნენ.

ყველაზე სანყენი ანდერძი. შუა საუკუნეებში ერთმა

უბრალო ავტომანქანა

უგრძეს ავტომანქანად, რომელიც ოდესმე შეუქმნიათ, **26-საბურავიანი ლიმუზინი** მიიჩნევა, რომლის სიგრძე 30.5 მ-ს აღწევს. მისი დამპროექტებელი ჯეიმზ ორბერგია, ქალაქ ბერბანკიდან (აშშ, კალიფორნიის შტატი). ამ ავტომანქანას, ძირითადად, ფილმების გადაღებისას იყენებენ და გამოფენებზე არჩვენებენ. მანქანაში, სხვა უამრავი რამის გარდა, განთავსებულია ტრამპლინიანი საცურაო აუზი და უზარმაზარი წყლისღებიათი საწოლი.




ყველაზე უჩვეული დასახლებული კონკალი

ყველაზე შორეული დასახლებული კონკალი ატლანტის ოკეანის სამხრეთ ნაწილში 1506 წლის მარტში აღმოაჩინა პორტუგალიელმა ადმირალმა ტრიშტან დე კუნიამ. მისივე სახელობის კონკალის ფართობი 98 კვ.მ-ია. პირველი მოსახლე თომას კარი იყო, რომელიც აქ 1801 წელს ჩამოვიდა. კუნძულ კრისტან დე კუნიის ანექსია 1816 წელს დიდმა ბრიტანეთმა მოახდინა.




ყველაზე უჩვეულო ქუჩები



სან-ფრანცისკოში **ლომბარდის ქუჩა**, რომელიც 27-გრადუსიან გორაკს წარმოადგენს და 8 სახიფათო მოსახვევი აქვს, ამერიკის **ყველაზე დაკლანძილი ქუჩაა**. 2001 წელს ხელისუფლებამ მასზე ავტომანქანებისათვის მიმოსვლის გაუქმება დააპირა, მაგრამ შემდეგ გადანყვიტა, ცალმხრივი მოძრაობა დაეტოვებინათ.



ყველაზე დამრეცი ქუჩა ახალი ზელანდიის ქალაქ დუნედინშია. ის ადგილმდებარეობის თავისებურებების გაუთვალისწინებლად გაიყვანეს.




ყველაზე ვიწრო ქუჩა კინგლისის ქალაქ ქალსთაუნშია, სადაც ადამიანიც გაჭირვებით გაივლის.



მსოფლიოში **ყველაზე ძველი „ქუჩა“** ეგვიპტეშია და პირამიდებისკენ მიემართება. ის 4.600 წლის წინათაა აგებული. მარშრუტი ბაზალტის უძველეს კარიერს აკავშირებდა ტბასთან, რომელიც ნილოსს უერთდებოდა.



ლონდონში მდებარე **სეინდონის ქუჩა** აცაბაცა გზაჯვარედინს ჰგავს, თუმცა სინამდვილეში გასაოცრად ფუნქციურია და ტრანსპორტის გამართულ მოძრაობასაც უწყობს ხელს.



მსოფლიოში **ყველაზე ფართო ქუჩა** ბუენოს-აირესში მდებარეობს. მისი სიგანე 300 ფუტია და მის გადაკვეთას რამდენიმე წუთი სჭირდება.

ყველაზე სახიფათო გზები



ლა პაზადან კოროიკოსკენ მიმავალი გზა ბოლივიის ანდეზების ქედზე, უფსკრულის პირას გადის, რომლის სიმაღლე 3600 მ-ს აღწევს. ეს ყველაზე სახიფათო გზა მსოფლიოში და იმდენად ვიწროა, რომ ორმა ავტომანქანამ შესაძლოა ერთმანეთს გვერდიც ვერ აუქციოს. აქ ავარიები ყოველდღე ხდება და წელიწადში საშუალოდ 150-200 კაცი იღუპება.



გულიანის გზა 1200-მეტრიან ქვის გვირაბს წარმოადგენს, რომლის სიგანეც სულ 4 მ-ია, სიმაღლე კი 5.30 მ. აქ განათება არაა, რაც მგზავრობას უაღრესად სახიფათოს ხდის.

ტურისტული ბილიკი სიანში მსოფლიოში ყველაზე საშიშ ქვეით მარშრუტს წარმოადგენს. ბილიკი ჰუანშანის მთის მწვერვალისკენ მიემართება. ადგილ-ადგილ ამ გზაზე ტურისტებს დიდი სიმარჯვის გამოჩენა მართებთ. ტიბეტის, ნეპალისა და ბანგლადეშის მთიანი გზები, ასევე, ყველაზე სახიფათო ტრასებია. აქ ძალზე ხშირია მენჯერი და ლოდების ცვენა.



ყოველდღე მსოფლიოში საშუალოდ 33 ახალი პროდუქტი იქმნება, მათგან 13 სათამაშოა.



დისნეიმ წარმატებას იმითაც მიაღწია, რომ თავის დროზე ხელშეკრულება გააფორმა იმხანად ფერადი ფირების ერთადერთ მწარმოებელთან. რამდენიმე წლის განმავლობაში დისნეი ერთადერთი იყო, ვისაც ფერადი ფირის გამოყენების უფლება ჰქონდა.

ყველაზე სინტეზის ფაქტები კოეჩინაზე



1979 წელს ნაპოლეონ ბონაპარტმა შესანიშნავი რეკლამა გაუკეთა ნაციონალურ ვალუტას, როცა ხმა გაავრცელა, რომ ერთ-ერთ ნაფრანკიან მონეტაში მილიონი ფრანკის საბანკო ჩეკია...

ახალი პროდუქტის — კარტოფილისადმი ნეგატიური დამოკიდებულება საფრანგეთში მარტივად და ქმედითად შეცვალეს: მინისტრმა ტიურგომ განკარგულება გასცა, კარტოფილის მინდვრების გარშემო მცველები დაეყენებინათ. „რაკი იცავენ, ესე იგი, ძვირფასია,“ — გადაწყვიტა ხალხმა.



ავიაკომპანია American Airlines-მა 1987 წელს 40.000 დოლარის ეკონომია გასწია, როცა პირველი კლასისთვის გათვალისწინებული სალათის თითოეულ ულუფას თითო ზეთისლილი დააკლო.



მსოფლიოში სამი ყველაზე ძვირადღირებული მარკა „მალბორო“, „კოკა-კოლა“ და „ბუდვაიზერია“. ამ სამიდან ორი ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტის ანარქოებს. სხვათაშორის, კომპანია „მალბოროს“ პირველი მფლობელი ფილტვების სიმსივნით დაიღუპა.

ყველაზე უჩვეულო სასმელები




მესკალი (მექსიკა). ამ სასმელში აგავას წვეწვანს ან მუხლუხი ემატება. მისი დეგუსტაციისას სიფრთხილეა საჭირო, რადგან „მატლს“ ჰალუცინაციების გამოწვევა შეუძლია. მესკალის გასინჯვა მსოფლიოს ნებისმიერ ბარშია შესაძლებელი.



ლუდი „პიცა“ (აშშ). სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ ბოთლში ლუდიცაა და პიცაც. ამ ლუდის დასამზადებლად სოლოდში ნიორს, ორეგანოს, პომიდორსა და რეჰანს ამატებენ. ლუდი „პიცას“ შექმნა ილინოისის, ინდიანის, ვისკონსინისა და პენსილვანიის მაღაზიებში შეიძლება.



არაყი „O2“ (დიდი ბრიტანეთი). ხორბლისა და ქერის სოლოდის ნაზავისგან გაკეთებული არაყი „O2“ რამდენჯერმე იფილტრება სპეციალურ თუჯის ჭურჭელში, რის შედეგადაც საიდუმლო ტექნოლოგიით გაზი ემატება. შედეგად, შუშხუნა სასმელი მიიღება.



გველის ღვინო (ვიეტნამი). ამ ღვინოს დასამზადებლად ცოცხალი კობრას ნაღველს ბრინჯის ღვინოში ურევინებ. ტრადიციულად, ეს მომწვანო-მოშავო ნაზავი აპერიტივის სახით იმ კერძებთან ერთად მიაქვთ, რომლებიც გველისგანაა მომზადებული. ეს სასმელი ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოდ მიიჩნევა და მისი შექმნა მთელ ვიეტნამშია შესაძლებელი.

იოგურიტო (იაპონია). ეს ცხარე, იოგურტზე დამზადებული ლიქიორი შეიძლება ჰოლანდიაში ანარქოონ და საფრანგეთში ჩამოსახან, მაგრამ მხოლოდ იაპონიაში იყიდება. ზოგჯერ იოგურიტოს ფორთოხლის ან ანანასის წვეწვანს ურევინებ. სასმელი იაპონიის ბარებში, რესტორნებსა და მაღაზიებში იყიდება.

ხელიკების ღვინო (ჩინეთი). ხელიკებს, ჩვეულებრივ, ჰეკონებს, ბრინჯის ღვინოში ან ვისკიში ათავსებენ 10 დღიდან ერთ წლამდე ვადით. მიიჩნევა, რომ ასეთი ღვინო სამკურნალო თვისებებისაა და სიმსივნეს, ართრიტს, წყლულსა და სხვა დაავადებებს არჩენს. მისი ყიდვა მთელ ჩინეთშია შესაძლებელი.



ჩიჩა (პერუ). ჯერ კიდევ იწყების დღესასწაულებსა და რიტუალებში გამოყენებული ჩიჩა დღესაც ტრადიციულად მზადდება — ქალები სიმინდის მარცვლებს ლეჭავენ და რბილობს თბილი წყლით სავსე მათარაში აფურთხებენ, სადაც ის დუღილს იწყებს. მიღებული მოყვითალო-რძისფერი სითხე სტუმრისთვის პილჩეს გოგრებით მიაქვთ. ზოგ რეგიონში სასმელში იუკას, ბანანებსა და ანანასებს ამატებენ. ჩიჩას გასინჯვა ანდეზის სოფლებში, უესკოსა და ლიმაში, ჩიჩერებიში შეეძლება.



ყავის ლუდი (ჰავაის კუნძულები). ამ სეზონურ ლუდში, რომელსაც ლუდსახარში კომპანია „კონა“ ანარქოებს, ალკოჰოლი და კოფეინია შეზავებული. ლუდი ასპროცენტინი ყავის — კონასგანაა მომზადებული და ჰავაის ბარებში იყიდება.

კინარი (იტალია). მიჩნეულია, რომ ეს სამკურნალო აპერიტივი უებარი საშუალებაა თანამედროვე ცხოვრების დაძაბულობასთან საბრძოლველად. ის არტიმოკებისგან მზადდება, რომლებსაც 13 სახის ბალახეული ემატება. კინარი მთელ მსოფლიოში იყიდება.

„ღლა პირველი, ღლა უკანასკნელი“ აპერიკულად



კალიფორნიის შტატის ქალაქ რედლენდსში პენსი- აზე გავიდა აშშ-ის ფოსტის უზუცესი თანამშრომელი, 95 წლის ჩასტერ რიდი. მან ფოსტაში 37 წელი იმუშა- ვა და ამ ხნის მანძილზე არ გაუცდენია არც ერთი სა- მუშაო დღე, არც ერთხელ არ უსარგებლია საავადმ- ყოფო ფურცლით. მტკიცე ჯანმრთელობის მიზეზად აშშ-ის უზუცესი ფოსტალონი თავის განსაკუთრებულ დიეტას მიიჩნევს. დიეტაში მთავარი პროდუქტი საზამ- თროა. როგორც რიდი ამბობს, ადამიანები ხშირად რომ მიირთმევენდნენ საზამთროს, ექიმები საჭირონი აღარ იქნებოდნენ. ახლა პენსიონერი ფოსტალონი მსოფლი- ოს ირგვლივ სამოგზაუროდ აპირებს წასვლას და, რაც მთავარია, ას წლამდე სიცოცხლე აქვს გადარწმუნებული; მოგზაურობაში 59 წლის შვილი რიჩარდიც მიჰყავს. უახლოეს მომავალში მამა-შვილი ირლანდიას, შვე- დეთს, ნორვეგიასა და რუსეთს ენგევიან.

ბრიტანელს კუ გაეჩხათ



სახლიდან გაქცევადნა ორი წლის შემდეგ კუ თავი- სი პატრონების საცხოვრებელიდან ორ-ნახევარი კი- ლომეტრის დაშორებით იპოვეს. ბრიტანეთის ესექსის საგრაფოში მცხოვრებმა ტიბლების ოჯახმა ბალკანურ- ი კუ სახელად ლოტი 2008 წელს თავის ქალაქგარეთ მდებარე სახლში წაიყვანა, მაგრამ ორი დღის შემდეგ ცხოველი უკვლავ გაქრა. პატრონებმა დიდხანს ეძე- ბეს ლოტი, მაგრამ აბსოლუტურად უმედეგოდ. მიუხე- დავად იმისა, რომ კუს სხეულში ჩადგმულ მიკროჩიპზე მისი და მისი პატრონების შესახებ მთელი მონაცემები ინახებოდა, ოჯახს კუს შესახებ რაიმე ცნობა არ მიუ- ლია. ლოტი გაქრობიდან 22 თვის შემდეგ გამოჩნდა. ის ვეტერინარებმა იპოვეს, შესაძლებლად სამედიცინო ცენტრში წაიყვანეს და მიკროჩიპიც მამინ აღმოაჩინეს. ცხოველი პატრონებს დაუბრუნეს.

ჯადოქრობის ლოკი უეაღლეს ჩაღაი



უკრაინის პარლამენტი „ჯადოქრული საქმიანობის“ ამკრძალავ კანონს განიხილავს და დეპუტატებმა იმ- დენი ილაპარაკეს ჯადოქრებზე, რომ უკვე ყველა კუთხე-კუნჭულში ელანდებოდათ. ელანდებოდათ თავად რა- დაშიც. მაგალითად ერთ-ერთმა დეპუტატმა ვალერი დებილიმა განაცხადა, რომ კანონპროექტს უმაღლეს რადაში „გარკვეული ძალები“ ეწინააღმდეგებიან.

დეპუტატის თქმით, კანონის განხილვის ყველა ვადა ამოიწურა. მისი წინააღმდეგნი არიან არა მხოლოდ ექ- სტრასენსები და მკითხველები, არამედ ის ტელეარხებიც, რომელთა ეთერში დიდი პოპულარობით სარგებლობს გადაცემები ეზოთერის თემაზე. უკრაინის ასტრო- ლოგთა კონგრესი კანონპროექტის ტექსტიდან სიტყ- ვა „ასტროლოგის“ ამოღებას მოითხოვს, უკრაინელი მკითხველები, მაგები და ექსტრასენსები პროფკავში- რებს ქმნიან და საკუთარ თავზე იღებენ როგორც და- რეგისტრირებული წევრების უფლებების დაცვას, ასე- ვე ახლების ატესტაციას.

მსოფლიოს სახადი: აშშ, როგორც «არსებობს სხეული»



ამერიკის წარმატებულობის საიდუმლო პროპაგანდაა. რეალურად არსებული მდგომარეობა რომ სააშკარაოზე გამოვიდეს, მისი ბრწყინვალეობიდან კვალაც კი აღარ დარჩება და ნაქებ-ნადიდები ზესახელმწიფოს ნაცვლად მსოფლიოს ხელში „არსებობს სხეული“ შერჩება. თავის ე. წ. წარმატებას აშშ სამ რამეს უნდა უმაღლოდეს: 1. უზარმაზარ მიწებსა და ბუნებრივ რესურსებს, რომლებიც მას შემდეგ ჩაიგდო ხელში, რაც სასტიკად გაუსწორდა ადგილობრივ მოსახლეობას; 2. ევროპის თვითგანადგურებას, რაც, ძირითადად, ბრიტანეთს ეხება და რისი უმთავრესი მიზეზიც ორი მსოფლიო ომი იყო; 3. რუსეთისა და აზიის დიდი ნაწილის ეკონომიკურ განადგურებას კომუნისტებისა და სოციალისტების შემდგომ პერიოდში.

მეორე მსოფლიო ომის შემ- დეგ აშშ-მა ბრიტანულ ფუნქს- სარეზერვო ვალუტის როლი წაართვა და დოლარს გადაუ- ლოცა. ამით დოლარი მსოფ- ლიო ფულად იქცა და აშშ-ს სა- შუალება მიეცა, იმპორტული საქონლის ღირებულება საკუ- თარი ვალუტით ეხადა. მეორე მსოფლიო ომის დროს სხვა ინ- დუსტრიულად განვითარებუ- ლი ქვეყნების განადგურებამ განაპირობა ის, რომ ამერიკა აღმოჩნდა ერთადერთი სა- ხელმწიფო, რომელსაც შეეძ- ლო მსოფლიო ბაზარი წარმო- ების პროდუქციით სათანა- დოდ მოემარაგებინა. ამგვარი ისტორიული დამთხვევის გა- მო ამერიკასა და ამერიკე- ლებს შეეძენათ წარმოდგენა, თითქოს ისინი რჩეულები იყ- ვნენ. ახლა ნეოკონსერვატორ- ი ქორები აშშ-ზე ისე ლაპა- რაკობენ, როგორც „შუცვე- ლელ ნაციას“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამერიკელები ყველა სხვაზე მაღლა დგანან, რა თქმა უნდა, ისრაელიელების გარდა.

„ტერორისტული საფრ- თხის“ მცნება ამერიკელი ხალხის ხელისუფლების პირში და საფრთხით საკ- მარისი მიზეზია მთელი მუსლიმანური სამყაროს მიმართ აგრესიის გამოვ- ლენისა და მსოფლიო ბა- ტრონობისკენ სწრაფვი- სათვის. ამგვარი ზიზნითა და ქედმაღლობით გაჯე- რებული დამოკიდებულე- ბა თავიდან ბოლომდე იძ- ლევა იმის ახსნას, თუ რა- ტომ არ გააჩნიათ ამერი- კელთა უმეტესობას სულ მცირე თანაგრძნობა და სიბრალული მიანიც მათი ჯარის შეჭრის შედეგად მილიონამდე მოკლული და ოთხ მილიონამდე დევნი- ლი ერაყელის მიმართ. ეს ცალსახად ტყუილზე და- ფუძნებული ოკუპაციის შედეგებია.

იგივე ახსნა აქვს ამერიკელ- თა გულგრილობას უთვალავი ავღანელებისა და პაკისტანე- ლის მიმართ, რომლებიც ვი- დეოეკრანების წინ მსხდარი „ჯარისკაცების“ მიერ მართუ- ლი უპილოტო საფრენი აპარა- ტების შტურმებს ეწირებიან. ამავე მიზეზით დუმს ამერიკე- ლი საზოგადოება, როდესაც ისრაელი კიდევ ერთხელ იმუქრება ლაზარ სექტორის დაბომბვით. იმას მინც არა-

ლო კომპლექსი და უშიშროე- ბის ორგანიზაციებია პენტა- გონის, ცსს-სა და მათი მომ- სახურე კომპანიების ჩათვ- ლით. შემდეგ ადგილზე ამერი- კა-ისრაელის კომიტეტია, მომდევნოზე ერთმანეთის მი- ყოვლით — ნავთობის სექ- ტორი, რომელიც მოცემულ მომენტში მექსიკის ყურის უნიკალურ ეკოსისტემას ან- ადგურება; უოლ-სტრეტი თა- ვისი საინვესტიციო ბანკები- თა და ფონდებით; სადაზღვე- ვო კომპანიები; ფარმაცევტუ- ლი და აგროსამრეწველო კომ- პლექსები, რომლებიც საექვო შემადგენლობის პრეპარა- ტებსა და საკვებ პროდუქ- ტებს აწარმოებენ.

სწორედ ეს კორპორა- ციული ცენტრები წარმო- ადგენს დღევანდელ ამე- რიკულ ოლიგარქიას, რო- მელსაც ძალაუფლებას ვერანაირი არჩევნები ვერ წაართმევს.

„ტერორთან ომმა“ ბოლომ- დე მიიყვანა ამერიკის კონს- ტიტუციის რღვევა, შემდეგი ეტაპი კი ეკონომიკური ვარდ- ნა იყო. სწრაფი მოგების სურ- ვილით შეპყრობილი უოლ- სტრეიტის წნეხით ამერიკულ- მა კორპორაციებმა საწარმო- ები ქვეყნის გარეთ გაიტანეს. შედეგად, მილიონობით კარ- გად ანაზღაურებადი სამუშაო ადგილი, რომლებიც ადრე აშშ-ის მოქალაქეებს ეკავათ, და აშშ-ის შიდა პროდუქტის დიდი ნაწილი იაფი მუშახელის ქვეყნებში — ჩინეთსა და ინ- დოეთში აღმოჩნდა. ამ პრაქ- ტიკის დანერგვიდან 20 წლის თავზე განადგურებულია არა მხოლოდ აშშ-ის სამუშაო ად- გილები, არამედ მთელი საგა- დასახადო ბაზა ყველა შესაძ- ლად დონეზე. უმუშევრობის მაჩვენებელი, ხელისუფლე- ბის მონაცემების თანახმად, 20%-ით გაიზარდა. ამერიკე- ლებს, ფაქტობრივად, აღარ აქვს სურვილი და სურსა- ტის ხელისუფლება ზუსტად ისე იყენებს, როგორც მო- ესურვება. ახლა ამერიკაში „ტერორისტებსა“ და „შე- და ექსტრემისტებს“ შეიძ- ლება განეკუთვნებოდეს ნებისმიერი, ვინც არ ეთან- ხმება აშშ-ის ხელისუფლე- ბის პოლიტიკასა და მის ქმედებებს, რომელთაც ეს უკანასკნელი თავისი მთა- ვარი მიზნის — მსოფლიო ბატონობის მისაღწევად ახორციელებს.

სხვა ქვეყნებისგან განსხვავ- ვებით, აშშ არაა მონოეთნიკუ- რი სახელმწიფო, ის ამერიკის კონსტიტუციით გაერთიანე- ბული მრავალ ეროს წარმო- მადგენლებისგან შედგება. აშშ-მა მაშინ შეწყვიტა არსე- ბობა, როდესაც კონსტიტუ- ცია განადგურდა. არჩევნებ- მა საერთოდ დაკარგა აზრი, რადგან მასში მონაწილე ორივე პარტია წინასაარჩე- ვო კომპანიებში ერთსა და იმავე დანტერესებულ წრე- ებზე დაამოკიდებული. ამ წრეებიდან ყველაზე გავლე- ნიანი სამხედრო-სამრეწვე- ლო კომპლექსი და უშიშროე- ბის ორგანიზაციებია პენტა- გონის, ცსს-სა და მათი მომ- სახურე კომპანიების ჩათვ- ლით. შემდეგ ადგილზე ამერი- კა-ისრაელის კომიტეტია, მომდევნოზე ერთმანეთის მი- ყოვლით — ნავთობის სექ- ტორი, რომელიც მოცემულ მომენტში მექსიკის ყურის უნიკალურ ეკოსისტემას ან- ადგურება; უოლ-სტრეტი თა- ვისი საინვესტიციო ბანკები- თა და ფონდებით; სადაზღვე- ვო კომპანიები; ფარმაცევტუ- ლი და აგროსამრეწველო კომ- პლექსები, რომლებიც საექვო შემადგენლობის პრეპარა- ტებსა და საკვებ პროდუქ- ტებს აწარმოებენ.

ამ ფუნქციის შესრულება. რო- დესაც დოლარი დაიმსხვრე- ვა, ქვეყნის მოსახლეობა ტო- ტალურ სიღატაკეში გამოილ- ვიძებნა.

ახლა აშშ და მისი მოქა- ლაქეები ყურებამდე ვა- ლებში არიან ჩაფლულნი. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე იქ ოჯახებს შე- მოსავალთა არანაირი ზრდა არ აღენიშნებათ. ყველაფერი, რაზეც უკა- ნასკენელ პერიოდში იდგა ქვეყნის ეკონომიკა, მომხ- მარების კრედიტირებაა. ახლა თავად მომხმარებ- ლებიც იმდენად ჩაფლუნენ ვალებში, რომ აღარ შეუძ- ლიათ მეტი კრედიტის აღება. თავის მხრივ, იმა- საც წინწავს, რომ ამერი- კის ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას — მომხმარებლის მოთხოვ- ნას — ზრდის საშუალება აღარ აქვს. ეკონომიკაში მომხმარებლის მოთხოვ- ნილების წილი 70%-ია და მისი ზრდა შეუძლებელია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეუძლებელია ზოგადად ეკონომიკის აღდგენაც.

აშშ-ს „არსებობს სხეუ- ლი“ იმის გამოც შეიძლე- ბა ენოდოს, რომ ახლა ამერი- კის მოქალაქეების წინაშე ან- გარმავალდებულნი არ არიან არც კორპორაციები და არც ხელისუფლება. ამერიკელები კი საკუთარი ფანტაზიების სამყაროში ცხოვრობენ და წარმოდგენაც არ აქვთ, რომ დაკარგონ აბსოლუტურად ყველა მოქალაქეობრივი უფ- ლება. ზოგიერთი მათგანი ხვდება, რომ ქვეყნის ეკონო- მიკა საფრთხის წინაშეა. კი- დევე უფრო ცოტა იცინა მათ იმ ზიზნის შესახებ, რომე- ლი ზოგადი მსოფლიოში მათი და მათი ხელისუფლების მი- მართ დღითიდღე იზრდება, სწორედ ამ ხელისუფლების მიერ თავისუფალ ხალხებზე თავდასხმისა და მათი განად- გურების გამო. ამერიკელი ხალხი ჩაფლულია ეკონომი- და წარმოდგენაც არ აქვს იმ კატასტროფებზე, რაც მისმა ქედმაღლობამ, ეგოცენტრიზ- მმა და არაადამიანურმა პო- ლიტკამ მოუტანა მასაც და მთელ დანარჩენ მსოფლიო- საც. ახლა ამ დანარჩენ მსოფ- ლოს ერთადერთი კითხვაა დარჩა: რა არის ამერიკა — ნე- ოკონსერვატორების პროპა- განდის შესაბამისი კეთილშო- ბილი „შუცველელი ერი“ თუ თანამედროვე მსოფლიოს სა- ხადი?

პოლ კრეიბ რობერტსი, აშშ-ის ფინანსთა მინისტრი და გაზეთ „Wall Street Journal“- ის რედაქტორის ყოფილი თანაშემწე, ვაშინგტონის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის პოლიტიკური ეკონომიკის პროფესორი „GLOBAL RESEARCH“, კანადა

ამერიკული კრიზისის სტატისტიკა და მოახლოებული აღსასრული

ეს კრიზისის სტატისტიკა. ამერიკელთა უმეტესობა ხვდება, რომ მათი ქვეყნის ეკონომიკა საუკეთესო ფორმაში არაა, მაგრამ მათ წარმოდგენაც არ აქვთ, რამდენად მძიმე მდგომარეობაშია ახლა მათი ქვეყანა. სიმართლე ისაა, რომ ეს უბრალო „ვარდნა“ ან „აქტიუობის შემცირება“ კი არაა, მსოფლიო ისტორიაში უდიდესი ეკონომიკური მანქანის აღსასრულის დასაწყისია. ამერიკელთა სიხარბე და ვალები ცოცხლად ჭამენ ქვეყნის ეკონომიკას. ხელისუფლების, კორპორაციებისა და კერძო პირების მთლიანი ვალი ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტის 360%-ს აღწევს, ეს კი ბევრად აღემატება დიდი დეპრესიის პერიოდის მაჩვენებლებს. ამერიკამ მთლიანად დაშალა თავისი ერთ დროს კოლოსალური სანარმოო ბაზა, საზღვარგარეთ გაიტანა საშუალო ფენის მილიონობით სამუშაო ადგილი, ათწლეულობით იცხოვრა არარსებული სახსრებით და მსოფლიოში უდიდესი სავალ ბუშტი გაბერა. ანგარიშსწორების დღე სწრაფი ტემპით ახლოვდება, მსხვერპელი გამსესხებლის მსახურია, მოჭრილი გზები ადრე თუ გვიან ყველას მდგომარეობაზე აისახება. გზები კი ნამდვილად მოჭრილია და ამას დაუჯერებელი ფაქტები ადასტურებს.



კომერციული საკუთრების ღირებულება 2007 წლიდან 40%-ით დაეცა.

აშშ-ის მთელი საოფისე ფართის 18% აუთვისებელია. მშენებარე იპოთეკების დეფოლტი რეკორდულად — 4,6%-ით გაიზარდა.

აშშ-ის ბანკებმა, კერძო სესხების მხრივ, 1942 წლიდან ამ დრომდე რეკორდულად დაბალი მაჩვენებელი დააფიქსირეს.

ნიუ იორკის შტატმა 2,5 მილიარდი დოლარის ანგარიშების განაღდება შეაჩერა, რათა ცოტა ხნით მაინც შეენარჩუნებინა გადახდისუნარიანობა, მაგრამ ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ შტატში ნაღდი ფულის დეფიციტი კიდევ უფრო გაიზარდება.

2010 წლის ბიუჯეტის პროგნოზირებული 280-მილიონიანი დეფიციტის შესავსებად დეტროიტმა 250 მილიონ დოლარზე 20-წლიანი ობლიგაციები გამოსცა. ამას თან ახლდა ოფიციალური პირების განცხადებები, რომ თუ ფინანსური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, დეფოლტი გარდაუვალია.

ქალაქების ნაციონალური ლიგა აცხადებს, რომ მუნიციპალური მთავრობები 2012 წლამდე 5-დან 83 მილიარდამდე დეფიციტს შეეჯახებიან.

შტატების ნაწილმა უკვე განაცხადა, რომ ნაღდი ფულის უკმარისობის გამო, გადასახადების დაბრუნებას აჩერებენ. ორმა პროფესორმა დაითვალა, რომ აუნაზღაურებელი პენსიების საერთო რაოდენობა 3,2 ტრილიონ დოლარს შეადგენს.

EconomicPolicyJournal.com-ის ინფორმაციით, 32-მა შტატმა სრულად ამოწურა უმუშევრობის დახმარების ფონდები და ფედერალური მთავრობის სახსრებზე გადავიდა.

რეცესიამ კერძო სექტორის 8 მილიონამდე სამუშაო ადგილი შეინარა.

კერძო სექტორში 2010 წლის პირველ კვარტალში ხელფასები ამერიკის არსებული ისტორიაში მინიმალურ ზღვრამდე დაეცა.

ხელისუფლების მიერ დაწესებულმა სოციალურმა შეღავათებმა რეკორდულ ზღვარს მიაღწია.

39,68 მილიონი ამერიკელი ახლა სასურსათო ტალღონებს

იყენებს, რაც თავისთავად რეკორდია, მაგრამ მომავალ წელს ამ ტალღონებს 43 მილიონი მომხმარებელი ეყოლება.

არიზონა მსოფლიოს დედაქალაქად იქცა, ავტომობილების მოპარვის მხრივ.

ამერიკაში დანაშაულებრივ დაჯგუფებებში სულ მილიონამდე წევრია გაერთიანებული და ქვეყანაში ჩადენილ დანაშაულთა 80% სწორედ მათი ნახელოვანია.

ქვეყანას უკვე აკლია 150 000 ექიმი, ჯანდაცვის სისტემის რეფორმის შედეგად კი ეს მაჩვენებელი რამდენიმე ასეული ათასით გაიზარდება.

2019 წლამდე ჯანდაცვის რეფორმა მოსახლეობას დამატებით 409,2 მილიარდი დოლარის გადასახადებს დააკისრებს.

ხელმძღვანელებისა და მუშის საშუალო ხელფასის თანაფარდობა 1950 წელს 30:1 იყო, წელს ეს თანაფარდობა 500:1 გახდა.

მთელი საცალო დანახარჯების 40% ამერიკის მოსახლეობის შედარებით შემოსავლიან 20%-ზე მოდის.

2002-2007 წლების შემოსავლების ზრდის ორი მესამედი ამერიკის მოსახლეობის მდიდარი 1%-ის ჯიბეში წვიდა.

რაიმე შემოსავლის მიმდებარე 40% ერთად ეროვნულ სიმდიდრის 1%-ზე ნაკლების მფლობელია.

თუ საკრედიტო ბარათზე ყოველთვის მინიმალური თანხა შეგაქვთ, 6 000-დოლარიანი კრედიტი 30 000 დოლარი დაგიჯდებათ.

2009 წლის ბოლოს 16-19 წლის მოზარდების მხოლოდ 26% მუშაობდა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია სტატისტიკის წარმოების დაწყებდან დღემდე.

ახალგაზრდა თაობის მხოლოდ 58% ახერხებს ყოველთვიური ანგარიშების დროულად გადახდას.

უკვე 16 კვარტალია, ზედინედ იზრდება იმ სესხების რაოდენობა, რომელთა გადახდაც მინიმუმ სამი თვითაა დაგვიანებული.

ბიუჯეტის დეფიციტთან გამკლავებისთვის აშშ-ის კონგრესმა უკლებლივ ყველა გადასახადი 2,4-ჯერ უნდა გაზარდოს.


PEREVIDIKA.RU

აშშ-ში აქივება 1800 ვატარანს უიღსი გადასახადს

აშშ-ის მისურის შტატის სენტ-ლუისის ერთ-ერთი სამედიცინო ცენტრის სტომატოლოგიური განყოფილების პაციენტებმა, რომლებიც ექიმთან 2009 წლის 1 თებერვლიდან 2010 წლის 11 მარტამდე იყვნენ, ვეტერანთა საქმეების სამინისტროდან წერილები მიიღეს. სამინისტრო პაციენტებს აცხადებდა, რომ ისინი შესაძლოა შიდასედიმენტით დაავადებულნი. როგორც გაირკვა, სტომატოლოგთა სამუშაო ინსტრუმენტები სათანადოდ არ იყო სტერილიზებული. სამაგიეროდ, რისკის უფასოდ ჩაუტარებენ შიდასედიმენტების დასაფენ ანალიზებს.

სტერილიზაციის ნორმების დარღვევის შესახებ ვეტერანთა კლინიკის შემომხმარებლის შემდეგ გახდა ცნობილი, მაგრამ ამის მერე საავადმყოფოს ადმინისტრაცია სამი თვის მანძილზე იმ პაციენტების სივს აზუსტებდა, რომლებიც შემოსენებულ პერიოდში ეწვივნენ კლინიკის ექიმს. მხოლოდ 2009 წელს აშშ-ის ვეტერანთა კლინიკებში მინიმუმ სამი მსგავსი შემთხვევა იყო. ტენესისა და მაიამის შტატებში შესაძლო დანიფიცირების შესახებ შეტყობინება 10 ათასზე მეტმა პაციენტმა მიიღო. ჯორჯიის ყელ-ყურის კლინიკაში კი არასტერილური ინსტრუმენტებით გასინჯვის გამო იგივე ცნობა 1800 პაციენტს მიუვიდა სახლში.

ყველაზე კვირადღიკრებული დომენი ისევ იყიდება



დომენ „sex.com“-ის მფლობელებს რუსურსი კვლავ აუქციონზე გააქვთ. ეს ინტერნეტსივრცეში ყველაზე ძვირადღირებული დომენია და „Sedo“-ს აუქციონზე, იმედია, ამჯერად მაინც გაიყიდება.

დომენების აუქციონის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ უკვე დაუკავშირდა „sex.com“-ის შექმნის არაერთი მსურველი, მიუხედავად იმისა, რომ აუქციონი ჯერ არ დაწყებულა და ლოტის შესახებ ინფორმაცია „Sedo“-ს საიტზე ჯერაც არ დევს. ამ დომენის გაყიდვას 2010 წლის მარტშიც აპირებდნენ მისი მფლობელები, მაგრამ აუქციონის დაწყებამდე ერთი დღით ადრე დომენის მფლობელის, კომპანია Esc.com-ის კრედიტორებმა სასამართლოს მიმართეს და მისი გაკოტრებულად ცნობა მოითხოვეს. Esc.com-ს სამი კომპანია 10 მილიონამდე დოლარს ედავებოდა. როგორც დასრულდა სასამართლო პროცესი, უცნობია, სამაგიეროდ ცნობილია ის, რომ დომენი „sex.com“-ის ახლანდელმა მფლობელებმა 2006 წელს შეიძინეს და სწორედ იმ დროიდან ეს ინტერნეტსივრცეში ყველაზე ძვირადღირებულ დომენად იქცა. სხვადასხვა მონაცემით, თავის დროზე მის შესაძენად Esc.com-მა 12-დან 14 მილიონამდე დოლარი გადაიხდა.

ავსტრიულ ქალს ფხვი შეხლოვით მოაჭრეს



ავსტრიელმა ქირურგებმა ხანდაზმულ ქალს შემთხვევით ჯანმრთელი ფხვი მოაჭრეს. ტიროლის წმინდა იოანას საავადმყოფოს ექიმების დაუდევრობის გამო, ახლა მათ 90 წლის პაციენტს არც ერთი ფხვი აღარ აქვს. სისხლძარღვების მძიმე დაავადების გამო, ქალს სასწრაფოდ ესაჭიროებოდა ქვედა კიდურის ამპუტაცია, მაგრამ არა იმისა, რომელიც ქირურგებმა მოაჭრეს. მას შემდეგ, რაც მიხვდნენ, რომ ეს ის ფხვი არ იყო, მეორეც მიაყოლეს. საავადმყოფოს ადმინისტრაცია ცდილობდა, მომხდარი არ გამაჟურბულიყო, მას შემდეგ კი, რაც პრესაში მაინც გაჩნდა შესაბამისი ცნობები, ექიმებმა სამედიცინო საიდუმლოს შენახვის აუქციონებლობა მოიმიზეზეს და კომენტარებს თავი აარიდეს. ამ დრომდე უცნობია, რამ გამოიწვია ამგვარი დაუდევრობა, და აეკრძალათ თუ არა საქმიანობის გაგრძელება ექიმებს, რომლებმაც საბრალლო ქალი დაასახიჩრეს. სამაგიეროდ, გახმაურების შემდეგ საქმეში სამართალდამცავი ორგანოები ჩაერთნენ; გამოძიების შედეგად ქირურგებს პაციენტის ჯანმრთელობისათვის სერიოზული ზიანის მიყენების გამო სასჯელი არ ასცდებოდა.

უნივერსალური წყალი „ისიდა“

მათვის, ვისთვისაც კვირფასია ჯანმრთელობა



სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩივივისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულინარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეტაბოლიზმის გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინაქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩივივი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბლონებში.

მსაკვლევა დაკავშირებული: 899-16-30-21.
890-26-15-15 (ოფისი); რუსთაველი: 890-11-50-99; 895-91-24-14.


წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამკაელო

ს.ს „გაბრიალბული ტალეკომი“	602602
შპს „ახტალი“	700818
შპს „გაბრიალბული“	200320
შპს „ჯეოსელი“	700305
შპს „ბილიანი“	200333

ფოტოსა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი ბანკის“ ფოტის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თეოდორე ბასილიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3, ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563, e-mail: eparqia-f@mail.ru





Techno BOOM

მოზილურაბი ტელევიზორაბი
კომპიუტერაბი საოჯახო/ოფისო კაბინა

თბილისი, ვაჟა-ფშაველას №21, ნაკრთლის №1, აღაგუნებლის ხეივანი, მ-13 კმ (საბითუმო შენობა)

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

საოპერო სპექტაკლებს იტალიელი დირიჟორი წარუძღვება

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ჯუზეპე ვერდის სამ ოპერას ააჟღერებს საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში. საკონცერტო შესრულებით წარმოდგენილი იქნება — 12 ივლისს „ტრუბადური“, 19 ივლისს „ატილა“, 25 ივლისს კი „რიგოლეტო“. სპექტაკლებს წარუძღვება ცნობილი იტალიელი დირიჟორი ჯანლუკა მარჩინანო. „ტრუბადურში“ მანრიკოს განასახიერებს ასევე ცნობილი ახალგაზრდა ამერიკელი ტენორი მარკ ჰელიერი.

ქართველი მსმენელი მათ ხელოვნებას წლეულს, მარტში ლადო ათანაელის საქველმოქმედო ფონდ „თანადგომის“ კონცერტზე ეზიარა. ჩვენს მელომანებს კვლავაც ეძლევათ ამ შესანიშნავ მუსიკოსებთან შეხვედრის შანსი. ოპერების საკონცერტო ვერსიებს ისინი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდთან, ორკესტრთან, სოლისტებთან ერთად შეასრულებენ.

www.opera.ge







pirweli.com.ge

პირველი

საინფორმაციო სააგენტო



www.fact.ge

ACM Group



მედიანიუსი

საინფორმაციო სააგენტო

<http://www.medianews.ge>



ესტუბრათ ჩვენს სიბს

საქართველო ანთროპოლოგიის ინსტიტუტი

<http://www.geworld.net>

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არამაზ სანაბლიძე, გონდო მკინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანბურაშვილი
ვებრედაქტორი გონა სპაშია
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაძე,
გაზეთის ხელმძღვანელოვს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net